

ISSN 0868-4537

თროპეული
ბიბლიოთეკა

78
093/3

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • კულინციტიკა

3-4

1993

IUS

TBILISI GEORGIA

ძვირფასო მკითხველო!

ქართველ იურისტთა, და არამარტო იურისტთა, ერთგული მეგობარი, საქართველოში ერთადერთი იურიდიული გამოცემა, ჟურნალი „სამართალი“ 1921 წლიდან ეწევა ღირსეულ ჯაბანს. ახლა აქ ძნელია მთელ იმ დამსახურებათა ჩამოთვლა, რაც ამ ჟურნალს მიუძღვის. თუმცადა არც არის ამის საჭიროება, რადგან მის ჭეშმარიტ მკითხველს ეს ისედაც მოეხსენება. ჟურნალის საქმიანობა იმდენად საჭირო და აუცილებელია, რომ მის ყველა ხარჯს დაარსებიდან დღემდე სახელმწიფო აფინანსებდა. ამიერიდან კი, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, მთელი ამ ხარჯების რეგულირება უნდა მოხდეს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. სწორედ ამ გადაწყვეტილების გამო ჟურნალი აღმოჩნდა არსებობის შეწყვეტის რეალური საფრთხის წინაშე. საქმეში ჩახედული მკითხველი ადვილად მიხვდება ჩვენს გასაჭირს — ფანტასტიკურად გაიზარდა ქალაქისა და სხვა პოლიგრაფიული მასალების ფასები, მისი გავრცელების ხარჯები, რასაც, ცხადია, თავისი მწირი შემოსავლით ჟურნალი ვერ გასწვდება, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, მისი ფასი, მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით, სულ რაღაც 60 მანეთია (ასანთის რამდენიმე კოლოფის ფასი).

ძვირფასო მკითხველო! ნათქვამია, მეგობარს სწორედ გაჭირვებაში უნდა ამოუდგე მხარშიო, პოდა, გთხოვთ, ვისაც ჟურნალი ნახევარი წლით გქონდათ გამოწერილი, გააგრძელეთ ხელმოწერა წლის ბოლომდე, ხოლო ვისაც რატომღაც საერთოდ დაგავიწყდათ მისი გამოწერა, ახლავე მიაკითხეთ „საქპრესის“ ნებისმიერ განყოფილებას. გახსოვდეთ, რომ თქვენს აქტიურობაზეა დღეს დამოკიდებული ჩვენი ჟურნალის არსებობა.

ამას გარდა, ღრმად გვწამს, რომ გამოჩნდებიან ისეთებიც, ვინც გულთან მიიტანენ ჩვენს გასაჭირს და რეალურ წვლილს შეიტანენ ჟურნალის ფინანსური უზრუნველყოფისათვის — გამოიჩინენ ქველმოქმედებას და გარკვეულ თანხას (თუნდაც სულ მცირეს) გადმოურიცხავენ რედაქციას ანგარიშზე: თბილისი, მთაწმინდის ბინსოცბანკი, ანგარიშის №100609097, მფო — 521620, ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია.

სამართალი



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3-4

1993

მარტი-აპრილი

გამოდის 1926 წლიდან

პრაქტიკა ● მეცნიერება ● კუბლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი

ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

ანზო არსენაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

გელა ბერაქიანი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ვლადიმერ ბარათაშვილი

ოთარ ბაგრატიანი

გივი ინჯირვალი

მისეილ კეკელია

კონსტანტინე კვარაცხელია

მზია ლეკვიანი

თენგიზ ლილუაშვილი

შალვა ნათელაშვილი

თეოდორე ნინია

დავით სარალია

გიორგი ტყეშელაშვილი

მინდია უგრეხელია

ჯონი ჯალაღანია

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.



გაითხველთა საფურცელზე!

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგეწოდეთ მისამართით: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30.

ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.



ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0830. ინდექსი 76185

ფასი 12 მამ

ს ა ძ ი ვ ბ ე ლ ი

საქართველოს იურისტთა კავშირის მიმართვა	3
დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია	
ელზარდ შვეარდნაძე — ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში	4
ზაურ ჭინჭოლავა — საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამართლებრივი მდგომარეობა ახალ კონსტიტუციაში	10
დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კანონები	
საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ	15
აკაკი ბაქრაძე — ალბათ, კანონი გვექნება	23
სასამართლო რეფორმა	
მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების მონზადების მიზნით იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ	27
საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლების სტატუსისა და მოწყობის შესახებ	29
აპოლონ ფალიაშვილი — სასამართლო რეფორმისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები	40
ბატა ცნობილაძე — სამართლის ნორმები და წესრიგის დამყარება საზოგადოებაში	49
ლალი თალიაშვილი — ბინების პრივატიზაციას სამართლებრივი ასპექტები	53
ვახტანგ კაქაიძე — ხელოვნება თუ მეცნიერება?	62
კონტაქტები უცხოელ იურისტებთან	
სუბხაზ ჩანდრა ბირლა — გლობალური განსხვავებანი ბევშეთა ჰუმანურ და სოციალურ განვითარებაში	67
ნარკვევი	
ზაალ მესენგისერი — სამართლეს შექვიდებული კაცის ამბავი	72
ნეკროლოგი	
.	74

რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80
ტელ. 99-02-45, 98-41-50, 99-51-01

გადაცვა წარმოებას 22.03.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.06.93 წ.,
ფორმატი 70X108 I, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
საადრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 6.5. შეკვ. 426. ტირაჟი 7500

საქართველოს იურისტთა კავშირის მიმართვა

ამერიკის შეერთებული შტატები — ვაშინგტონი
იურისტთა ასოციაციის ასოციაციის პრეზიდენტს

ბატონ ფრანკლინ ნოტ-ლინარს!

20.2.81

საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობა მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით და გაუწყობთ შემდეგს:

როგორც მსოფლიოსათვის ცნობილია, დღეს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს შეიარაღებულ ძალთა საომარი მოქმედებები ქართველთა და აფხაზთა შორის, რის შედეგად, ორივე მხრიდან იღუპებიან ადამიანები, ნადგურდება მატერიალური ფასეულობანი. ეს კონფლიქტი, რომელიც წამოიწყო აფხაზი მოსახლეობის მხოლოდ სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა, როგორც ფაქტები მოწმობენ, ინსპირირებულია რუსეთის იმპერიული სულისკვეთებით გამსჭვალულ პოლიტიკოსთა რეაქციული ძალების მიერ და მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ. მით უფრო, უპრეცედენტოა რუსეთის აღნიშნულ ძალთა პოზიცია თვით რუსეთის სახელმწიფოს მიერვე საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული ქვეყნის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის მიმართ. არსებითად, ეს მოასწავებს ამ ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპების სრულ უგულვებლყოფას, რამდენადაც ყოველგვარი ცდა, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად მიმართულია ქვეყნის ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, შეუთავსებელია მის წესდებსა და მიზნებთან.

ბატონო პრეზიდენტო, ასეთი მოსაზრების საფუძველს იძლევა რიგი გარემოებები, რომელიც გამოიხატა ამ საომარ ოპერაციებში აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე რუსეთის შეიარაღებული ძალების აქტიურ მონაწილეობაში, რუსეთის პარლამენტში გამოთქმულ განცხადებებში და მის გადაწყვეტილებებში, ცალკეული მაღალი რანგის თანამდებობის პირთა აგრესიულ გამონათქვამებსა და დაუშვებელ მოქმედებებში.

გამოვხატავთ რა შეშფოთებას, საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, ვიმედოვნებთ, რომ იურისტთა ასოციაცია თქვენი მეთაურობით ყოველ ღონეს იხმარს, რათა დემოკრატიული ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომი გაზდეს ობიექტური ინფორმაცია საქართველოში წარმოებული ომის შესახებ ამასთან, მსოფლიოს საზოგადოებრიობის აზრს მიმართავს იქითკენ, რომ კეთილი ნების ადამიანებმა არ დაუშვან ქართველ-აფხაზთა კონფლიქტში ნებისმიერი მესამე ძალის ჩარევა, რაც ქმედითად შეუწყობს ხელს მის მშვიდობიან მოგვარებას.

საქართველოს იურისტთა კავშირი.

საქართველოს
მინისტრო
ბიბლიოთეკა

ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში *

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მომხდარ მრავალ ისტორიულ მოვლენათა ფონზეც კი დღევანდელი დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: დღეს, 1993 წლის 9 აპრილს, მუშაობას იწყებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია და ამით იწყება ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

ქართველი ერი, ისევე როგორც სხვა ერები, მუდამ ისწრაფვოდა თავისაღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიოს ხალხთა შორის. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტა იყო საჭირო, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ამ ამოცანათა გადაწყვეტის მთავარი იარაღი — ძლიერი სახელმწიფო. დღეს, XXI საუკუნის მიჯნაზეც, ქართველ ერს მრავალი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს, რათა შეძლოს ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ცივილიზაციაში და დღესაც ამ ამოცანათა გადაწყვეტის უმთავრეს პირობად ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა რჩება. ამიტომაც, რომ ყოველი საღად მოაზროვნე მოქალაქე თანამედროვეობის უპირველეს საქმედ ერთიანი, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მიიჩნევს.

ამ ურთულესი პრობლემის გადასაჭრელად პირველ რიგში საჭიროა ვიყოთ რეალისტები და ობიექტური თვალთ შევაფასოთ არსებული სიტუაცია. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს პრაქტიკულად დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის დასაწყის ეტაპზე ვართ. მართალია, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მიგვიღო თავის ოჯახში და გვაღიარა სრულუფლებიან სუვერენულ სახელმწიფოდ, მაგრამ დღეს ეს ნაბიჯი უფრო ერთგვარი ავანსია, ვიდრე რეალური ვითარების ადეკვატური ასახვა.

ქართული სახელმწიფოს ასეთი ყოფა მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზითაა განპირობებული. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს თავზე გადავიღმა ქართველობა უდიდესი ზიანი მიიყენა ჩვენს სახელმწიფოებრიობას. მართალია, ეს იდეა არასოდეს ჩამკვდარა, მაგრამ თითქმის ორასი წლის მანძილზე პრაქტიკული ზორცმესხმის გარეშე რჩებოდა და ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ერის თვითშეგნებაზე. ყველაზე სავალალო ის არის, რომ დავკარგეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩვევები, ასეთი პრაქტიკული გამოცდილების უქონლობის გამო. ყველას კარგად არ ესმის, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს და რომ უფრო რთულია დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება. ჩანს, ბოლომდე ვერც ის გავიაზრეთ, რომ დამოუკიდებლობის

* ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვა საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის პირველ სხდომაზე 1993 წლის 9 აპრილს.

მოპოვების მეთოდები და საშუალებები სახელმწიფოს მშენებლობისა და მართვის სფეროში
ვისას შეიძლება ხშირად გამოუსადეგარი იყოს.

აღბათ, სხვებთან ერთად ამ ფაქტორებმაც განაპირობა ის დიდი ტრაგედია, რაც საქართველოში დატრიალდა. დღეს შესაძლოა სხვადასხვა აზრი არსებობდეს ამ მოვლენებზე, მათში მონაწილე პოლიტიკურ ძალებსა თუ პოლიტიკოსებზე. დე, ეს ყველაფერი დრომ და ისტორიამ განსაჯოს, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ჩვენ ყველამ, მთელმა ქართველმა ხალხმა სათანადოდ ვერ ვუპატრონეთ ახლადფეხადგმულ სახელმწიფოს და მნიშვნელოვნად დავაზიანეთ იგი. კიდევ ვიმიერებ, დღეს არ ვაპირებ მტყუან-მართლის გარჩევას, ვინაიდან სახელმწიფოს ბედის, მისი მომავლისათვის თანაბრად პასუხისმგებელნი ვართ ყველა-ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, თითოეული მოქალაქეც.

ზუსტად ერთი წლის წინ საქართველო მძიმე განსაცდელის წინაშე იდგა და იმ დროის მთავარ ამოცანად საყოველთაო არჩევნების მომზადება და ჩატარება მივიჩნეით. მაშინ ბევრი გვირჩევდა, ხელი აგველო ამ მეტად სარისკო განზრახვაზე, სასწორზე არ შეგვეგდო ახალი ხელისუფლების ბედი, მაგრამ ჩვენ გზიდან არ გადაგვიხვევია — 1992 წლის ოქტომბერმა დაადასტურა, რომ ხალხს შეგნებული აქვს მომენტის მთელი სიმძიმე, ამ ურთულეს სიტუაციაში ენდობა დღევანდელ ხელისუფლებას და სჯერა მისი პოლიტიკისა. ამ ნდობამ გაათაკეცა ჩვენი პასუხისმგებლობა.

არჩევნების ჩატარებით და ლეგიტიმური ხელისუფლების შექმნით მნიშვნელოვნად განმტკიცდა ჩვენი რესპუბლიკის პოზიციები, მაგრამ მაინც ბევრი პრობლემა დარჩა. კერძოდ, ძალზე რთული იყო სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება. სამართლებრივი საფუძვლის, რეალურად მოქმედი კონსტიტუციის გარეშე. იძულებულნი ვავხდით შეგვექმნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთობ ორიგინალური მოდელი. ეს თავადაც კარგად გვესმოდა, რომ იგი სრულად არ შეესაბამება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კლასიკურ გაგებას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელისუფლების დანაწილების სრულყოფილი მოდელის შექმნა იმ დროს არსებულ ვითარებაში შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, უნდა გავგეთვალისწინებინა მეზობელი ქვეყნების მწარე გამოცდილებაც, როცა მომხიბლავ თეორიებზე დაფუძნებულ, მაგრამ რეალობას მოწყვეტილ მოდელებს ხშირად ჩიხში შეჰყავს ხელისუფლება, და მისი ცალკეული შტოები უმთავრეს ენერჯიას ერთმანეთში კინკლაობას ახმარენ. უნდა მოვახსენოთ, რომ ამ მოდელს თავდაპირველად სიფრთხილით ეკიდებოდნენ უცხოელი სპეციალისტებიც, მაგრამ, როცა ღრმად ეცნობიან ქვეყნის მდგომარეობას, მათი დიდი უმრავლესობა ასკვნის, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი იყო.

გარდა ამისა, ხელისუფლების დღევანდელი მოდელი დროებითია და ამის საუკეთესო დასტური ჩვენი დღევანდელი შეკრებაც გახლავთ. სხვათაშორის, ზოგი ახლაც გვირჩევს ჯერჯერობით თავი შევიკავოთ კონსტიტუციის მიღებისაგან და ქვეყანა არსებული კანონებით ვმართოთ. ჩვენც არც ახლა ვეთანხმებით ამ მოსაზრებებს, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ლოგიკას. ვერც ჩვენი ხალხი, ვერც თანამედროვე კაცობრიობა ვერ გავგიგებენ, თუკი გავაჭიანურებთ კონსტიტუციის მიღებას, — ეს გაროულებს ვითარებას ქვეყნის შიგნითაც და, შესაძლოა, დემოკრატიის გზასაც აგვაცდინოს. სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში კონსტიტუციის მომზადება და მიღება არჩევნების შემდეგ მეორე საეტაპო მოვლენად უნდა იქცეს. ამდენად, ნურავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ქვეყნის მომავლის წინაშე ისტორიული პასუხისმგებლობა ეკისრება.

უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა იმაზე, თუ რატომ ვარჩიეთ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე მუშაობა და უარი ვთქვეთ ახალი კონსტიტუციის შემუშავებაზე. ვფიქრობთ, დღეისათვის ეს იყო საქართველოს პარლამენტის ბრძნული გადაწყვეტილება, რაც არა მხოლოდ სამართლებრივი მემკვიდრეობითობის შენარჩუნების სურვილით, არამედ დღევანდელ პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციისკენ მისწრაფებითაც არის ნაკარნახევი. საკითხის ასე დასმა ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც ხანგრძლივი კონსტიტუციური ისტორიის მქონე სახელმწიფოს, საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდასაც. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი საკონსტიტუციო კომისია 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის შემქმნელი კომისიის მემკვიდრედ გვევლინება.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას მოუწევს თავდაუზოგავი შრომა, რათა ღირსეულად გააგრძელოს ოციანი წლების თავიბისგან მიღებული ესტაფეტა. კომისიის შემადგენლობა, მისი ინტელექტუალური პოტენციალი ამის სრულ გარანტიას იძლევა, აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ კომისიის გარეთ მრავალი ღირსეული ადამიანი დარჩა. ბევრი მათგანი იმდენად მნიშვნელოვანი საქმიანობა დაკავებული, რომ მიზანშეუწონლად ვცანით მათი მოწყვეტა ძირითადი საქმიანობიდან.

ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ყველა სფეროში პროფესიონალები იღწვიან. ამიტომ ნურავინ გვიწყენს, რომ პარლამენტმა კომისიაში ძირითადად იურისტები და პოლიტიკოსები მოიწვია, სხვათა შორის, პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიაში არადეპუტატების შეყვანა სხვა სახელმწიფოების პრაქტიკაში მაინცდამაინც გავრცელებული არაა, მაგრამ ჩვენ შეგნებულად წავედით ამაზე და დარწმუნებული ვართ, რომ ამ ნაბიჯს მრავალმხრივი დადებითი შედეგი მოჰყვება.

კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა ძნელი იქნება. ასეთი დონისა და მნიშვნელობის დოკუმენტის შექმნა თავისთავად რთული საქმეა, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში ამას კიდევ მრავალი ფაქტორი ემატება, ბუმბერაზ ტოტალიტარულ იმპერიაში 70-წლიან ცხოვრებას ბოლო წლების კატაკლიზმები და დღევანდელი განსაცდელი დაერთო. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩაევილო და გამანადგურებლად არ ემოქმედა ჩვენს ფსიქიკაზე. თითოეული ჩვენგანა ერთგვარად დაღდასმულია წარსულისგან და ამიტომაც, რომ ზოგჯერ ნერვები გვღალატობს, ზოგჯერ ნებისყოფა აღარ გვეოფნის, ხან სასოწარკვეთაც კი გვეუფლება... მართლა ზეადამიანური ძალისხმევაცაა საჭირო იმისათვის, რომ დღევანდელ საქართველოში, როცა ყოველდღიურად გესმის ბრძოლის ველზე დაცემული თუ სინდისგარეცხილი თანამემამულის ხელით განგმირული ბიჭების, შეურაცხყოფილი დებისა და დედების ამბავი, მაინც ახერხებდე წონასწორობის შენარჩუნებას, ემოციების დაოკებას და კონსტიტუციაზე ფიქრს. ჩვენ სწორედ ამგვარი ძალისხმევის შინაგანი რესურსები უნდა გამოვიძებნოთ, რადგან სხვა არჩევანი არა გვაქვს. ჩვენ პირველ რიგში პასუხს ვაგებთ ჩვენი შვილების წინაშე. იმ ახალგაზრდების წინაშე, რომელთა ნაწილი სანგრებში ზის, ნაწილი კი ამ დარბაზში და მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფსიქიკა, შესაძლოა, ჩვენზე მეტადაა შეძრული მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ უზრუნველვყავით მათი მშვიდობიანი ცხოვრება, ისინი მაინც ჩვენს გვერდით არიან, ამიტომ უფლება არა გვაქვს, ყველაფერი არ ვიღონოთ მომავალი თაობების ნორმალური ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

საკონსტიტუციო საბჭოს პასუხისმგებლობას ისიც აძლიერებს, რომ ჩვენს სიტუაციაში ამ დოკუმენტის მიღებას მეტად მრავალმხრივი დატვირთვა ეძლევა:

— იგი უნდა გახდეს მომავალი ძლიერი საქართველოს სამართლებრივი საძირკველი;

— მან უნდა შეასრულოს საქართველოს საერთაშორისო სავიზიტო ბარათის ფუნქცია და ხელი შეუწყოს მისი, როგორც თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის ავტორიტეტის ზრდას;

— კონსტიტუციურ დებულებებზე დაყრდნობით ქართული სახელმწიფოს ისტორიაში პირველად უნდა განხორციელდეს ხელისუფლების დანაწილების კლასიკური პრინციპი; რამაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ტიპის სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბება;

— იგი ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის კონსოლიდაციისა და პოლიტიკური შერიგების საფუძვლად უნდა იქცეს;

— მან უნდა შექმნას საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე; როცა ადამიანის უფლებებზე ვლახაკობ, ვგულისხმობ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსაც;

— მან საფუძველი უნდა ჩაუყაროს ქვეყნის ეკონომიკურ სისტემას, განსაზღვროს საკუთრებითი ურთიერთობის პრინციპები, რათა შესაძლებელი გახდეს ქვეყნის ეკონომიკისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;

— მან უნდა გადაჭრას საქართველოს ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა, როგორცაა სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა; კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობა აუხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემათა მოგვარების ერთობ არაორდინალურ და ეფექტიან ბერკეტად შეიძლება გადაიქცეს;

— კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირდეს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის პრინციპები და ფორმები, რათა ბოლო მოეღოს გაუთავებელ ექსპერიმენტებს ამ სფეროში;

— მან საფუძველი უნდა ჩაუყაროს ჭეშმარიტ სასამართლო რეფორმას, რათა ბოლოსდაბოლოს გაჩნდეს ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების მიმართ.

მომავალმა კონსტიტუციამ წარმატებით რომ შეასრულოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქცია, ჩვენი აზრით, მასზე მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შემდეგ კონსტიტუციონალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში მრავალი საყურადღებო სიახლე გაჩნდა, აღარც საქართველო და მისი ხალხია 20-იანი წლების დონეზე, ამიტომ არანაირი დოგმით და ტაბუდადებული დებულებით არ უნდა შევიზღუდოთ. შესაძლოა, ზოგი მუხლი ამოსაღებაც იყოს, ახალი დებულებებიც დაემატოს, გამორიცხული არაა, რომ კონსტიტუციის სტრუქტურის კორექტირების საჭიროებაც გაჩნდეს. დარწმუნებული ვართ, 1921 წლის კონსტიტუციის მრავალი დებულება თავისი ღრმადგაზრებულობისა და ფუნდამენტურობის გამო ამგვარ კრიტიკულ მოპყრობასაც გაუძლეებს და ახალ რედაქციაში შენარჩუნებული იქნება ძველი სულისკვეთება, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა სფეროში.

2. დიდი ყურადღება უნდა დაუთმოთ კონსტიტუციის შექმნის სფეროში დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას. ამის აუცილებლობა მხოლოდ იმით როდია ნაკარნახევი, რომ ჩვენი სახელმწიფო სამართლის მეცნიერება გასაგები მიზეზების გამო ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. საერთაშორისო პრაქტიკას გულმოდგინედ სწავლობენ სამართლებრივი კულტურის თვალსაზრისით ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი. ამისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საერთაშორისო სამართლის მზარდი როლი სახელმწიფოების შიდასამართლებრივ სისტემებში. ცივილიზებულ ქვეყნებში შიდასახელმწიფოებ-

რივი სამართლის სულ უფრო მეტი საკითხი რეგულირდება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და თუ გვსურს, რომ ჩვენმა კონსტიტუციამ ღირსეულად აღილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციებს შორის, მისი ძირითადი დებულებები მსოფლიოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.

ამ მხრივ უკვე მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა. რამდენიმე სერიოზულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრმა გამოთქვა სურვილი პრაქტიკული დახმარება აღმოვეჩინონ ამ საქმეში. ჩატარდა რამდენიმე ღონისძიებაც, რომელთა შედეგებსაც ცალკე გაეცნობით.

3. ზემოთ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა-გამოყენებაზე ვილაპარაკე, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ჩვენი მიზანია საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება და არა რაღაც თეორიული, სანიმუშო ვარიანტის შექმნა. კატეგორიულად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ გამოგვადგება მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციის მთლიანი ან ნაწილობრივი გადმოღება. ჩვენ უნდა შევექმნათ საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული საკუთარი მოდელის კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს წარსულს, თანამედროვეობასა და მომავალს, მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, კულტურას, ტრადიციებს, თავისებურებებს, ქართველი ხალხის ზნეობას, სამართლისა და სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებას გაითვალისწინებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ქართულ სახელმწიფოზე, ქართულ ფენომენზე, რომელიც სხვადასხვა ეროვნების ხალხთა, რელიგიათა, მსოფლმხედველობათა თანაცხოვრების და თანარსებობის მრავალსაუკუნოვან უნიკალურ გამოცდილებასაც გულისხმობს, და კონსტიტუციასაც ჩვენთვის ვქმნით. შევეცადოთ, რომ მასში მაქსიმალურად უზრუნველყოთ პიროვნების თავისუფლება, ადამიანები ქცევის ნორმებით შევზღუდოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია, და ვუტოვოთ მათ მეტი თავისუფლება.

4. კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობისას ალბათ საჭირო იქნება სპეციალური სისტემის შექმნა, რათა უყურადღებოდ არ დარჩეს ამ თემაზე გამოთქმული არცერთი მოსაზრება. მეტიც, ჩვენ უნდა ვთხოვოთ საქართველოს მთელ მოსახლეობას, აქტიურად ჩაებან კომისიის მუშაობაში, გამოგვიგზავნონ თავიანთი მოსაზრებები, შეხედულებები. მართალია, პროექტი გამოქვეყნდება საყოველთაო განხილვისათვის, მაგრამ გაცილებით ეფექტიანი იქნება ფართო საზოგადოების მონაწილეობა კონსტიტუციის შემუშავების საწყისი ეტაპიდანვე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ კომისიის მუშაობაში ახალგაზრდა სპეციალისტებისა და სტუდენტების ჩაბმას. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანწილად მათთვის იქმნება და ამიტომ კარგი იქნება, თუ მას ახლავე გაითავისებენ, მითუმეტეს, რომ ბევრი მათგანი უკვე მუშაობს ამ პრობლემატიკაზე და საკუთარი მოსაზრებებიც გააჩნია.

5. უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტიტუციას რეფერენდუმით იღებს ხალხი და იგი ხალხისთვისვეა გამიზნული, ამიტომ კონსტიტუცია გასაგები უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ტექსტის მაქსიმალური სისადავე, ერთი მხრივ, და ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მეორე მხრივ, კომისიამ ამ პირველი დღეებიდანვე უნდა დაიწყოს კონსტიტუციონალიზმის ძირითადი საკითხების გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, შემდეგ თანდათან საჭირო იქნება კონსტიტუციის კონკრეტული დებულებების განმარტებაც. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა კონსტიტუციის პროექტის განსახილველად გამოქვეყნებისათვის ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს გააჩნდეს საკმარისი ინფორმაცია და ცოდნა კონსტიტუციის ტექსტის კრიტიკული ანალიზისათვის.

6. ნუ დაგვაიწყდება, რომ დღევანდელი ჩვენი სახელმწიფო სხვა სახის შიმშილთან ერთად, ნორმატიულ შიმშილსაც განიცდის. არა მგონია, ამ პრობლემის სიმწვავე ნაკლები იყოს კონსტიტუციის მიღების დროისათვის. სამწუხაროდ, სრული დატვირთვით კანონშემოქმედებით სფეროში ვერც პარლამენტი მუშაობს და ამ პროცესს ძირითადი კანონის უქონლობაც აფერხებს, ამიტომ საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის ტექსტთან ერთად, შესაძლოა მოამზადოს იმ უმთავრესი ორგანული კანონების პროექტებიც, რომელთა მიღება განსაკუთრებით საჭირო იქნება კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ.

7. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ისეთი კონსტიტუციის შემუშავება, რომელიც მინიმუმ ორ-სამ ათეულ წელს მაინც იმოქმედებს, ამიტომ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ თავი დავაღწიოთ დღევანდელი, პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენას და მომავალშიც გამოსადეგი მოდელები შევქმნათ. კონსტიტუციის სტაბილურობა ქვეყნის სტაბილურობის უპირველესი გარანტიაა, თუმცა კონსტიტუციის სტაბილურობისათვის მხოლოდ ეს არ კმარა. საჭიროა მისი დაცვა მომავალში შესაძლო პოლიტიკური კონიუნქტურისაგანაც, რათა რაიმე პოლიტიკურმა ძალამ კონსტიტუციის „მორგება“ ვერც მაშინ შეძლოს. ამისათვის საჭიროა კონსტიტუციაში ჩაიდოს კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელების სათანადო მექანიზმი. 1921 წლის კონსტიტუციაში ამ მხრე მეტად საინტერესო დებულებებია, თუმცა გამორიცხული არაა სხვა უფრო ეფექტიანი მოდელების გამოძებნაც.

დღეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა და აღბა მიზანშეწონილი არ იქნებოდა კონსტიტუციის ცალკეულ დეტალებზე უფრო დაწვრილებითი საუბარი. შევეცადე, თქვენთვის გამეზიარებინა მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება ჩვენი მომავალი ერთობლივი მუშაობის ძირითადი ასპექტების თაობაზე. შეგნებულად არაფერი მითქვამს სახელმწიფო წესწყობილების შესაძლო მოდელებზეც. იქნება საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ძლიერი პარლამენტი თუ ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, თუ ერთიცა და მეორეც, პასუხს მოითხოვს ეს და მრავალი მსგავსი კითხვა. ჩემი თხოვნა იქნებოდა, არ აჩქარებულებოდით ამ საკითხების გადაწყვეტისას, გულდასმით მოგვესმინა და გავგეანალიზებინა ყველა პოზიცია და არგუმენტი.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მომავალი საქმიანობა თითოეული ჩვენთაგანისათვის მეტად საინტერესო და სასარგებლო იქნება. ვისურვებდით ერთი წლის თავზე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება მიგველოცოს ერთმანეთისათვის. მჯერა, რომ ეს იქნება XXI საუკუნის საქართველოს კონსტიტუცია.



საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამართლებრივი გდგომარეობა ახალ კონსტიტუციაში

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1993 წლის 16 თებერვლის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ელუარდ შევარდნაძე. კომისიას დაევა 1993 წლის დეკემბრამდე წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი. გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება ამ საკითხის გარშემო.

გასაკებია, რომ ერთი საყურნალო სტატია არ იძლევა შესაძლებლობას შევხვით კონსტიტუციური მშენებლობის ყველა სფეროს. ამიტომ ვისაუბრებ მხოლოდ ერთ საკითხზე — როგორ წარმოვიდგინო რესპუბლიკის მომავალი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — პარლამენტი. კერძოდ, შევხები პარლამენტის არჩევის წესს, სტრუქტურას და კომპეტენციას.

1921 წლის კონსტიტუციით საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისაგან.

საარჩევნო სისტემის პრინციპები (საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით) უცვლელი უნდა დარჩეს, მაგრამ ჩვენი აზრით, სადავოა საარჩევნო სისტემის საკითხი. საარჩევნო სისტემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მეტწილად მასზეა დამოკიდებული თუ როგორა შემადგენლობის იქნება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო.

როგორც ცნობილია, დღეს ძირითადად გამოიყენება ორი საარჩევნო სისტემა: მაჟორიტარული და პროპორციული.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არჩევნების შედეგების განსაზღვრის ისეთი სისტემაა, რომლის დროსაც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი ან კანდიდატთა სია, რომლებმაც მიიღეს დადგენილი ხმების უმრავლესობა. არსებობს მაჟორიტარული სისტემის ორი ძირითადი სახე. მაჟორიტარული სისტემა აბსოლუტური უმრავლესობით, რომლის დროსაც კანდიდატმა უნდა მოაგროვოს ხმების ნახევარზე მეტი (50%-ი) და მაჟორიტარული სისტემა შედარებით უმრავლესობით, რომლის მიხედვითაც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მოაგროვა თითოეულ მის მოწინააღმდეგეზე მეტი ხმა.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს პარტიები პარლამენტში მანდატებს ღებულობენ მათ მიერ მოგროვებული ხმების პროპორციულად.

დავას არ იწვევს ის საკითხი, რომ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით, პროპორციული საარჩევნო სისტემა უფრო პროგრესული ფორმაა, მაგრამ, ჩვენი აზრით, არა ყველა ქვეყნისათვის და არა ყველა ვითარებაში. ასეთი სისტემა უდავოდ მისაღებია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც პარტიათა რაოდენობა შედარებით მცირეა (ყოველ შემთხვევაში ათზე მეტი არ არის) და

რაც მთავარია, მოსახლეობა კარგად იცნობს თითოეული პარტიის ამოცანებს და მათი განხორციელების გზებსა და მეთოდებს.

ჩვენს რესპუბლიკაში დღეს ასზე მეტი პარტია არსებობს. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ამ პარტიას ერთი ძირითადი ამოცანა და მიზანი ამოძრავებს, კერძოდ, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვება და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მაგრამ ბუნებრივია, რომ მათ ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზები და მეთოდები აქვთ. ჩვენ არ გვეგულება რესპუბლიკაში თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც კარგად იცოს გარკვეული და იცნობდეს ყველა ამ პარტიის პროგრამას და მათ მიერ დასახულ გზებსა და მეთოდებს. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ამომრჩეველი შედეგის გაუთვითცნობიერებლად აძლევს ხმას ამა თუ იმ პარტიას ან ბლოკს, ან უკეთეს შემთხვევაში ხმას აძლევს რომელიმე პარტიას იმის გამო, რომ იცნობს მის ლიდერს.

პროპორციული საარჩევნო სისტემა წმინდა პარტიულია. აქ თითოეული პარტია წარმოადგენს თავის კანდიდატთა სიას და ამომრჩეველს არა აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება სიაში წარმოდგენილი თითოეული პირისადმი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პროპორციული სისტემა ამის შესაძლებლობასაც იძლევა, მაგრამ ეს იმდენ სირთულესთანაა დაკავშირებული, რომ მას იშვიათად იყენებენ. ჩვენს რესპუბლიკაში ორჯერ ჩატარდა არჩევნები პროპორციული სისტემით და ამომრჩევლები ორივეჯერ იძულებულნი იყვნენ თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ არა კანდიდატისადმი, არამედ რომელიმე პარტიის ან ბლოკისადმი. ჩვენს ვითარებაში ეს შესაძლებლობას იძლევა, რათა ბევრი უღირსი ადამიანი მოხვდეს პარლამენტში. ეს უკვე მოხდა წინა უზენაესი საბჭოს არჩევნებისას, როცა ბლოკმა „მრგვალმა მაგიდამ“ გაიმარჯვა.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არჩევნები ტარდება ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლის დროსაც ამომრჩევლები ხმას აძლევენ არა პარტიულ სიებს, არამედ ცალკეულ კანდიდატებს. ეს კი შესაძლებლობას აძლევს ამომრჩევლებს შეისწავლონ თითოეული კანდიდატი, გაეცნონ მათ წარსულს, საქმიანობას, პროფესიას, უარყოფით და დადებით მხარეს, შეადარონ ერთმანეთს და ხმა მისცენ საუკეთესოს. ასე რომ, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ამჟამად არსებულ ვითარებაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ამომრჩეველთა მიერ კანდიდატთა შერჩევაში შეცდომების დაშვების ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა. დღეს, როცა პარლამენტის წევრი სარეგბლობს თავისუფალი მანდატით და ამომრჩევლებს არა აქვთ დებუტატის გაწვევის უფლება, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ მინიმუმამდე დავიყვანოთ ამომრჩეველთა მიერ შეცდომის დაშვების შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, არ შეიძლება არჩევნები ჩავატაროთ მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით.

მართალია, საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნის კონსტიტუციაში ასახულია საარჩევნო სისტემა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად არ მივგაჩნია ჩვენს კონსტიტუციაში ამის დაფიქსირება. ეს შეიძლება გადაწყდეს კანონით საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ. მაგრამ თუ გადავწყვეტთ ამას, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ პარლამენტის არჩევნები ტარდება მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით. ამასთანავე, თუ ახალმა კონსტიტუციამ განსაზღვრა, რომ პარლამენტი იცოს ორპალატიანი, მაშინ საკითხი დადგება ცოტა სხვანაირად, რაზედაც ქვემოთ ვექვძება საუბარი.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ამ სისტემებით არჩევნების ჩატარება საჭიროდ მიგვაჩნია დღეს არსებული ვითარების გამო. მაგრამ როცა ვითარება შეიცვლება, პარტიათა რაოდენობა დავა სასურველ რიცხვამდე, როცა შესაძლებელი იქნება მათი პროგრამების გაცნობა და შესწავლა, სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია არჩევნების ჩატარება მხოლოდ პროპორციული სისტემით.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარლამენტის სტრუქტურის განსაზღვრას, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმის გადაწყვეტას, რესპუბლიკის პარლამენტი ერთ პალატიანი იყოს თუ ორპალატიანი.

საზღვარგარეთის ქვეყნების და რაც მთავარია, განვითარებული კაპიტალიზმისა და დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში პარლამენტი ორპალატიანია.

მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის პარლამენტი უნდა იყოს ორპალატიანი, რადგან, მას ერთპალატიან სისტემასთან შედარებით, გარკვეული უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, უფრო მეტად გახდება შესაძლებელი საზოგადოების ყველა ფენის მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში; მეორე, ორპალატიანი სისტემა იძლევა პოლიტიკურ ძალთა გათანაბრების მეტ შესაძლებლობას; მესამე, ორპალატიანი სისტემა არის პარლამენტში რეგიონალურ ინტერესთა წარმოდგენის ეფექტიანი საშუალება; მეოთხე, პარლამენტის ქვედა პალატა იძულებულია იმუშაოს უფრო ეფექტიანად, საზრიანად და მოქნილად, რადგან მის საქმიანობაზე ძალაუფლებურად გარკვეულ კონტროლს ახორციელებს მეორე პალატა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ზედა პალატის ფორმირების რამდენიმე გზა არსებობს: 1. მემკვიდრეობის პრინციპი; 2. სახელმწიფოს მეთაურის მიერ დანიშვნის პრინციპი და 3. არჩევის პრინციპი.

მემკვიდრეობის პრინციპი უდევს საფუძვლად ინგლისის ზედა პალატის (ლორდთა) შექმნას, თუმცა დღეისათვის პალატის წევრთა ნაწილი მის შემადგენლობაში ხვდება სხვა გზებითაც (მეფის მიერ დანიშვნა).

ზოგიერთი ქვეყნის ზედა პალატის მთელი შემადგენლობა ინიშნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ (კანადა, იამაიკა, იორდანია და სხვ); ზოგან კი პალატის წევრთა გარკვეულ ნაწილს ირჩევენ (ირლანდია, იტალია, ინდოეთი და სხვ).

საზღვარგარეთის უმრავლეს ქვეყანაში ზედა პალატის ფორმირება ხდება არჩევნების გზით, მაგრამ ქვედა პალატების არჩევნებისაგან განსხვავებული წესით. მაგალითად, საფრანგეთში, ნიდერლანდებში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ზედა პალატა იქმნება არაპირდაპირი არჩევნებით. ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია ქვედა და ზედა პალატების შექმნა პირდაპირი არჩევნების გზით, მაგრამ სხვადასხვა პირობებით, კერძოდ, ზედა პალატაში ასარჩევად მრავალ ქვეყანაში დაწესებულია უფრო მაღალი ასაკობრივი ცენზი, ვიდრე ქვედა პალატაში: აშშ-ში და იაპონიაში — 30 წელი, მექსიკაში — 35 წელი, იტალიასა და ბელგიაში — 50 წელ. ამ ქვეყნების ქვედა პალატაში ასარჩევად საკმარისია 25 წელი. ამასთან, მრავალ ქვეყანაში ზედა პალატები ირჩევა უფლებამოსილების უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ქვედა პალატები. საფრანგეთში სენატი ირჩევა 9 წლის, ხოლო ერთნული კრება — 5 წლის ვადით, აშშ-ში სენატი — 6 წლით, წარმომადგენელთა პალატა — 2 წლით¹.

¹ «Государственное право буржуазных и освободившихся стран», под ред. Б. Стародубского и В. Чиркина, М., 1986, стр. 167-168.

ჩვენი აზრით, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღებო ფორმა იქნება ზედა პალატის შემადგენლობის გარკვეული ნაწილის დანიშვნა სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის მიერ².

ცნობილია, რომ 70 წლის განმავლობაში ფაქტობრივად ჩამორთმეული გექონდა საარჩევნო უფლება. დეპუტატობის კანდიდატთა სია წინასწარ დგებოდა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ჩვენ გვაკვლავდებულბდნენ ხმა მიგვეცა ამ სიებისათვის. ამან, რა თქმა უნდა, გამოიწვია მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება არჩევნებისადმი, რის აღმოფხვრასაც გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომაც, რომ დღესაც ბევრ ჩვენთაგანს ვათვითცნობიერებული არა აქვს არჩევნების მნიშვნელობა და ხშირად მოვალეობის მოხდის მიზნით ვაძლევთ ხმას ამა თუ იმ პარტიულ სიას ან კანდიდატს. ეს კი საბოლოო ჯამში იწვევს პარლამენტში არაკვალიფიციური ადამიანების თავმოყრას. ცხადია, მომხრე ვართ, რომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარმოდგენილი იყვნენ ყველა დარგის სპეციალისტები, მაგრამ, როგორც ეს ყველა მაღალ განვითარებულ ქვეყანაში ხდება, უმრავლესობა მაინც ეკონომისტები და იურისტები უნდა იყვნენ. სამწუხაროდ, მათი ნაკლებობა აშკარად შეიმჩნევა ჩვენს პარლამენტში. ცნობილია, რომ ინგლისის ლორდთა პალატაში მეფეს აქვს თერთმეტი წევრის დანიშვნის უფლება. ამ ადგილებს იკავებენ მხოლოდ მაღალკვალიფიციური იურისტები.

პარლამენტში სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა თუნდაც ნაწილობრივ გათანასწორობის მიზნითაც, საჭიროდ მიგვაჩნია ზედა პალატის შემადგენლობის გარკვეული ნაწილის დანიშვნა.

ჩვენი დამოკიდებულება რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის სტრუქტურისადმი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. პარლამენტი უნდა იყოს ორპალატიანი; 2. პირველი პალატა შეიქმნას არჩევნების გზით, ხოლო მეორე პალატის შემადგენლობის გარკვეული ნაწილი — დანიშვნით; 3. მეორე პალატის რიცხოვრივი შემადგენლობა უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე პირველისა; 4. პირველ პალატაში დეპუტატად არჩევის უფლება მიეცეთ 23 წლის ასაკიდან, ხოლო მეორე პალატაში — 25 წლის ასაკიდან; 5. პირველ პალატასთან შედარებით მეორე პალატის უფლებამოსილების ვადა უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს.

რაც შეეხება პალატათა სახელწოდებებს, სამსჯელო საკითხია. ჩვენი აზრით, ერთ პალატას შეიძლება ვუწოდოთ რეგიონალური პალატა, ხოლო მეორეს — რესპუბლიკური პალატა.

მეტად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური საკითხია პარლამენტის კომპეტენციის სწორად განსაზღვრა, რადგან სწორედ კომპეტენცია წარმოადგენს პარლამენტის არა მარტო სამართლებრივი მდგომარეობის და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი როლის, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთ-დამოკიდებულების განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

კომპეტენციის მიხედვით პარლამენტები შეიძლება დავეოთ სამ ჯგუფად:

1. პარლამენტები აბსოლუტურად განსაზღვრული კომპეტენციით. ეს ისეთი პარლამენტებია, რომელთა უფლებამოსილება კონსტიტუციით ზუსტად არის განსაზღვრული, ე. ი. ზუსტად არის ჩამოთვლილი საკითხთა ის წრე, რომლის გადაწყვეტის უფლება აქვს პარლამენტს. კლასიკური მაგალითია აშშ-ი. კონსტი-

² თუ რომელს მიენიჭოს ეს უფლება დამოკიდებული იქნება სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე.

ტუციის პირველი მუხლის მე-8 განყოფილებაში ზუსტად არის ჩამოთვლილი 18 პუნქტი, რომელიც შედის კონგრესის უფლებამოსილებაში;

2. პარლამენტები აბსოლუტურად განუსაზღვრელი კომპეტენციის პარლამენტები იურიდიულად ფლობენ განუსაზღვრელ უფლებებს, მათ შეუძლიათ მიიღონ კანონები ნებისმიერ საკითხზე (ახალი ზელანდია, იტალია, ირლანდია და სხვ.);

3. პარლამენტები შედარებით განსაზღვრული კომპეტენციით. ამ შემთხვევაში პარლამენტის მიერ გადასაწყვეტ საკითხთა ჩამოთვლა კონსტიტუციაში ამომწურავი არ არის, რაც უფლებას აძლევს პარლამენტს გადაწყვიტოს ისეთი საკითხებიც, რომლებიც კონსტიტუციით მის კომპეტენციაში არ შედის (მაღალანობილი, ინდოეთი და სხვ.).

ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი პარლამენტი მიეკუთვნება შედარებით განსაზღვრული კომპეტენციის მქონე პარლამენტთა ჯგუფს, რადგან სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მე-7 მუხლში უფლებამოსილებათა ჩამოთვლა ამომწურავი არ არის.

გფიქრობ, ჩვენთვის უფრო მისაღებია პარლამენტი აბსოლუტურად განსაზღვრული კომპეტენციით.

დღეს ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ხელისუფლების განაწილების პრინციპზე, რაც ზოგადად რომ ვთქვათ, ნიშნავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ზუსტ გამიჯვნას. სწორედ იმისათვის, რომ მოხდეს მათი საქმიანობის ზუსტი გამიჯვნა და ერთმა რომელიმე არ მიითვისოს დანარჩენი ორი ფუნქციები, თითოეული ორგანოს კომპეტენცია უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული. აბსოლუტურად განუსაზღვრელი ან შედარებით განსაზღვრული კომპეტენცია პარლამენტს აძლევს შესაძლებლობას შეიჭრას სხვა ორგანოთა უფლებებში, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევას გამოიწვევს.

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში აუცილებლად უნდა შეიქმნას კონსტიტუციური ზედამხედველობის ინსტიტუტი, რაც შეუთავსებელია არა მარტო აბსოლუტურად განუსაზღვრელი, არამედ შედარებით განსაზღვრული კომპეტენციის მქონე პარლამენტის დოქტრინასთან.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ

მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.

ეს კანონი საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს მოქალაქეობა

საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.

საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

მუხლი 2. მოქალაქეობის უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში ამ კანონით დადგენილი წესით ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა.

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, თუ სამათვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და 4 თვის ვადაში მიიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

ბ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა

საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და პოლიტიკური მრწამსის, საქმიანობის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 5. საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა

საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, აგრეთვე პირადი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს ძირითადი კანონი და სხვა კანონები, გაუფრთხილდნენ ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობას, ხელი შეუწყონ მის ძლიერებას, იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგულნი.

მუხლი 6. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველოს რესპუბლიკა.

მუხლი 7. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება საზღვარგარეთ მცხოვრები პირისათვის

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქის ცხოვრება თავისთავად არ იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

მუხლი 8. სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არამქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი მოვალენი არიან პატივი სცენ და დაიცვან საქართველოს კანონები, მათ გარანტირებული აქვთ საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებება და თავისუფლებები, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი პირადი, ქონებრივი და სხვა უფლებათა დასაცავად.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს უფლება აქვთ დახმარებისა და დაცვისათვის მიმართონ თავისი ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს.

მუხლი 9. სხვა სახელმწიფოსათვის საქართველოს მოქალაქის გადაცემის დაუშვებლობა

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს.

თავი II

საქართველოს მოქალაქეობის შექმნა

მუხლი 10. საქართველოს მოქალაქეობის შექმნის საფუძვლები

საქართველოს მოქალაქეობის შექმნა ხდება:

- ა) დაბადებით;
- ბ) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით);
- გ) საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

მუხლი 11. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტიდან საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად.

მუხლი 12. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტი სათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ:

ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტი-სათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებულ ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში — იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

იმ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

მუხლი 13. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან

საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 14. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 15. უცნობ მშობელთა ბავშვის მოქალაქეობა

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება.

მუხლი 16. ბავშვის მოქალაქეობა მშობლების მოქალაქეობის შეცვლისას

ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს 14 წელს მაუღწეველი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

მუხლი 17. ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის შეცვლისას

ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეცვლისას ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება.

თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიუღწეველ ბავშვთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას.

ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის დაკარგვა არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 18. ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შექენისას

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით ბავშვი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე.

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 19. სრულწლოვანი პირის მიერ მოქალაქეობის არჩევის შესაძლებლობა

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობის შემთხვევაში პირი სრულწლოვანების მიღწევისას სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობას.

მუხლი 20. ბავშვის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შექენა შვილად აყვანის შემთხვევაში

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, თუ მას შვილად აიყვანენ საქართველოს მოქალაქეები, ხდება საქართველოს მოქალაქე.

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქე და სხვა სახელმწიფოს მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში მშვილებელთა ერთობლივი შუამდგომლობით საქართველოს მოქალაქე ხდება.

მუხლი 21. ბავშვის მოქალაქეობის შენარჩუნება შვილად აყვანის დროს

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში მშვილებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა.

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, თუ იგი შვილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მეუღლეებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 22. ბავშვის მოქალაქეობა, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა

ბავშვი, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, არმქონე მეუღლეებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 23. არაქმედუნარიან პირთა მოქალაქეობა

არაქმედუნარიან პირთა მოქალაქეობა განისაზღვრება მეურვის მოქალაქეობის შესაბამისად.

მუხლი 24. დავა ბავშვების, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე

დავა მშობლებს, მეურვეებს ან მზრუნველებს შორის ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე განიხილება სასამართლო წესით ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 25. საქართველოს მოქალაქეობა ქორწინების ან განქორწინებისას

საქართველოს მოქალაქის ქორწინება ან განქორწინება უცხოელ მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან თავისთავად არ იწვევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლას.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას.

მეუღლეთა განქორწინება არ იწვევს მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 26. საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები

საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის შესაბამისად მიიღება სრულწლოვანი უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;

ბ) დადგენილ ფარგლებში იცის ქართული ან აფხაზური ენა;

გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა;

დ) საქართველოს რესპუბლიკაში აქვს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება.

საქართველოს მოქალაქედ არ მიიღება ისეთი განზრახ დანაშაულისათვის ნასამართლევე პირი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წელზე მეტი ვადით, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს საქართველოს მოქალაქის დეკლარაციას.

მუხლი 27. საქართველოს მოქალაქედ მიღების განსაკუთრებული პირობები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, გამონაკლისის სახით, უფლება აქვს ამ კანონის 26-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლად მიიღოს საქართველოს მოქალაქედ, პირი თუ:

ა) კაცობრიობის და საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომელიც წარმოადგენს ინტერესს საქართველოს რესპუბლიკისათვის;

ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

მუხლი 28. საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის მიღება საქართველოს მოქალაქედ

პირი, რომელიც დაქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის 26-ე მუხლის „ბ“, „გ“, პუნქტებისა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 29. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა

საქართველოს მოქალაქეობა პირს შეიძლება აღუდგეს ამ კანონის შესაბამისად, თუ მოქალაქეობა მას შეუწყდა:

ა) მოქალაქეობის არამართლზომიერი დაკარგვის შედეგად;

ბ) მოქალაქეობიდან გასვლის, მშობლების არჩევანის შედეგად, თუ დაბრუნებული პირი განცხადების შეტანის დროისათვის მუდმივად ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკაში და აკმაყოფილებს ამ კანონის 26-ე მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტებისა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა



მუხლი 30. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა;
- ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- გ) საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 31. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა

საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი წყდება ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობის, სამხედრო ვალდებულების მოუხდელობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა

ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას თუ:

- ა) საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში;

- ბ) მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში;

- გ) საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით;

- დ) მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

თავი IV

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი

მუხლი 33. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებანი მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

- ა) უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე;

- ბ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე;

- გ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე;

- დ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე.

მუხლი 34. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანა

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადებები დაინტერესებულ პირებს შეაქვთ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში; საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირები განცხადებას საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით ან პირდაპირ უგზავნიან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

14 წლამდე ასაკის პირთა შუამდგომლობები საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე შეაქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

მუხლი 35. წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე

წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში შეაქვთ სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს. სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ — შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულოს.

მუხლი 36. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვა

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებას და წარდგინებას წინასწარ განიხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო. დასკვნა მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე მტკიცდება იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე.

მუხლი 37. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში — განკარგულებას.

მუხლი 38. მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის ვადები მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

მუხლი 39. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განმეორებითი განხილვა

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების განმეორებითი განხილვა შეიძლება წინა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 40. სახელმწიფო ბაჟი

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 41. დებულება მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვის წესის შესახებ

დებულება საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვის წესის თაობაზე მტკიცდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით.

მუხლი 42. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით განცხადების განხილვაზე დაუსაბუთებელი უარის, შუამდგომლობათა განხილვის ვადების დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედებებისათვის შესაბამისი თანამდებობის პირები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 43. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები

საქართველოს მოქალაქეობა დასტურდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან საქართველოს მოქალაქის პასპორტით.

16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა დასტურდება დაბადების მოწმობით და მშობლების პასპორტით ან მოქალაქის პირადობის მოწმობით.

16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც უცნობი არიან, დასტურდება დაბადების მოწმობით.

მუხლი 44. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას გაცემენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.

სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს პასპორტს აძლევს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება.

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებისა და გაცემის წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 45. საპატიო მიზეზით გადაცილებული ვადის აღდგენა

თუ პირმა ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ განაცხადა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე ან ვერ მიიღო მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მას გადაცილებული ვადა აღუდგება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 46. საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას ამ კანონთან ერთად გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, ამ კანონისაგან განსხვავებული წესებია დადგენილი, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური — **ილუარდ ზეპარდნაძე**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი — **ვანტან ზოგუშაძე**

თბილისი, 1993 წ. 25 მარტი

ალბათ, კანონი გვექნება

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონის მიმართ დაინტერესება დიდა როგორც პოლიტიკური წრეებისა, ისე ფართე საზოგადოებისა. ამ კანონის უკვე სამი პროექტი გამოქვეყნდა:

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის იურიდიული კომისიისა („საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ. 24 თებერვალი);

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა („საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ. 25 თებერვალი);

საქართველოს სახალხო ფრონტისა („საქართველო“, 1993 წ. № 7).

ვისაც დაკვირვებით წაუკითხავს სამივე პროექტი, დამეთანხმება, რომ ისინი არსებითად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ამან მაფიქრებინა: ხომ არ აჯობებდა ავტორებს ისინი შეეჯერებინათ და მერე გამოექვეყნებინათ ერთი პროექტის სახით. რა თქმა უნდა, აღნიშნული იქნებოდა ავტორთა სამივე ჯგუფის სახელი. საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ, რომ უთუოდ უნდა დამკვიდრდეს წესი: ყოველთვის მიეთითოს ამა თუ იმ კანონის პროექტის ავტორის (ავტორთა) სახელი. ასე ხდება ყველგან (ხშირად კანონი ავტორის სახელით არის ცნობილი) და ჩვენც იმგვარად უნდა მოვიქცეთ, როგორც განათლებულ მსოფლიოშია მიღებული. ეს, ერთი მხრივ, ავტორთა პასუხისმგებლობას გაზრდის და, მეორე მხრივ, მთელ საზოგადოებას ეცოდინება, ვინ გასწია შრომა.

სამივე პროექტის კითხვისას ერთი უცნაური შთაბეჭდილება დამრჩა: რაღაცის თუ ვიღაცის შიშით ვართულებთ საქართველოს მოქალაქეობის კანონს. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებისას სამივე პროექტი აუცილებლად მიიჩნევს ფიცის დადებას (შემოთავაზებულა ფიცის ტექსტიც). ეს შეიძლებოდა ჩაგვეთვალა გარკვეული უნდობლობის გამოძულავნებად იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც სურს გახდეს საქართველოს მოქალაქე. თუ გვგონია, რომ ვინმე შეიძლება ბოროტი განზრახვით გახდეს საქართველოს მოქალაქე, მას ფიცი ვერც შეაშინებს და ვერც შეაჩერებს. ბოროტმოქმედებს ფიცისა არ ეშინიათ და არც ერიდებათ. თუ ადამიანი რწმენითა და სიყვარულით ხდება საქართველოს მოქალაქე, ცხადია, იგი ფიცის მიუღებლადაც ერთგული იქნება. ფიცით ორგულს ხელ-ფეხს ვერ შევუკრავთ, ხოლო ერთგულს, გამოდის, ეჭვის თვალით ვუყურებთ. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: მეტ დაფიქრებასა და განსჯას მოითხოვს რამდენად აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას ფიცის დადება. იქნებ საკმარისია ის პუნქტები, სადაც ჩამოთვლილია, რა ვითარებაში და რა მიზეზით შეიძლება ამა თუ იმ პირს ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა.

ორი პროექტი — პარლამენტის იურიდიული კომისიისა და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა — აღნიშნავს, რომ ფიცის წარმოთქმის დროს თანაბარი უფლება ენიჭება ორ ენას — ქართულსა და აფხაზურს. გულწრფელად რომ ვითხრათ, პირადად ჩემთვის სრულიად გაუგებარია სახელმწიფო დონეზე აფხაზთა მიმართ ამგვარი მლიქვნელობის გამოვლინება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამით აფხაზებს მოხიბლავენ და ისინი აღარ ისურვებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და საქართველოს სახელმწიფოდან გას-

ვლას, იგი ძალიან ცდება. ეს შედავითი მათ საქართველოსკენ ვერ მოაბრუნებს. ზოლო თუ აფხაზები მიხედებიან თავიანთ შეცდომას, მაშინ მათ ეს მლიქვნელობა აღარ სჭირდებათ. ასე რომ, ამოდ ვირჯებით. სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. აფხაზეთისადმი ისეთი მლიქვნელური დამოკიდებულება შეურაცხყოფას აყენებს (და სრულიად უსაფუძვლოდ) საქართველოში მოსახლე სხვა არაქართულ ნაწილს, რომლის რიცხვობრივი რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე აფხაზებისა. აფხაზთადმი მლიქვნელობის გამართლება არ შეიძლება იმით, რომ ისინი თითქოს საქართველოს ტერიტორიის აბორიგენი მოსახლეობაა. კაციშვილმა არ იცის, საქართველოს მატრიანეში მოხსენიებული აფხაზები და დღევანდელი აფხაზები ერთიდაიგივე ხალხია თუ — არა. თუ ამაზე მსჯელობა დავიწყეთ, ეს ისტორიის ისეთ უღრანში შეგვიყვანს, რომ იქიდან ვერასოდეს გამოვძვრებით. ამიტომ დავანებოთ თავი აფხაზთა აბორიგენობასაც, თვალთმაქცობასაც და კანონი თანაბრად გავავრცელოთ ყველაზე, აფხაზი იქნება იგი თუ რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ, თუ აფხაზს უფლება ეძლევა აფხაზურ ენაზე წარმოთქვას ფიცი, მაშინ იმის უფლებაც ეძლევა არ იცოდეს ქართული. რა დამსახურებისათვის ასეთი „საჩუქარი“?

ენის ცოდნასთან დაკავშირებით ზოგიერთი დელიკატური საკითხია გასათვალისწინებელი.

უეჭველი და უდავოა, რომ საქართველოს მოქალაქემ ქართული ენა უნდა იცოდეს. მაგრამ უყურადღებოდ ნუ დავტოვებთ ერთ გარემოებას. რთულმა და კოლონიურმა ისტორიულმა ცხოვრებამ შექმნა ვითარება, როცა საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა. მათ შორის ქართველებიც არიან. ბევრმა მათგანმა შეიძლება ვეღარც ისწავლოს. ბევრს უჭირს ენის სწავლა, მით უმეტეს, ასაკოვან ადამიანს. თუ მაგალითს მოვიშველიებდით, შეიძლება დავგვესახელებინა ისეთი დიდი მეცნიერი, როგორც იყო გრიგოლ წერეთელი. გრიგოლ წერეთელი თავისი შევნებით, ცნობიერებით იყო ნაღდი ქართველი მოქალაქე, მაგრამ ბედუკუდმართობის გამო ბავშვობაში ვერ ისწავლა ქართული. მერე კი ხანშიშესულმა კაცმა ვეღარ შესძლო მისი ათვისება. რა ვუყოთ ასეთ ადამიანებს? რიგში ჩავაყენოთ, მერხთან დავსვათ და ვუთხრათ — სანამ ქართულს არ ისწავლით საქართველოს მოქალაქენი ვერ გახდებითო?

დიდი რაოდენობით ცხოვრობენ დღეს ქართველები ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, თავად რუსეთში. ბუნებრივია, ბევრი მათგანი მოისურვებს საქართველოში დაბრუნებას. არც ის არის გამორიცხული, რომ ისინი გამოაძევეთ კიდევ. მათ შორის ცოტა არ იქნება ისეთი, რომელმაც ქართული უკვე აღარ იცის. როგორ გადაწყდება მათი მოქალაქეობის საკითხი?

ახლა, როგორ მოვეპყრათ არაქართველებს, რომელნიც ერთგულად, თავდადებით ემსახურებიან საქართველოს, მაგრამ ქართული ენა არ იციან. ვთქვათ, ისეთ კაცს, როგორც იყო დირიჟორი სტოლერმანი ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამ კაცმა ქართული მუსიკალური ხელოვნების სიყვარულით დანაშაული ჩაიდინა. სტოლერმანის ცოლი ქართული კულტურის მოძულე იყო. მან დაწვა „ახესალომ და ეთერის“ კლავირი. სტოლერმანმა ვერ აიტანა ეს ველურა საქციელი და მოჰკლა ცოლი. მაშინ მთელი საქართველო დადგა ფეხზე დირიჟორის დასაცავად. ასეთმა სტოლერმანებმა რომ გვითხრან დღეს — მართალია, ქართული არ ვიცით, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობა გვსურსო, — რა ვუპასუხოთ? უარით გავისტუმროთ რაკი ქართული არ იციან და საქართველოს მოქალაქეობა მივართვათ ვიღაც შარახვეტიებს, რაკი ქართულად დუდღუნებენ?

მე მგონია, ამ საკითხში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონმა უფრო დახვეწილი სახე უნდა მიიღოს. უნდა გავითვალისწინოთ არა მარ-

ტო ის — რა იცის და რა არა ამა თუ იმ პირმა, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა სურს, — არამედ ისიც, თავად ვინ არის ეს კაცი, რა ცხოვრებით უცხოვრია და რა დავაწლი დასდო საქართველოს.

აქ მივადევით ორმაგი მოქალაქეობის საკითხს. ამჟამად სამივე პროექტი კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას და კატეგორიულად ამბობს — საქართველოს მოქალაქე ერთდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

ცოტა ხანს მაინც ნუ ვიქნებით ასე კატეგორიული. დავუშვათ ზოგიერთი რამ, რაც მომავალში გამორიცხული არ არის. ვთქვათ, ქართველი მარია სკოდოვსკა ცოლად გაჰყვა უცხოელ პიერ კიურის. ამ ქალს სურს იყოს მოქალაქე თავისი სამშობლოსიც და ქმრის ქვეყნისაც. ხელაღებით მოვთხოვთ მას — ან შენი სამშობლოს მოქალაქეობა აირჩიე ან ქმრის ქვეყნისაო? ხომ არ იქნება ეს ამ ქალის პიროვნულ უფლებათა ხელოვნურად შეზღუდვა? ვგონებ, რომ იქნება. საჭიროა მერე ეს?

სხვა მაგალითსაც მოვუხმით განსჯისათვის. რომელიმე მარჯორი უორდ-როპმა ან არტურ ლაისტმა ითხოვა საქართველოს მოქალაქეობა. რა ვქნათ — ალტერნატივის წინ დავაყენოთ? ან თქვენი სამშობლოს მოქალაქეობა ან საქართველოსი.

კანონი სრულყოფილი ვერ იქნება. ყოველთვის დარჩება რაღაც უკმარისობის გრძნობა. მაგრამ, რამდენადაც შესაძლებელია, ნუ მოვაკლებთ ხელს მის დამუშავებას, დახვეწას.

მე თუ მკითხავდა ვინმე, იმასაც ვიტყვოდი, რომ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს საქართველოს მოქალაქეობის მიღების დამავიკრავინებელი ინსტანცია იყოს სახელმწიფოს მეთაური. ამ საქმეს ღირსეულად უპატრონებს იუსტიციის სამინისტრო და იუსტიციის მინისტრი. როგორმე უნდა მოვიშალოთ გართულების ტენდენცია და ბიუროკრატიზმი. რამდენად მაღალ ინსტანციებს დავავალებთ საქმის გაკეთებას, იმდენად უფრო დავაბრკოლებთ მის განხორციელებას.

პროექტებში გამოყენებულ ცნებებსაც მინდა შევეხო. საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტებში იხმარება ცნებები — გასვლა, დაკარგვა, ჩამორთმევა. ამ სამიდან ორი — გასვლა და დაკარგვა — აშკარად უნდა ამოვიღოთ კანონიდან.

დაკარგვა უნებლიე აქტია. შეიძლება დაიკარგოს საფულე, წიგნი და ა. შ. მაგრამ მოქალაქეობის დაკარგვა შეუძლებელია. მოქალაქეობა შეიძლება ჩამორთვას პიროვნებას რაიმე დანაშაულთა გამო ან ამა თუ იმ პირმა გარკვეულ მოსაზრებათა გამო უარი თქვას მოქალაქეობაზე. ამდენად, არსებობს ორი პროცესი — საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა და საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა. პირველი გარკვეული ფორმა სასჯელისა, მეორე — პროტესტისა. არავითარი მესამე პროცესი (დაკარგვა) არ არსებობს. მომავალ კანონში უნდა დარჩეს ორი ცნება — ჩამორთმევა და უარისთქმა. ცნებამ „უარისთქმა“ უნდა შეცვალოს ცნება „გასვლა“. ქართული მეტყველების თვალსაზრისით, „საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა“ ყოვლად უვარგისი გამოთქმაა. ხომ არ იხმარება კანონის პროექტებში — „საქართველოს მოქალაქეობაში შესვლა“, არ იხმარება იმიტომ, რომ ყურს ჭრის. ასევე ჭრის ყურს „გასვლაც“.

რატომღაც, რა დანაშაულისათვის, ძნელი სათქმელია, დღეს ქართული მეტყველებიდან გააძევეს „ცოლ-ქმარი“ და დაამკვიდრეს „მეუღლეები“. ამ შეცდომას გვერდი ვერ აუარეს ვერც პროექტების ავტორებმა. არადა, „ცოლ-ქმარი“ გაცილებით ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს ორი სხვადასხვა სქესის ადამიანის ურთიერთობას, ვიდრე „მეუღლეები“, სწორედ იურიდიული კუთხით.

მაგალითად, პროექტში წერია: „ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას“. ნუთუ მტკიცება უნდა იმას, რომ გაცილებით უკეთ ჟღერს და აზრიც უფრო ნათელია, თუ დავწერთ: „ქმრის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს ცოლის მოქალაქეობის შეცვლას და პირუკუ“.

მით უფრო სასაცილოა „მეუღლეობაზე“ ლაპარაკი გაყრის კონტექსტში. ცოლ-ქმარი იყრება. ე. ი. ერთმანეთს ვერ შეეწყვიტენ და ამ დროს მათ მეუღლეობაზე მსჯელობა, მეტი რომ არ ვთქვა, უხერხულია.

ასევე უმჯობესი იქნებოდა „განქორწინების“ ნაცვლად აღგვედგინა „გაყრა“. ჯერ ერთი, ძველქართულად „განქორწინება“ ნიშნავს „გათხოვებას“ და, მეორეც, „გაყრა“ უფრო აზრიანად გამოხატავს პროცესის შინაარსს. ცნებების შინაარსის შეცვლამ შეაქდინა ერთი ქართველი ისტორიკოსი. მათიანეში წაიკითხა: ამა და ამ მეფის ასული განქორწილდაო. მერე ამაზე მთელი „თეორია“ ააშენა: რატომ გაყვარა ქრისტიანი ქალი მაჰმადიან ქმარს და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას საქართველოსათვის. არადა, თურმე მემატთანეს მეფის ასულის გათხოვების ჩვეულებრივი ფაქტი აღუნიშნავს, მეტი არაფერი.

შეიძლება მიუღებელია, რომ უკვე დამკვიდრებული ცნებებისა და ტერმინების შეცვლას მოვითხოვ, მაგრამ, რაკი ახალი სახელმწიფოს შექმნა გვინდა, იურიდიული მეტყველებაც უნდა დაეხვეწოთ. ზუსტი, მკაფიო, მოქნილი და მსუყე გავხადოთ. თუ ლიტერატურის ისტორიკოსებს დაუჯერებთ, სტენდალი თურმე წამდაუწუმ კითხულობდა ნაპოლეონის კოდექსს. ამით ლაკონურ, ზუსტ, აზრითდატვირთულ, ნათელ მეტყველებას სწავლობდა.

საქართველოს სახალხო ფრონტის პროექტში გამოყენებულია ცნება — „ქორწინების გარეშე შობილი შვილი“. ერთი ცნების აღსანიშნავად ოთხი სიტყვაა ნახმარი. ამ მხრივ ძველქართულ სამართალში საქმე უკეთ გვაქვს. იგი იცნობს ცნებებს — უხსნიერი და თავხსნიერი. „უხსნიერი“ აღნიშნავდა, როგორც დღეს ვამბობთ, „ქორწინების გარეშე შობილ შვილს“, „თავხსნიერი“ კი — „ქორწინებაში შობილ შვილს“. ჩემი აზრით, ორივე ცნება-ტერმინი უნდა აღვადგინოთ და დავამკვიდროთ დღევანდელ იურიდიულ მეტყველებაში.

ასე, რომ, თუ ერთმანეთს ყურს დაუვადებთ, მოეუსმენთ, საქართველოს მოქალაქეობის კანონს თანდათანობით და ნელანელა დავხვეწევით, მივიღებთ დოკუმენტს, რომელიც თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების დონის გამომხატველი იქნება.

1993 წლის 6 მარტი

რედაქციისაგან:

ბატონ აკაკი ბაქრაძის წერილი რედაქციაში მაშინ შემოვიდა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მიღებული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. მართალია, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოესწრო დროულად დაბეჭდვა, მაგრამ რედაქცია თვლის, რომ მისი გამოქვეყნება კანონის მიღების შემდეგაც სასიკეთოდ წაადგება იმ საშვილიშვილო საქმეს, რასაც ხსენებული კანონი ემსახურება.



ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნდა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის, ზ.ნ. თენგიზ ლილუაშვილის მიერ მომზადებული სასამართლო რეფორმის კონცეფცია. ამ ნომერში კი განსახილველად ვაქვეყნებთ მის მიერვე მომზადებულ ორ პროექტს, რომელთაგან ერთია მსოფლო კანონის პროექტი, სრულ ემორე სასამართლო ხელისუფლების სტატუსისა და მოწყობის საკითხებს ეხება, რომელიც განხილვის შემდეგ მიიღებს კანონპროექტის სახეს.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ პროექტები ყურადღებით იქნება გაანალიზებული ყველას მიერ, რადგან ვპარაუღობთ – სასამართლო ხელისუფლების შემხნით და ნამდვილი მართლმსაჯულების ფუნქციონირებით მთელი საზოგადოებრიობაა დაინტერესებული.

შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროექტების დახვეწასა და სასამართლო რეფორმის სრულყოფილად გატარებას, გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერებში.

მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების მიზნით იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ

პროექტი

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლება, სასამართლო კორპუსის დაკომპლექტება ღირსეული ადამიანებით, რომლებიც მთლიანად პასუხობენ კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მაღალკვალიფიციური და ზნეობრივად წმინდა მოსამართლეების გარეშე შეუძლებელი იქნება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ნამდვილი მართლმსაჯულების განხორციელება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ამიტომ, მოსამართლეთა მომზადება და მათი პროფესიული დონის ამაღლება უნდა გახდეს სასამართლო რეფორმის პირველი და მოსამზადებელი ეტაპი¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. შეიქმნას მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ სამართლის დარგის წამყვანი მეცნიერები, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს თანამშრომლები თორმეტი კაცის შემადგენლობით.

¹ მოსამართლეთა კანდიდატების მომზადება და მათი პროფესიული დონე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ პირობებში, როდესაც სასამართლო რეფორმის პროექტით გათვალისწინებულია მოსამართლეთა შეუცვლელობა, მათი მუდმივად დანიშნა.

მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. (ვარიანტი: მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფო მეთაური.)

II. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო:

1. შემუშავებს ღონისძიებებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

2. აძლევს დასკვნებს სასამართლო წყობილების საკითხებისადმი მიძღვნილ კანონპროექტებზე.

3. წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს წინადადებებს მართლმსაჯულების განხორციელების სრულყოფის საკითხებზე.

4. შეარჩევს კონკურის წესით მოსამართლეთა კანდიდატებს, რომლებმაც უნდა გაიარონ მომზადება, პროფილით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის მქონე პირებისაგან, მათ შორის ამაჟამად მომუშავე მოსამართლეებისაგან.

5. განსაზღვრავს იმ თანამდებობათა წრეს, რომლებიც პროფილით მუშაობის სტაჟად ჩაითვლება.

6. განსაზღვრავს სამართლის დარგებს და შემუშავებს პროგრამებს, რომელთა მიხედვით გაივლიან მომზადებას მოსამართლეთა კანდიდატები.

7. მოამზადებს სასწავლო და მეთოდურ ლიტერატურას, აგრეთვე მასალებს პრაქტიკული და სემინარული მუშაობისათვის.

მოსამართლეთა კანდიდატების სწავლების ფორმები და მეთოდები მთლიანად უნდა ემსახურებოდეს მართლმსაჯულების პრაქტიკული საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებას.

8. სწავლების გავლის შემდეგ მიიღებს გამოცდებს მოსამართლეთა კანდიდატებისაგან, განსაზღვრავს, თუ რამდენად პასუხობენ ისინი წაყენებულ მოთხოვნებს.

9. აძლევს დასკვნას კანდიდატის მოსამართლედ დანიშვნის შესაძლებლობის ან მისი სხვა სამუშაოზე გამოყენების შესახებ.

10. ახორციელებს სხვა საქმიანობას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მეთაურის მიერ დამტკიცებული დებულებით მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს შესახებ.

III. იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ბაზაზე შეიქმნას მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრი, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

IV. იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრში მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების ვადა განისაზღვროს თვრამეტი თვით.

V. იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრი მოსამართლეთა კანდიდატების მომზადებას შეუდგეს შესაბამისი პროგრამებისა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შემუშავების შემდეგ, რისთვისაც განისაზღვროს ერთწლიანი ვადა ამ კანონის მიღების დღიდან.

VI. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა მიიღოს ზომები ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების და იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლების სტატუსისა და მოწყობის შესახებ

ნაწ. I. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან განცალკევებით და მათგან დამოუკიდებლად იქმნება და მოქმედებს სასამართლო ხელისუფლება. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო ხელისუფლების აქტები, აგრეთვე, თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, თუ კერძო საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ყველა თანამდებობის პირისათვის, მოქალაქისათვის და უნდა შესრულდეს.

მუხლი 2. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ იმ სასამართლოების მიერ, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით და მის შესაბამისად მიღებულ სასამართლო წყობილების ან სხვა კანონებით. დაუშვებელია სპეციალური სასამართლოების შექმნა საგანგებო ან რომელიმე კონკრეტული საქმის გასარჩევად.

მუხლი 3. სასამართლო ხელისუფლების ორგანოებია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური სასამართლო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, რაიონ-თშორისი (ზონალური) სააპელაციო სასამართლო, რაიონის სასამართლო, უბნის სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო წყობილების კანონით შეიძლება შემოღებულ იქნეს ნაფიცმსაჯულთა სასამართლო სისხლის სამართლის ზოგიერთი მძიმე დანაშაულის შესახებ საქმეთა განსახილველად.

სამხედრო სასამართლოები შეიძლება შემოღებული იქნან მხოლოდ სახელმწიფოს თავდაცვის პირობებში და ისიც საერთო სასამართლოების სისტემაში.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური სასამართლოს იურისდიქციას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი კონსტიტუციური სასამართლოს შესახებ.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო და მის ქისტემაში შემავალი საერთო სასამართლოები ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლებას მართლმსაჯულების ფორმით.

კონკრეტულ საქმეთა გარჩევისა და გადაწყვეტის დროს სასამართლოები (მოსამართლეები) მოვალენი არიან ზუსტად დაიცვან სასამართლოში საქმეთა წარმოების კანონით განსაზღვრული წესები.

მუხლი 6. სასამართლოებს გადაწყვეტილება გამოაქვთ საქართველოს რესპუბლიკის სახელით. მათი გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას უფლება არ აქვს გააუქმოს ან შეცვალოს სასამართლოს გადაწყვეტილება ან შეაჩეროს მისი აღსრულება.

მუხლი 7. ყოველი მოქალაქის განუყრელი უფლებაა საქმე გაირჩეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ და დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ სასამართლოში. არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეს საქმის იმ სასამართლოში განხილვის უფლება, რომლის კომპეტენციაშიც შედის ეს საქმე კანონის თანახმად.

ყოველ მოქალაქეს, რომელიც დააკავებს, დააპატიმრებს, მისცეს სისხლის თუ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, შეუძლია აიყვანოს დამცველი. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის უფლებას ისარგებლოს კვალიფიციური იურიდიული დახმარებით.

მუხლი 8. ცალკეული კატეგორიის საქმეების გასარჩევად საერთო სასამართლოების სისტემაში შეიძლება შეიქმნას სპეციალიზირებული სასამართლოები. საქმეთა გარჩევა ასეთ სასამართლოებში წარმოებს სასამართლო წარმოების საერთო წესების შესაბამისად და იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც ამ კატეგორიის საქმეებს შეიძლება ახასიათებდეს კანონის თანახმად.

მუხლი 9. მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. ბათილად ცხადდება ყველა აქტი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

მუხლი 10. თუ საქმის გამჩრევი სასამართლოს შეხედულებით კანონი, რომელიც ამ საქმეზე უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იგი შეაჩერებს საქმის გარჩევას, რათა მიიღოს ამ საკითხზე კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილება, რის შემდეგ საქმის გარჩევა განახლდება.

მუხლი 11. ზედამხედველობას ყველა ქვემდგომი სასამართლოების მიმართ ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შესახებ, კანონით სასამართლო წყობილების შესახებ და სხვა კანონებით.

მუხლი 12. მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, რომელიც პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პროფესიული მოსამართლეები ინიშნებიან მუდმივად. მუდმივად დანიშნაბდე მოსამართლე ინიშნება დროებით სამწლიანი საგამოცდო ვადით, რომელმაც უნდა დაადასტუროს მისი მაღალი პროფესიული დონე, მაღალი ზნეობრივი თვისებები, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას, ისე პირად ცხოვრებაში, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა თვისებები, რაც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობის სათანადოდ შესრულებისათვის, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დამკვიდრებისათვის.

მუხლი 13. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ ორგანიზაციის წევრობასთან. მას არ შეუძლია დააკავოს აგრეთვე სახელმწიფოებრივი თუ კერძო თანამდებობები, იყოს პარლამენტის წევრი; მოსამართლის თანამდებობის შეთავსება შეიძლება მხოლოდ პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა შემოქმედებით საქმიანობასთან.

მუხლი 14. მუდმივად დანიშნული მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლებით და წესით.

კანონით შეიძლება განისაზღვროს ასაკი, რომლის დადგომის შემდეგ მოსამართლე შეიძლება დათხოვნილი იქნეს თანამდებობიდან. ისეთი გადაცდომისათვის, რომელიც არ შეიძლება გახდეს უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი, მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

ხისმგებლობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და მისი და-
კისრების წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 15. მოსამართლე სარგებლობს ხელშეუხებლობითა და იმუნიტეტით.
ის შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგე-
ბაში, დაკავებული ან დაპატიმრებული იქნეს მხოლოდ საქართველოს რესპუბ-
ლიკის იუსტიციის მინისტრის თანხმობით (ვარიანტი: „საქართველოს რესპუბ-
ლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით“).

მუხლი 16. მოსამართლეთა ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს საქართვე-
ლოს პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგი-
ნებით. ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღე-
ბული მართლმსაჯულების დამოუკიდებლად და სათანადო დონეზე განხორციე-
ლების ინტერესები და მნიშვნელობა, მოსამართლის მიერ თავისი სამსახურებ-
რივი მოვალეობის მიუკერძოებლად შესრულების უზრუნველყოფა.

საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული მოსამართლის ხელფასის
შეცვლა მისი შემცირების თვალსაზრისით დაუშვებელია.

მუხლი 17. მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების, სასამართლო
სხდომაზე დამსწრე პირების მხრივ ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც
სასამართლოს უპატივცემულობაზე მიუთითებს, იწვევს პასუხისმგებლობას კანო-
ნით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 18. მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს
წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე.

საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს დახურულ
სხდომაზე საქმის მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ
შემთხვევებში.

სასამართლო წარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძ-
ველზე.

მუხლი 19. სასამართლო წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტო-
ნომიური რესპუბლიკის ენაზე. იმ პირთათვის, რომლებმაც არ იციან ენა, რო-
მელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება, უზრუნველყოფილია უფლება
ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით.

მუხლი 20. არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის
ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასა-
მართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად. არაბრალეულობის პრეზუმფციის
თანახმად მტკიცებულებათა წარმოდგენისა და ბრალეულობის დამტკიცების ტვი-
რთი ეკისრება ბრალმდებელს.

მუხლი 21. სასჯელი შეიძლება დაედოს პირს მხოლოდ იმ კანონის საფუძ-
ველზე, რომელიც ძალაში შევიდა ამ პირის მიერ ქმედობის ჩადენამდე.

დაუშვებელია ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის ორჯერ ან მეტად
იქნეს გამოყენებული სისხლის, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობის
ღონისძიება.

მუხლი 22. პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ
კანონით ზუსტად განსაზღვრული საფუძვლებით და წესით.

პიროვნების დაკავება ან დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის
გადაწყვეტილებით. მოსამართლე განსაზღვრავს აგრეთვე ვადას, რომლის განმავ-
ლობაში შეიძლება პიროვნების დაკავება.

უკეთუ პიროვნების დაკავება ისეთ პირობებში მოხდა, როცა მოსამართლის წინასწარი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იყო, ასეთი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოთხოვილი.

დაწერილებით ეს საკითხები რეგულირდება კანონით.

22-ე მუხლის ვარიანტი: „პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილება პიროვნების დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, სისხლისსამართლებრივი საქმეების აღძვრაზე უარის თქმის, აღძრული საქმის წარმოებით შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა გადაწყვეტილებები, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“.

ნაწ. II. სასამართლო წყობილება

თავი I. სასამართლო სისტემა

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს:

- 1) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო;
- 2) ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო;
- 3) რაიონთშორისი (ზონის) სააპელაციო სასამართლო;
- 4) რაიონის სასამართლო;
- 5) უბნის სასამართლო.

მუხლი 24. სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავს ერთპიროვნულად მოსამართლე ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლო კოლეგიურად. ერთპიროვნულად საქმეს განიხილავს ერთი პროფესიული მოსამართლე, ხოლო კოლეგიურად საქმის განხილვა ხორციელდება სამი პროფესიული მოსამართლის მიერ.


საქმის განხილვა სააპელაციო წესით ხორციელდება სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით.

მუხლი 25. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 28 წელი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის 5 წლის სტაჟით, გამოირჩევა მაღალი ზნეობრივი თვისებებით და პასუხობს კანონით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

მუხლი 26. მოსამართლეთა კორპუსის მაღალკვალიფიციური და ღირსეული ადამიანებით დაკომპლექტებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განსახორციელებლად იქმნება მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი სწავლული იურისტები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს თანამშრომლები (სულ 12 კაცი).

მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

(ვარიანტი 26-ე მუხლის II ნაწილისა. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური).



მუხლი 27. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად შერჩეული პირება გადაინ დამატებით სწავლებას იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, სწავლება მიმდინარეობს სამართალმცოდნეობის ისეთ დარგებში, როგორცაა სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართალი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი, მეწარმეობის სამართლებრივი საფუძვლები.

იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრში სწავლების ვადა მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად შერჩეულ პირთათვის 18 თვეა.

იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის მსმენელები გამოსასვლელ გამოცდებს აბარებენ მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოს. მოსამართლედ შეიძლება რეკომენდაცია მიეცეს მხოლოდ იმ პირს, ვინც წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს.

მუხლი 28. მოსამართლეები ინიშნებიან მუდმივად, ოღონდ მას შემდეგ, როცა ისინი წარმატებით გაივლიან მოსამართლედ მუშაობის სამწლიან საგამოცდო ვადას. მუდმივად შეიძლება დანიშნოს ისეთი მოსამართლე, რომელმაც საგამოცდო ვადით მუშაობის დროს გამოავლინა პროფესიულობისა და პირადი თვისებების ისეთი დონე, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის სათანადოდ შესრულების სრულ გარანტიას იძლევა.

დასკვნას მოსამართლის მიერ საგამოცდო ვადის წარმატებულად გავლის შესახებ იძლევა მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო მას შემდეგ, რაც გაეცნობა მისი საქმიანობის შედეგებს.

ვ ა რ ი ა ნ ტ ი: 28-ე მუხლს დაემატოს III ნაწილი: მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციით, როგორც გამონაკლისი, პირი შეიძლება დანიშნოს მოსამართლედ მუდმივად, საგამოცდო ვადის გავლის გარეშე.


მუხლი 29. გადაწყვეტილებას უზნის მოსამართლის და რაიონის სასამართლოს მოსამართლეთა დროებით საგამოცდო ვადით, ხოლო შემდეგ მათი მუდმივად დანიშვნის შესახებ იღებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

გადაწყვეტილებას რაიონთშორისი (ზონის) სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ იღებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 30. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 31. მუდმივად დანიშნული მოსამართლის უფლებამოსილებათა შეჩერება, შეწყვეტა ან გადადგომა დასაშვებია:

- 1) სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის თუ დატუსაღების გამო;
- 2) ისეთი საქმიანობისათვის, რაც შეუთავსებელია მოსამართლის თანამდებობისათვის;
- 3) 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ;
- 4) პირადი განცხადებით;
- 5) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის მას შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა;
- 6) დანაშაულებრივი ქმედობის გამო, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით;



7) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის გამო.

მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების, შეწყვეტის და გადადგომის წესს განსაზღვრავს კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ.

მუხლი 32. თანამდებობის დაკავებამდე მოსამართლე დებს შემდეგი შინაარსის ფიცს:

„ვფიცავ განუხრელად დავიცვა საქართველოს რესპუბლიკის კანონები, პატიოსნად და მიუკერძოებლად შევესრულო ყველა მოვალეობა, რომელსაც მაკისრებს მოსამართლის მაღალი თანამდებობა და ჩემი სინდისი“.

თავი II. უბნის მოსამართლე

მუხლი 33. უბნის მოსამართლე ახორციელებს მართლმსაჯულებას უბნის ტერიტორიაზე, რომელიც ადმინისტრაციული რაიონის (ქალაქის) ტერიტორიის ნაწილია.

სასამართლო უბნების რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 34. თუ საჭირო გახდა უბნის მოსამართლის დროებითი შეცვლა (შეგებულება, ხანგრძლივი მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) მას შეცვლის ამავე რაიონის სხვა უბნის მოსამართლე, ხოლო თუ ამ რაიონში ერთი უბნის მოსამართლეა, მაშინ მისი სხვა მოსამართლით შეცვლის საკითხს გადაწყვეტს რაიონთშორისი (ზონის) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 35. უბნის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს:

I. სამოქალაქო საქმეებს, კერძოდ:

1) ქონებრივ დავებს მოქალაქეებს შორის, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის, თუ სარჩელის ფასი შეადგენს მინიმალური ხელფასის 50 პროცენტს, რაც არსებობს სარჩელის შეტანის მომენტისათვის.

2) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეებს, გარდა მშობლის უფლების ჩამორთმევისა, მამობის დადგენისა, განქორწინებისა და მშობლებს შორის ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავების შესახებ საქმეებისა;

3) საადგილმამულო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების შესახებ საქმეებს;

4) შრომითი დავების შესახებ საქმეებს;


5) სხვა საქმეებს, რომლებიც კანონის თანახმად მათ კომპეტენციაში შედის.

II. სისხლის სამართლის საქმეებს, კერძოდ:

1) საქმეებს ისეთი დანაშაულის შესახებ, რომლისთვისაც სასჯელის ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 3 წლისა, გარდა არასრულწლოვანების მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებისა;

2) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს.

მუხლი 36. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს შეუძლია ისეთ რაიონებში, სადაც რამდენიმე უბნის მოსამართლეა, მოახდინოს სპეციალიზაცია და გაანაწილოს მათ შორის საქმეები არა უბნის, არამედ კატეგორიების მიხედვით (მაგალითად, სამოქალაქო საქმეებს გამრჩევი უბნის მოსამართლე, სისხლის სამართლის საქმეების გამრჩევი უბნის მოსამართლე, შრომისა და საადგილმამულო სამართლის საქმეების გამრჩევი მოსამართლე და ა. შ.), ამ საქმეების უფრო კვალიფიციურად გარჩევისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით.



მუხლი 37. რაიონის სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას რაიონის ტერიტორიაზე სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით¹.

მუხლი 38. რაიონის სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, თუ სხვა კატეგორიის საქმეებს, რომლებიც არ შედიან უბნის მოსამართლის კომპეტენციაში. იმ საქმეების წრეს, რომლებსაც განიხილავს რაიონის სასამართლო, განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

მუხლი 39. რაიონის სასამართლო სააპელაციო წესით განიხილავს ამ რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი უბნის სასამართლოს (უბნის მოსამართლის) გადაწყვეტილებებზე, განაჩენებსა და განჩინებებზე შეტანილ საჩივრებს.

მუხლი 40. საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ყველა საკითხის გადაწყვეტა, აგრეთვე პირველი ინსტანციით და სააპელაციო წესით გადაწყვეტილებების, განაჩენების და განჩინებების გამოტანა რაიონული სასამართლოს მიერ ხდება ხმების უმრავლესობით. მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის აზრს, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება, რომელიც დაერთვის საქმეს.

მუხლი 41. რაიონულ სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ამ სასამართლოს მოსამართლეთა შემადგენლობიდან.

რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე:

1. თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს;
2. ორგანიზაციას უწევს რაიონული სასამართლოს მუშაობას;
3. იღებს მოქალაქეებს პირადად და თვალყურს ადევნებს მათი განცხადებების, საჩივრების თუ წინადადებების დროულად განხილვას სხვა მოსამართლეების მიერ;
4. პერიოდულად (კვარტალში ერთხელ) თვითონ ან მისი დავალებით რომელიმე სხვა მოსამართლე ახდენს სასამართლო პრაქტიკის და მოქალაქეთა განცხადებებისა და წინადადებების განზოგადობას, ახსენებს განზოგადების მასალებს რაიონული სასამართლოს სესიაზე, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;
5. ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 42. რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება საქართველოს რესპუბლიკის იუს-

¹ არსებობს სხვაგვარი ვარიანტებიც იმ რაიონების მიმართ, სადაც სამი პროფესიული მოსამართლის დანიშვნა არ არის გამართლებული მოსახლეობის რაოდენობის სიმცირის გამო. ამჟამად კომისია სწავლობს ამ ვარიანტებს.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანიაში დაახლოებით 3700 მოსახლეზე მოდის ერთი მოსამართლე. ორჯერ ნაკლებია იტალიაში, შვეციაში, საფრანგეთში. ამ ქვეყნებში დაახლოებით 9.800 მოსახლეზე მოდის ერთი მოსამართლე. ამ ყველაზე ნაკლები ვარიანტის მიხედვით საქართველოში უნდა იყოს 500 მოსამართლეზე უფრო მეტი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ არამართო მოსახლეობის რაოდენობას, არამედ სამართალდარღვევათა (დანაშაულობა, სოციალური და ეკონომიკური კონფლიქტები) რაოდენობასაც, აგრეთვე საქმეთა მაღალპროფესიულ დონეზე განხილვა-გადაწყვეტის აუცილებლობას, რაც მოსამართლის ნორმალურად დატვირთვას პირობებშია შესაძლებელი, გასაგებო გახდება, რომ ეს პრობლემა იმსაზურებს ძალიან სერიოზულ ყურადღებას.

ტიციის მინისტრის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

ვარიანტი:

რაიონის ტერიტორიაზე მოქმედებს რაიონის სასამართლო, რომელიც შედგება (როგორც წესი) არანაკლებ სამი მოსამართლისაგან. საქართველოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებით თითოეული მათგანი სპეციალიზირდება გარკვეული კატეგორიის საქმეების განხილვაზე. რაიონის სასამართლოს მოსამართლე ერთპიროვნულად არჩევს საქმეებს, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების თანახმად.

ყველა დანარჩენ საქმეებს რაიონის სასამართლო არჩევს კოლექტიურად — სამი მოსამართლის შემადგენლობით.

შენიშვნა: ამ ვარიანტის მიხედვით უბნის მოსამართლეები არ იარსებებენ.

თავი IV. რაიონთშორისი (ზონის) სააპელაციო სასამართლო

მუხლი 43. რაიონთშორისი სააპელაციო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მოადგილის, სასამართლო პალატების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეებისაგან.

მუხლი 44. რაიონთშორისი სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სამეურნეო (კომერციულ) დაეებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავეებს.

რაიონთშორის სასამართლოში პირველი ინსტანციით საქმეებს განიხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად.

მუხლი 45. კონკრეტულ საქმეთა სწორი და ზუსტი სამართლებრივი ანალიზისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით რაიონთშორის სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის განკარგულებით შეიძლება მოხდეს მოსამართლეთა სპეციალიზაცია სასამართლის ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების მიხედვით.

მუხლი 46. რაიონთშორისი სასამართლო სააპელაციო წესით განიხილავს საჩივრებს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, განაჩენებსა და განჩინებებზე.

სააპელაციო წესით საქმეთა განხილვის მიზნით იქმნება სამოქალაქო საქმეთა პალატა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

სააპელაციო წესით საქმეებს განიხილავს სამი პროფესიული მოსამართლე.

მუხლი 47. რაიონთშორისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი:

1. ორგანიზაციას უწევს რაიონთშორისი სასამართლოს მუშაობას;
2. ამტკიცებს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატის შემადგენლობებს;
3. ხელმძღვანელობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებას, რომლის შესახებ მასალები გააქვს განსახილველად რაიონთშორისი სასამართლოს გაერთიანებულ სესიაზე;
4. ხელმძღვანელობს სასამართლო პალატების მუშაობის ორგანიზაციას;
5. ხელმძღვანელობს სასამართლო აპარატის მუშაობას;

6. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შეაქვს წარდგინებები მათ მიერ კანონების, ადამიანის უფლებათა დარღვევისა და ამ დარღვევით დაზარალებულთა აღკვეთის თაობაზე;
7. იღებს მოქალაქეებს პირადად და ხელმძღვანელობს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, საჩივრების, განცხადებების განხილვის ორგანიზაციას;
8. ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი V. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

1. განიხილავს პირველი ინსტანციით საქმეებს, რომლებიც სამოქალაქო საბარტლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (კოდექსებით) მის კომპეტენციას განეკუთვნება;
2. განიხილავს საჩივრებს (პროტესტებს) სააპელაციო წესით რაიონთშორის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებსა და განჩინებებზე;
3. განიხილავს საკასაციო წესით უბნის სასამართლოს, რაიონის სასამართლოს და რაიონთშორისი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს, განჩინებებსა და განაჩენებს;
4. სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში.

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო შედგება:

1. პლენუმისაგან;
2. სამოქალაქო საქმეების პალატისაგან;
3. სისხლის სამართლის საქმეთა პალატისაგან;
4. სამეურნეო (კომერციული) საქმეების პალატისაგან;
5. ადმინისტრაციული საქმეების პალატისაგან.


ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში შეიძლება სხვა პალატების შექმნაც.

მუხლი 50. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილეები, სასამართლო პალატის თავმჯდომარეები და მოსამართლეები.

მუხლი 51. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება ამ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და პლენუმის წევრებისაგან, რომლებსაც ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მათ მიერვე განსაზღვრული ოდენობით.

მუხლი 52. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი:

1. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სასამართლო პალატების შემადგენლობას და თავმჯდომარეებს;
2. განაზოგადებს თავის ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოების პრაქტიკას;
3. ისმენს სასამართლო პალატების თავმჯდომარეების ანგარიშგებებს ამ პალატების მუშაობის შესახებ;
4. განიხილავს სასამართლო საქმიანობის სხვა საკითხებს.



მუხლი 53. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო პალატები განიხილავენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქმეებს შიდა-ველი ინსტანციით, სააპელაციო და საკასაციო წესით.

მუხლი 54. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, სასამართლო პალატების თავმჯდომარეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო წყობა-ლების კანონით, აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობით².

თავი VI. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

მუხლი 55. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

1. ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონების გამოყენებაზე;

2. განიხილავს პირველი ინსტანციით საქმეებს, რომლებიც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით მის კომპეტენციას განეკუთვნება;³

3. განიხილავს საჩივრებს (პროტესტებს) სააპელაციო წესით იმ რაიონთ-შორისი სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე, რომლებიც არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. განიხილავს საჩივრებს (პროტესტებს) საკასაციო წესით საქართველოს ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, განაჩენზე, განჩინებაზე;

5. შეიმუშავებს სახელმძღვანელო მითითებებს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე;

6. სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით.

მუხლი 56. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო შედგება:

1. პლენუმისაგან (ვარიანტი: სენატი-საგან.)

2. სამოქალაქო საქმეების სასამართლო პალატისაგან;

3. სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პალატისაგან;

4. სამეურნეო (კომერციული) საქმეების სასამართლო პალატისაგან;

5. ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო პალატისაგან.

საჭიროების მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სხვა სასამართლო პალატებიც.

ომისა და თავდაცვის პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოში იქმნება სამხედრო საქმეთა სასამართლო პალატა.

მუხლი 57. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმში შედგება ამ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და პლენუმის წევრებისაგან, რომლებსაც ირჩევენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მათ მიერ განსაზღვრული ოდენობით.

² უფრო დაწვრილებით და საბოლოოდ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები, მისი უფლებამოსილებანი შეიძლება განისაზღვროს მას შემდეგ, როცა გაირკვევა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი მიმართულებანი.

³ იგულისხმება მხოლოდ ისეთი სამართლის საქმეები, რომლებიც უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ, ან მოსამართლეების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო იყო აღძრული.

პლენუმის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები.

მუხლი 58. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი:

1. განიხილავს სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალებს და იღებს სახელმძღვანელო დადგენილებებს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონმდებლობის სწორად გამოყენების თაობაზე;

2. განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტში შესატანად მომზადებულ წარდგინებებსა და პროექტებს;

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სასამართლო პალატების შემადგენლობებს და თავმჯდომარეებს;

4. ისმენს სასამართლო პალატების თავმჯდომარეების ანგარიშგებებს ამ პალატების მუშაობის შესახებ, აგრეთვე მათ წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

მუხლი 59. პირველი ინსტანციით საქმის განხილვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ქმნის სასამართლო კოლეგიას უმაღლესი სასამართლოს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

მუხლი 60. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო პალატები:

1. განიხილავენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საჩივრებს (პროტესტებს) სააპელაციო წესით იმ რაიონთშორისი სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე, რომლებიც არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

2. განიხილავენ საჩივრებს (პროტესტებს) საკასაციო წესით საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე და განჩინებებზე.⁴



⁴ სასამართლო წყობილება მოიცავს სხვა საკითხებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ მუშავდება. ამიტომ მათ ვერ პოვეს ახახვა ამ პროექტში. გრძელდება აგრეთვე, მუშაობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურისა და ფუნქციების სხვაგვარ ვარიანტზე.

სასამართლო რეფორმისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები

თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სასამართლო წყობილების კანონპროექტების მომზადება, რომლებმაც უნდა ასახონ მეცნიერებისა და პრაქტიკულ მუშაკთა მიერ გამოთქმული პროგრესული მოსაზრებანი, ამ დარგში საზღვარგარეთის ქვეყნების მიღწევები, საერთაშორისო დეკლარაციები და პაქტები.

1. ერთ-ერთ აქტუალურ და სადაო საკითხს მიეკუთვნება **ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შექმნის აუცილებლობა**; საკითხის გადაწყვეტა ამ სასამართლოების პროგრესულობის თუ არქაიზმის შესახებ თანამედროვე პირობებში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები პირველად შეიქმნა და ჩამოყალიბდა ინგლისში 1166 წელს. შემდგომ იგი შეიქმნა ამერიკაში, კანადაში და ევროპის ქვეყნებში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შექმნის მთავარი მიზანი იმაში გამოიხატება, რომ რთულ და მნიშვნელოვან სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე საზოგადოებრიობის მხრივ დაწესებულიყო კონტროლი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მაეღოთ უშუალო მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

თანამედროვე პირობებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ორი სახე არსებობს. პირველს მიეკუთვნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების კლასიკური ანგლოსაქსური სისტემა, რომლის არსიც იმაში გამოიხატება, რომ ნაფიცი მსაჯულები (12 და ზოგჯერ უფრო ნაკლებიც) წყვეტენ პირის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის საკითხს პროფესიული მოსამართლის დაუსწრებლად და ამ საკითხზე გამოაქვთ გადაწყვეტილება (ვერდიქტი). გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში პროფესიული მოსამართლე (ნაფიც მსაჯულთა დასწრების გარეშე) ერთპიროვნულად განსაზღვრავს და ადგენს სასჯელის სახესა და ზომას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე სახეს (შეფენების სასამართლოს) განეკუთვნება ევროპის (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ა. შ.) სისტემა, რომლის არსიც იმაში გამოიხატება, რომ მსაჯულები და მოსამართლეები წარმომადგენენ ერთ სასამართლო კოლეგიას, ერთობლივად იხილავენ სისხლის სამართლის საქმეს და ასევე ერთობლივად გამოაქვთ განაჩენი ხმის უმრავლესობით.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები კარგავენ მათთვის ადრე დამახასიათებელ თვისებებს და ამ სასამართლოების მიერ იშვიათად ხდება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვა. მაგალითად, ინგლისი, რომელიც ითვლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოდ, ამჟამად განიხილავს (ჩვენ ხელთ არსებული წყარო-

ების მიხედვით) სისხლის სამართლის საქმეების 3-4 პროცენტს და თითქმის არ განიხილავს (1%-ზე ნაკლები) სამოქალაქო სამართლის საქმეებს.

ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმის განხილვის მოთხოვნის უფლება აქვს 17 წელს მიღწეულ განსასჯელს, თუ სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 თვეზე მეტი ვადით. ამჟამად შემცირდა ნაფიც მსაჯულთა რიცხვიც, თუ წინათ მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ 12 ნაფიცი მსაჯული, დღევანდელ პირობებში მათი რიცხვი არ უნდა იყოს 9-ზე ნაკლები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს და 8-ზე ნაკლები სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისას. თუ წინათ ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტი უნდა ყოფილიყო ერთხმად, ამჟამად ინგლისის კანონმდებლობით დაშვებულია ვერდიქტის მიღება ხმის კვალიფიციური უმრავლესობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იხილავენ სისხლის სამართლის საქმეთა 6-7 პროცენტს. ამ სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ ისეთი საქმეები, რომლისათვისაც სასჯელის სახით კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთი და ერთ წელზე მეტი ვადით, მაგრამ განსასჯელები, როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში უარს ამბობენ ამ ძვირადღირებულ სასამართლოზე და უპირატესობას ანიჭებენ მაგისტრატების სასამართლოში საქმის განხილვას.

ამერიკის კანონმდებლობამ დაუშვა ნაფიც მსაჯულთა რიცხვის (12 ნაფიცი მსაჯული) შემცირება ექვსამდე (მაგალითად, ფლორიდის შტატი). ზოგ შემთხვევაში ფედერაციული სასამართლოც კი იხილავს საქმეებს 6 ნაფიც მსაჯულის მონაწილეობით. ასევე კანონმდებლობამ დააწესა ვერდიქტის მიღება ხმის კვალიფიციური უმრავლესობით.

საფრანგეთში ასიზების სასამართლო (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მაგვარი) საქმეს იხილავს სამი პროფესიული მოსამართლისა და 9 მსაჯულის შემადგენლობით. ამ წესით საქმეთა განხილვა ხდება ძალზე იშვიათად — 1 პროცენტი. მოსამართლე და მსაჯულები წარმოადგენენ ერთ სასამართლო კოლეგიას და ერთობლივად წყვეტენ როგორც ბრალეულობის, ისე სასჯელის სახისა და ზომის საკითხებს. ამ სასამართლოებს ექვემდებარებათ ისეთი სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა, რომლისთვისაც კანონი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წელზე მეტი ვადით. სათათბირო ოთახში საკითხები წყდება ხმის ფარული მიცემით და ხმის უმრავლესობით (8 წევრი უნდა მივიდეს ერთ გადაწყვეტილებამდე). ეს სასამართლოები არ არიან მუდმივმოქმედი, ისინი შეიკრიბებიან საჭიროების შემთხვევაში სამ თვეში ერთხელ მაინც თითოეულ დეპარტამენტში.

გერმანიაში საქმის განხილვა ხდება მსაჯულების მონაწილეობით, მაგრამ აქ ძირითადი აქცენტი გადატანილია პროფესიულ მოსამართლეთა რიცხვის გაზრდაზე. მსაჯულები და მოსამართლეები (შეფენების სასამართლო) ერთობლივად იხილავენ და წყვეტენ ყველა საკითხს ხმის უმრავლესობით. გერმანიაში საქმის განხილვა მსაჯულთა მონაწილეობით და მათი რიცხვი დამოკიდებულია საქმის სირთულეზე და სასამართლოს ინსტანციურობაზე (1 მოსამართლე და 2 მსაჯული, 2 მოსამართლე და 2 მსაჯული, 3 მოსამართლე და 2 მსაჯული, 5 მოსამართლე)¹.

იტალიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამჟამად ეწოდება ასიზების სასამართლო, რომელიც ქვემდებარე რთულ საქმეებს იხილავს 2 პროფესიული

¹ შეფენების სასამართლოს შესახებ, იხ. თ. ლილუაშვილი, ვაჰმართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?! „სამართალი“, 1992, № 5, გვ. 3-4.

მოსამართლისა და 6 მსაჯულის შემადგენლობით. ეს სასამართლო წარმოადგენს ერთიან კოლეგიას და ერთობლივად წყვეტს ბრალეულობის სასჯელის სახისა და ზომის საკითხებს.

გარკვეული თავისებურება ახასიათებს იაპონიის კანონმდებლობას, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერ დამკვიდრდა. აქ რთულ და მძიმე დანაშაულთა საქმეებს იხილავენ მხოლოდ პროფესიული 3 ან 5 მოსამართლე².

რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაარსდა 1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად და მან იარსება ოქტომბრის გადატრიალებამდე.

ამ სასამართლოებს ახასიათებს (დადებით მხარეებთან ერთად) მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებიც, რომელთა ხაზგასმა წარმოადგენს აუცილებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ვერდიქტის გამოტანის დროს ნაფიცი მსაჯულები ხელმძღვანელობენ ძირითადად არა კანონმდებლობით, არამედ ემოციებით, სიმპატიებით და ზედაპირული შთაბეჭდილებებით. ის ფაქტი, რომ მათ არ გააჩნიათ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა, ზოგ შემთხვევაში, ვერდიქტის გამოტანის საკითხი წყდება დილეტანტობის დონეზე, კომპეტენტურობის გარეშე. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს აბსოლუტურ გარანტიას მართლზომიერი განაჩენის გამოტანის საკითხში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის ძვირადღირებული. იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საქმის განხილვა ამ სასამართლოში ამერიკაში ერთი თვის განმავლობაში ჯდება 54 ათასი დოლარი. სასამართლო სხდომის ერთი საათი კი — 250 დოლარი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნაკლი იმაშიც გამოიხატება, რომ საქმის განხილვის დროს ისინი არიან პასიურნი და არაეითარ აქტიურ მონაწილეობას არ ლეზულობენ საქმის განხილვაში, შეკითხვებსაც კი არ აძლევენ განსასჯელს დაზარალებულს, მოწმეს, დამცველს, ექსპერტებს, მათი ერთად-ერთი მოვალეობაა მოუსმინონ სასამართლოში საქმის განხილვას.³


აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამო ევროპის ქვეყნების კანონმდებლობამ უარს განაცხადა ნაფიც მსაჯულთა კლასიკურ სახეზე და დააწესა ერთი მხრივ, პროფესიულ მოსამართლეთა რიცხვის გაზრდა და მეორე მხრივ, მსაჯულთა და მოსამართლეთა მიერ საქმის ერთობლივი განხილვა, ბრალეულობის საკითხის სასჯელის სახის და ზომის ერთობლივი გადაწყვეტა სათათბირო ოთახში ხმის უმრავლესობით. ფაქტობრივად ევროპის ქვეყნებში ცალკეულ კატეგორიის საქმეებს იხილავენ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, არამედ სასამართლოს გაფართოებული კოლეგიები, რაც მიგვაჩნია უფრო პროგრესულ და მისაღებ მოვლენად.

უკანასკნელი წლების იურიდიულ ლიტერატურაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების საკითხზე გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებანი.

ზოგს მიაჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება მიზანშეუწონელია, რადგან არ შეიძლება ნაფიც მსაჯულებს (არაიურისტებს) მიენდოს ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტა; რომ ნაფიც მსაჯულ-

² ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შესახებ მონაცემები მითითებულია შემდეგი წყაროების მიხედვით: იხ. Гущенко К. Суд присяжных: панацея или иллюзия? «Вестник Верховного Суда СССР, 1991, № 3, с. 31—34; Судебные системы западных государств, Изд. «Наука», М., 1991.

³ См. Слободкин Ю., О суде присяжных без прикрас, «Советская юстиция», 1990, № 9, с. 8.



თა სასამართლომ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობა და ჩვენ გვინდა შემოვიღოთ

ლოთ ის, რაზედაც უარს ამბობენ საზღვარგარეთის ქვეყნებში⁴.
სხვა ავტორებს მიაჩნიათ, რომ მიზანშეწონილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, მაგრამ სასამართლოს გაფართოებული კოლეგიის სახით 2 მოსამართლისა და 5-დან 7-მდე მსაჯულის მონაწილეობით. ზოგს მიაჩნია, რომ გაფართოებულმა სასამართლო კოლეგიამ 12 კაცის შემადგენლობით, პროფესიული მოსამართლის გარეშე უნდა გადაწყვიტოს ფაქტის საკითხი — ბრალეულია თუ უდანაშაულო განსასჯელი და შემდეგ მოსამართლემ მსაჯულებთან ერთად გადაწყვიტოს სასჯელის ზომის საკითხი⁵.

სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი უშვებს საქმის განხილვას მსაჯულთა გაფართოებული კოლეგიის მიერ იმ შემთხვევაში, თუ კანონი ითვალისწინებს დახვრეტას ან 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას. ამ შემთხვევაში საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ 1 პროფესიული მოსამართლისა და 12 მსაჯულის მონაწილეობით (მუხლი 527-1). მსაჯულები წვევტენ საკითხს განსასჯელის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის შესახებ. თუ მსაჯულები განსასჯელს ცნობენ ბრალეულად, მოსამართლე და მსაჯულები ერთობლივად წვევტენ სასჯელის სახისა და ზომის საკითხს. თუ მსაჯულები განსასჯელს ცნობენ არაბრალეულად, მოსამართლე ერთპიროვნულად ადგენს გამამართლებელ განაჩენს (მუხ. 527-3)⁶.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სასამართლო წყობილების კანონპროექტში მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხის შემდგენიარად გადაწყვეტა:

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იმ სახით, როგორც ეს არის ანგლო-საქსურ ქვეყნებში (ინგლისი, ამერია) მიუღებელია ჩვენი სახელმწიფოსათვის. განსასჯელის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის საკითხის დადგენა მოითხოვს გარკვეულ პროფესიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას. ასეთი თვისებები არ ახასიათებს მსაჯულებს. საკითხის გადაწყვეტის დროს ისინი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელმძღვანელობენ არა სამართლებრივი ცოდნითა და საქმის მასალების ყოველმხრივი, სრულყოფილი შესწავლითა და შეფასებით, არამედ ემოციებით. ჩვენ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია 12 ნაფიცი მსაჯულის მოწვევა საქმის სასამართლოში განხილვისათვის. როგორც პრაქტიკა მოწმობს ხშირ შემთხვევაში რთული ხდება ორი მსაჯულის მოწვევაც კი. რა თქმა უნდა მსაჯულები უნდა მონაწილეობდნენ რთული და მნიშვნელოვანი საქმის განხილვაში, რადგანაც ეს არის საზოგადოებრიობის ჩაბმა მართლმსა-

⁴ См. Никандров В., Пономарев Г., Уголовное судопроизводство в условиях демократии, «Советская юстиция», 1989, № 19, с. 10; Логинов В., Купцов А., Народные заседатели уходят — проблемы остаются, «Советская юстиция», 1991, № 11, с. 9; Дашутин Н., Гуськова А., На пути судебно-правовой реформы, «Советская юстиция», 1989, № 1, с. 10; Бедняков Д. И., Некоторые аспекты судебно-правовой реформы в РСФСР, «Советское государство и право», 1992, № 1, с. 32—33; Гуценко К., Суд присяжных: панацея или иллюзия? «Вестник Верховного суда СССР», 1991, № 3, с. 31—34; Селезнев М., Упростить судебное следствие надо иначе, «Законность», 1992, № 3, с. 49.

⁵ Слободкин Ю., О суде присяжных без прикрас, «Советская юстиция», «Вестник Верховного суда СССР», 1991, № 3, с. 31—34; Селезнев М., Упростить судебное следствие надо иначе, «Законность», 1992, № 3, с. 49.

⁶ См. Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР (теоретическая модель), М., 1989, с. 257—260.

ჯულების განხორციელებაში, მაგრამ მათი რიცხვობრივი გაზრდა არანაირ განხორციელებას არ იძლევა.

ცალკეულ კატეგორიის საქმეებზე, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი ითვალისწინებს სასჯელის სახით დახვრეტას, თავისუფლების აღკვეთას 10 წელზე მეტი ვადით და არასრულწლოვანების მიმართ თავისუფლების აღკვეთას 7 წლით და მეტი ვადით, საქმე უნდა განიხილოს სასამართლოს გაფართოებულმა კოლეგიამ 2 პროფესიული მოსამართლისა და 3 მსაჯულის შემადგენლობით. ამასთანავე, კანონში უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მთელი შემადგენლობა ერთობლივად წყვეტს განსასჯელის ბრალულობის თუ უდანაშაულობის, სასჯელის სახის, ზომის და სხვა საკითხებს, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმის ყოველმხრივი და სრულყოფილი გადაწყვეტისათვის. პროფესიულ მოსამართლეთა რიცხვის გაზრდა უფრო მისაღები და გამართლებულია, ვიდრე მსაჯულთა რაოდენობის გაზრდა თორმეტამდე ან თუნდაც ექვსამდე.


2. სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებულია საკითხი იმის შესახებ საჭირო და აუცილებელია თუ არა ჩვენს რესპუბლიკაში შემოღებული იყოს ისეთ დანაშაულთა საქმეების განხილვა-გადაწყვეტა, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას — ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ.

იმის გამო, რომ ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მოსალოდნელია დეკრიმინალიზაცია ერთპიროვნული მოსამართლის განსჯადი საქმეების კატეგორია უნდა განისაზღვროს მოგვიანებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებში საქმეებს ერთპიროვნულად იხილავს მაგისტრატი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომრიგებელი მოსამართლის შეზღუდვა გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომზადებულ სისხლის სამართლის საპროცესო კორექსის პროექტით (იხ. მუხლები 224-228), რომლის მიხედვით მომრიგებელი მოსამართლის განაჩენის გასაჩივრება და გაპროტესტება დაშვებულია ზუთი დღის ვადაში. საჩივრის ან პროტესტის განხილვა ევალება რაიონის მომრიგებელ მოსამართლეთა სესიას, რომელიც ტარდება თვეში ერთხელ მაინც და საჭიროების შემთხვევაში. მომრიგებელ მოსამართლეთა სესიაზე საკითხები იხილება პროკურორის და საჩივრის შემტანი პირის თანდასწრებით, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას.

საქმის განხილვის შედეგად მომრიგებელ მოსამართლეთა სესია დადგენილების გამოტანის საფუძველზე ძალაში ტოვებს განაჩენს, აუქმებს მას, წყვეტს საქმეს ან ცვლილებები შეაქვს განაჩენში. მომრიგებელ მოსამართლეთა სესიის მიერ გამოტანილი დადგენილება გასაჩივრებას ან გაპროტესტებას არ ექვემდებარება (იხ. რუსეთის პროექტის 228-ე მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკაშიც ამჟამად მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც უშვებს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ. მას განსახილველად ექვემდებარება ისეთ დანაშაულთა საქმეები, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებებს (სულ 78 შემადგენლობა, აგრეთვე საოქმო წარმოების საქმეებიც — 39 შემადგენლობა). საჭიროა მოვიფიქროთ იმ საქმეთა კატეგორიის გარკვეული კრიტერიუმი, რომ-



ლებიც უნდა დაექვემდებაროს მოსამართლეს ერთპიროვნული განხილვისათვის და ამ საქმეთა განხილვის პროცესუალური წესი⁷.

3. საქართველოს რესპუბლიკის ახალ საპროცესო კანონმდებლობით დასვეწას მოითხოვს **ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადია.**)

თანამედროვე პირობებში საჭირო და აუცილებელია, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე გაძლიერდეს დემოკრატიული საწყისები, დაწესდეს ამ სტადიაში მონაწილე პირთა დამატებითი გარანტიები, მათ მიენიჭოთ დამატებითი უფლებები დაცვის ფუნქციის განხორციელების მიზნით, დაინერგოს შეჯიბრებითობის ელემენტები, გაფართოვდეს ის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის სამართალში მიცემა უნდა მოხდეს განმწესრიგებელ სხდომაზე.

ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე სასამართლო უნდა განთავისუფლდეს ბრალდების ფუნქციის განხორციელებიდან. მას არ უნდა ჰქონდეს უფლება საოქმო წარმოების საქმეებზე პირი ბრალდებულის სახით მისცეს პასუხისგებაში.

ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადია უნდა იყოს შენარჩუნებული, რადგან იგი წარმოადგენს კონტროლის ეფექტიან საშუალებას გამოძიების სრულყოფილ, ყოველმხრივ და ობიექტურ ჩატარებაზე, ქმნის რეალურ პირობებს საქმის სასამართლოში დაუბრკოლებლად განხილვისათვის. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ვერ დავეთანხმებით ვ. კოვანის მოსაზრებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადია უნდა გაუქმდეს და ამ ფუნქციის შესრულება დაეკისროს სასამართლო გამოძიებელს, რომლის თანამდებობაც შემოღებულ უნდა იყოს⁸.


მიგვაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახალმა საპროცესო კოდექსმა უნდა შეინარჩუნოს ბრალდებულის სამართალში მიცემის ორი ფორმა: ერთპიროვნული (მოსამართლის მიერ) და კოლეგიური (სასამართლოს მიერ) განმწესრიგებელ სხდომაზე.

ახალმა საპროცესო კანონმა უნდა გააფართოვოს ის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის სამართალში მიცემა უნდა მოხდეს კოლეგიური წესით განმწესრიგებელ სხდომაზე.

მოქმედი საპროცესო კოდექსი (მუხლი 222-ე) ბრალდებულის სამართალში მიცემას განმწესრიგებელ სხდომაზე ითვალისწინებს ოთხ შემთხვევაში. ამ 4 შემთხვევას უნდა დამატოს შემდეგი: 5) თუ ბრალდებულმა არ იცის სამართალწარმოების ენა; 6) თუ ბრალდებულს არ შეუძლია სრული მოცულობით განხორციელოს დაცვის ფუნქცია მისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო; 7) თუ მოსამართლე ამ სტადიაზე პროცესის მონაწილეთა (დამცველი, პროკურორი, ბრალდებული და მისი წარმომადგენელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე) აღძრულ შუამდგომლობას ვერ გადაწყვეტს დადებითად; 8) თუ პროცესის მონაწილენი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მოითხოვენ ბრალდებულის სამართალში მიცემას განმწესრიგებელ სხდომაზე იმ მოტივით, რომ საქმე შეწყდეს ან შეჩერდეს წარმოებით, შეიცვალოს ბრალდების ფორმულირება ან გადააკვალიფიცირდეს

7 ამ საკითხზე გამოთქმულია დადებითი მოსაზრება პროცესუალურ ლიტერატურაში. იხ. მაგალითად: ა. კობახიძე, ზოგიერთი მოსაზრება სასამართლო რეფორმისათვის, „სამართალი“, 1992, № 6-7, გვ. 3. თ. ლილუაშვილი, გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?! „სამართალი“, 1992, № 5, გვ. 2; Селезнев М., Упрощать судебное следствие надо иначе, «Законность», 1992, № 3, с. 49.

8 См. Коган В., Почему бы не быть следственному судье? «Советская юстиция», 1988, № 7, с. 27.



ძისი ქმედობა ბრალდებულის სასარგებლოდ; 9) თუ მოსამართლე თავისი ინიციატივით საჭიროდ მიიჩნევს ბრალდებულის სამართალში მიცემას განმწესრიგებელ სხდომაზე.

ამჟამად არსებული წესის მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია განმწესრიგებელ სხდომაზე განმარტების მისაცემად გამოიძახოს შუამდგომლობის აღმძვრელი პირი. ეს წესი საჭიროებს დამატებას იმ მხრივ, რომ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს მიენიჭოს უფლება თვითონ გადაწყვიტოს საკითხი განმწესრიგებელ სხდომაში მონაწილეობის შესახებ. ყველა ეს პირი სასამართლომ უნდა დაუშვას განმწესრიგებელ სხდომაზე აღძრულ შუამდგომლობაზე განმარტების მისაცემად. მათმა გამოუცხადებლობამ (საპატიო მიზეზის გარდა) არ უნდა დააბრკოლოს საქმის განხილვა.

3 საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის თანახმად (მუხლი 227-ე) პროკურორის მონაწილეობა სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე სავალდებულოა. ასეთი წესი არათანაბარ პირობებში აყენებს მას შუამდგომლობის აღმძვრელ სხვა პირებთან შედარებით. საკითხი უნდა გადაწყდეს იმგვარად, რომ პროკურორს უნდა ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს განმწესრიგებელ სხდომაზე და მისმა გამოუცხადებლობამ არ უნდა დააბრკოლოს საქმის განხილვა. პროკურორის მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ორ შემთხვევაში: როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს მოსამართლე და როდესაც ამის სურვილს გამოთქვამს უშუალოდ პროკურორი.

❖ დამცველის მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე არ უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს, რის შესახებაც მიუთითებს ზოგიერთი ავტორი (მაგალითად, ი. პეტრუხინი). ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა შედიოდეს უშუალოდ დამცველის კომპეტენციაში. თუ დამცველი აღძრავს შუამდგომლობას განმწესრიგებელ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად იგი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დაშვებული⁹.

საქართველოს რესპუბლიკის ახალი საპროცესო კანონით უფრო დაწვრილებით უნდა იყოს რეგლამენტირებული განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების წესი, კერძოდ, დამატებით უნდა მიეთითოს იმის გამოცხადება, თუ რომელ საქმეს იხილავს სასამართლო; ვინ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე; დადგენილების გამოქვეყნების შესახებ საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე მოსასმენად; სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადებისა და აცილების საკითხის გადაწყვეტის შესახებ.

მართებულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ განმწესრიგებელი სხდომიდან საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად მოხდეს მხოლოდ ერთხელ შემდეგ შემთხვევებში: გამოძიების არასისრულის; საპროცესო კოდექსის არსებით მოთხოვნათა დარღვევის; ახალი ბრალდების წარდგენის; ახალ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის; საქმის არასწორი გაერთიანების ან გამოყოფის შემთხვევებში. თუ ამ შემთხვევებში არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მითითება, სასამართლომ საქმე წარმოებით უნდა შეწყვიტოს (იხ. რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის პროექტის 245-ე, 247-ე მუხლები).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის უმრავლესი საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს სასამართლოს მიერ საქმის დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების ინსტიტუტს. თუ გამოიძიება ჩატარდა ცალ-

⁹ იხ. ი. აქუბარდია, ბრალდებულის დაცვის უფლება სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე, „სამართალი“, 1992, № 8-9, გვ. 60-62.

მხრივად, დაირღვა პროცესუალური კანონის მოთხოვნა, ბრალდებული ითვლება გამართლებულად და საქმე წყდება წარმოებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ახალ საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს გარკვეული ცვლილებები სასამართლოში საქმის განხილვის საერთო პირობების დადგენა-განსაზღვრაში.

მოქმედი საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლი ითვალისწინებს სათადარიგო მსაჯულის დასწრებას სასამართლო სხდომის დარბაზში თავიდანვე, რომელმაც შემდგომში უნდა შეცვალოს საქმის განხილვაში მონაწილე მსაჯული. ეს ნორმა პრაქტიკაში არ გამოიყენება, ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკითხი სასამართლოში ბოქაულის (პრისტავის) თანამდებობის შემოღების შესახებ, რომელიც შეასრულებდა სასამართლო თავმჯდომარისა და სასამართლო სხდომის მდივნის ცალკეულ ფუნქციებს: სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დამყარებას, სასამართლო დარბაზში მსურველების სათანადო რაოდენობით შემოშვებას, სასამართლო დარბაზში მოწმეთა მოწვევას და სხვ. ასეთი საკითხი სამართლიანად არის დაყენებული რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის პროექტში (მუხლი 261). სასამართლო ბოქაულის თანამდებობა არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სასამართლოს აკისრია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქცია, ამიტომ მომავალში იგი უნდა განთავისუფლდეს ყველა იმ მოქმედების შესრულებიდან, რომელიც დაკავშირებულია ბრალდების ფუნქციასთან. კერძოდ, სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს უფლება აღძრას სისხლის სამართლის საქმე განსასჯელის მიმართ ახალი ბრალდებისა გამო, ახალ პირთა მიმართ, ექსპერტის, დაზარალებულის, მოწმის მიმართ ცრუ ჩვენების მიცემისათვის, კერძო ბრალდების საქმეებზე. თუ სასამართლო საქმის განხილვის პროცესში მივა დასკვნამდე, რომ არსებობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი, მან საქმის შესაბამისი მასალები უნდა გადაუგზავნოს პროკურორს, რომელსაც აკისრია ბრალდების ფუნქციის განხორციელება და სისხლის სამართლის აღძვრის უფლება.

ასევე სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს უფლება სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობის საფუძველზე გადააკვალიფიციროს ჩადენილი ქმედობა უფრო მძიმე დანაშაულზე, თუნდაც ეს გამომდინარეობდეს საქმის მასალებიდან¹⁰.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახალმა საპროცესო კოდექსმა უნდა დაუშვას განსასჯელის გარეშე სასამართლოში საქმის განხილვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც განსასჯელი იმყოფება საზღვარგარეთ და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.

სახელმწიფო ბრამდებელს უფლება აქვს ნებისმიერ საქმეზე გამოცხადდეს სასამართლოში და მხარი დაუჭიროს ბრალდებას. პროკურორი სასამართლოში აფასებს საქმის მასალებს, ამიტომ მას უნდა დარჩეს უფლება გამოთქვას თავის მოსაზრება არა მარტო განსასჯელის სახის, არამედ განსასჯელის ზომის შესახებაც. პროკურორის უფლება ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ ყოველთვის უნდა იყოს დასაბუთებული, მაგრამ მისი ასეთი მოსაზრება თავისთავად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. სასამართლო საქმის ბელს წყვეტს თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე და არა პროცესის რომელიმე მონაწილის, მათ შორის სახელმწიფო ბრალმდებლის კარნახით.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მე-20 და 514-ე მუხლები ავალდებულებს სასამართლოს გამოიტანოს

¹⁰ См. «Социалистическая законность», 1990, № 3, с. 53.

გამამართლებელი განაჩენი იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დაზარალებული უარს ამბობენ ბრალდებაზე. ამავ კოდექსის 499-ე მუხლი უკრძალავს პროკურორს გამოთქვას თავისი მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ.

ახალ საპროცესო კოდექსში დაწვრილებით უნდა იყოს რეგლამენტირებული ნორმა, რომლის თანახმადაც სასამართლოს მიენიჭოს უფლება განაჩენის გამოტანის საფუძველზე დაავალოს შინაგან საქმეთა ორგანოებს მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის და სხვა მონაწილის პირადი უსაფრთხოების დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც მათ, მათი ოჯახის წევრებს, ახლო ნათესაებს ემუქრებიან სიკვდილით, ქონების განადგურებით, შეურაცხყოფით ან სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გამოყენებით. ასეთი ნორმა არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობით და ეს სამართლიანად იყო გათვალისწინებული 1990 წლის 12 ივნისის კანონით (მუხლი 27-1).

გასათვალისწინებელია წინადადება, რომლის ძალითაც სასამართლომ უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, თუ საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების დროს არ იყო გათვალისწინებული სასამართლოს მითითებები მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ცალმხრივობის, არასრულად და არაობიექტურად ჩატარების თაობაზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



საპარტიოს ნორმები და ნაწილის დაყვარება საზოგადოებაში

კაცობრიობის მოდგმას ცვალებადი პირობებისადმი ადაპტაციის ძლიერი უნარი და ნიჭი გააჩნია. ამ პროცესს თან ახლავს ადამიანთა შორის ურთიერთობებში წესრიგის დამყარება. წესრიგის დამყარება, ცოდნის მიღებასთან ერთად, ნიშნავს, რომ კულტურული ევოლუცია სულ უფრო მეტი სირთულეებით ხასიათდება. ასეთი ევოლუციის პირობები განისაზღვრება ყოველი ახალი თაობის მიერ, რომელიც იძენს წინა თაობის მიერ დაგროვილ ცოდნას და საკუთარი წვლილი შეაქვს ახალი იდეებისა და შესაძლებლობების შემუშავებაში.

ახალი ცოდნის დაჩქარებული ზრდა და ახალი შესაძლებლობების აღმოცენება იწვევს მომავლის გაურკვევლობას. თვით ამ ცოდნისა და ამ შესაძლებლობების ფუძემდებლებსაც კი არ შეუძლიათ განჭვრიტონ თუ რა მოაქვს მომავალს, რამდენადაც მათთვის საიდუმლოდ რჩება როგორი ფორმით გარდაქმნის ახალი ცოდნა მომავალ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს.

ახალი ცოდნის შექმნასა და გაურკვეველ პერსპექტივას შორის კავშირი საზოგადოებაში სერიოზული დამაბულობის წყაროა. ამასთან, ეს დამაბულობა უფრო ძლიერია მოსახლეობის იმ ფენებსა და იმ ერებს, რომელთაც არ ესმით იმ პროცესების აზრი, რამაც უნდა გარდაქმნას წლობით თუ საუკუნეებით ჩამოყალიბებული ცხოვრების ტრადიციული წესები. მომავლის შიშმა შეიძლება ხალხი უტოპიური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებამდე მიიყვანოს. ამასთან შეიძლება მძლავრი მისწრაფება ადრე არსებული წესრიგის დაბრუნებისა. სასურველის სინამდვილედ გასაღებად შეიძლება სტიმული მისცეს ისეთი საზოგადოებრივი მოძრაობის აღმოცენებას, რომელიც ძალადობას გადააქცევს სახელმწიფო პოლიტიკად და მიმართული იქნება კრიტიკული ანალიზის მეთოდების დათრგუნვისაკენ, რაც სულ უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს მიუღწეველი მიზნებისათვის.

მსგავსი საშიშროება არსებობს ნებისმიერ საზოგადოებაში, თუმცა ასეთ დროს აღმოცენებული სირთულეები შეიძლება გადაილახოს, თუ საზოგადოების წევრებს აქვთ უნარი ერთდროულად უზრუნველყონ თავიანთი დამოუკიდებელი განვითარება და თვითმმართველობა. პრობლემა, რომელიც დგას თანამედროვე ადამიანის წინაშე, პირველყოფლისა იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლოს ახალი ცოდნის შექმნა და ახალი შესაძლებლობების მიგნება, და მეორე, ისწავლოს ცვალებადი პირობების დროს მოწესრიგებული ურთიერთობების ჩამოყალიბება და სრულყოფა.

საზოგადოებაში წესრიგის უზრუნველყოფა ნორმების მეშვეობით ხდება. ნორმები ყოფენ ყველა შესაძლებელ მოქმედებას აკრძალულად და დასაშვებად, და წარმოადგენენ იმ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია გავმიჯნოთ, რა არის აკრძალული და რა დაშვებული. ნორმისა და ნორმების სახით არსებული ღირებულებების პოსტულატების მნიშვნელობის გაგება აუცილებელია პრაქტიკული წესების შემუშავებისა და მათი გამოყენებისათვის, რომელთა სწორად განსაზღვრის დროს ჩემი აზრით, აუცილებელია ნორმათა გამოკვლევის მეთოდით სარგებლობა.

სირთულეები აღმოცენდებიან არა მხოლოდ ნორმების ხასიათთან დაკავშირებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან განვასხვავოთ დაშვებული და აკრძა-

ლული და რომლებიც გვევლინებიან საზოგადოებრივი წესრიგის მორალურ საფუძვლად, არამედ ამ ნორმებით რეგულირებული ურთიერთობების შემდგომ განვითარების ამოუხსნელ ხასიათთან დაკავშირებითაც. სირთულეები დაკავშირებულია ნორმების მეშვეობით მოწესრიგებული ურთიერთობების განვითარების პირობებისა და შედეგების დადებით შეფასებასთან, რამდენადაც შედეგება შეიძლება იყოს მოქმედი პირების განზრახვის სრულიად საწინააღმდეგო.

ნორმების კიდევ ერთი თავისებურება იმაშია, რომ ისინი წარმოადგენენ ადამიანის საქმიანობის პროექტს. მათი თავისთავად ჩამოყალიბება, გამოყენება და მით უმეტეს ცხოვრებაში გატარება წარმოუდგენელია. ამასთან დაკავშირებით, აბსურდულად მიმაჩნია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თითქოს რაიმე ინსტიტუტები თავისთავად არსებობდნენ. ისინი მხოლოდ მაშინ იძენენ აზრს და ხდებიან სარგებლიანი, როცა ადამიანები მიანიჭებენ აზრს და გამოიყენებენ მათ.

რამდენადაც ნორმების ფორმულირების, გამოყენებისა და ცხოვრებაში გატარების ფუნქციები შეიძლება ეკისრებოდეთ არა მათ, ვინც უშუალოდაა ჩაბმული ამ ნორმებით რეგულირებულ საქმიანობაში, ამდენად ნორმების მეშვეობით ინსტიტუტების მოწესრიგებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ურთიერთობები შეიძლება თანაარსებობდნენ და მოქმედებდნენ ურთიერთკავშირში. პრინციპში შეიძლება გამოვეყოთ ურთიერთობათა სამი საფეხური, რომელთა მეშვეობით ფუნქციონირებენ, გამოიყენებიან და ცხოვრებაში ტარდებიან ნორმები. ესაა სანქციონირებული, ავტორიტეტული და კონსტიტუციური ურთიერთობები. ეს სამი საფეხური ერთობლიობაში ქმნის მოცემული საზოგადოების სახელისუფლო ურთიერთობების სტრუქტურას.

სანქციონირებული ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს როგორც ისეთი, რომელთა ფარგლებშიც ხელისუფლების საქმიანობა მიმართულია ყოველდღიური საქმეების საწარმოებლად. მათ სფეროში შედის სამართლის მრავალი ასპექტი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საკუთრებისა და გაცვლითი ურთიერთობების რეგულირებასთან და საერთოდ კერძო სამართალთან.

ნორმის გამოყენების ან მისი ცოვრებაში გატარების საკითხთან დაკავშირებით კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში მოქმედებს ავტორიტეტული ურთიერთობების სფერო. ავტორიტეტული ურთიერთობები დაკავშირებულია იმასთან, რაც ჩვეულებრივ იწოდება „მმართველობად“. საქმიანობა, რომელიც მმართველობას განეკუთვნება გულისხმობს სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებას (საკანონმდებლო საქმიანობა), მათ გამოყენებას (სასამართლო) და ცხოვრებაში გატარებას (აღმასრულებელი).

კანონი, რომელიც არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, არ მოქმედებს. სამართლის ნორმის ქმედუნარიანობა კი დაკავშირებულია ავტორიტეტული უფლებამოსილების მქონე ხელისუფლების ორგანოების საიმედო, არათვითნებური ხასიათის გადაწყვეტილებებთან. სანქციონირებული და ავტორიტეტული ურთიერთობების ურთიერთკავშირი გულისხმობს მმართველობის ინსტიტუტების შეჯერებას იმ ინსტიტუტებთან, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მმართველობასთან.

ნორმების მეშვეობით მოწესრიგებული ურთიერთობების მესამე საფეხურს კონსტიტუციურს უწოდებენ. ამ საფეხურზე მმართველობის (ე. ი. ავტორიტეტული ურთიერთობების) პრინციპები და პირობები ყალიბდებიან როგორც კონსტიტუციური სამართლის ნორმები. ადამიანები, ერები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ, გამოიყენონ და ცხოვრებაში გაატარონ, ასევე გადასინჯონ მმართველობასთან დაკავშირებული ნორმები, უნარიანნი არაან თვითმმართველობისათვის.

ნორმების ეფექტიანობა დამოკიდებულია ურთიერთობების ტიპზე, რომელიც არსებობს მმართველებსა (სახელმწიფო აპარატსა) და ქვეშევრდომებს (ხალხს) შორის, და ჩემი აზრით, იმ პრინციპებისა და პირობების შემუშავება, რომლებიც განეკუთვნებიან ასეთ ურთიერთობებს, წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას საზოგადოებაში წესრიგის დასამყარებლად.

თუ გადავხედავთ მასალებს ფილოსოფიური და პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან, დავინახავთ, რომ ამ თემაზე მსჯელობა საკმაო ხანია მიმდინარეობს, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ ორი სრულიად განსხვავებული პრინციპი, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ურთიერთობების ორგანიზაციას, ჩემი აზრით. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით გავცნობთ აღნიშნულ პრინციპებს.

პირველი მეტნაკლებად თანმიმდევრულად გაანალიზებულია თ. ჰობსის მიერ. მეორის აზრი და არსი გვხვდება მონტესკიესთან, ასევე, ჰალმილტონის, მედისონისა და ტოკვილის ნაშრომებში. ამ პრინციპებს შეიძლება ვუწოდოთ „ბატონობა“ და „მეგობრობა“.

ჰობსი გამოდის იმ დებულებიდან, რომლის თანახმად ნებისმიერ საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების მოსაწერსივებლად აუცილებელია ნორმათა ერთიანი კრებული. არსებობს სამართლის ერთიანი წყარო; ამ უკანასკნელის ერთიანობა დამოკიდებულია ხელისუფლების ერთიანობაზე. ჰობსმა შეიმუშავა უმაღლესი ხელისუფლების თეორია, რომლის თანახმად უფლება ხელისუფლებაზე გაჩნდა ერთ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში გვევლინება უზენაესი ხელისუფლების მატარებლად. ეს დებულება მიესადაგება სახელმწიფოს განმარტებას, როგორც მონოპოლიას საზოგადოებაში ავტორიტეტული ურთიერთობების რეალიზაციაზე. უმაღლესი ხელისუფლების უფლებამოსილება ქვეშევრდომთა (ხალხის) მიმართ შეუზღუდავია. უფლება ხელისუფლებაზე არ მოიცავს არავითარ იურიდიულ ვალდებულებებს მათ მიმართ. რამდენადაც შეზღუდვები არ არსებობენ, უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი არავის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებული. ისინი წარმოადგენენ სამართლის წყაროს და ამ სახით დგანან კანონზე მაღლა. უმაღლესი ხელისუფლების უფლებამოსილებაში შედის იმის განსაზღვრა, თუ რა არის აუცილებელი წესრიგის შესანარჩუნებლად. უმაღლესი ხელისუფლების უფლებამოსილება განუყოფელია. ასეთი ტიპის საზოგადოებაში ურთიერთობათა სტრუქტურა გაბატონებულია (ხელისუფლების) და დაქვემდებარებულებს (ხალხს) შორის ისეთ ურთიერთობამდე დადის, სადაც ხელისუფლების არმქონედ მეორე გვევლინება.

უმაღლესი ხელისუფლების ასეთი „უნიტარული“ იდეის ფუნდამენტალური წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლესი ხელისუფლება დგას კანონზე მაღლა და პასუხს არ აგებს მის წინაშე. გარკვეული მოსაზრებით იგი თითქმის კანონგარეშეა.

ჰობსის მიერ შემუშავებული უმაღლესი ხელისუფლების თეორია შეიძლება ბოლო მიგვეკუთვნებინა ინტელექტუალური კურიოზების რიცხვისადმი, მაგრამ საქმე ის არის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მთელი რიგი თეორიები გამომდინარეობენ სწორედ იმ წინაპირობიდან, რომლის თანახმად ხელისუფლების ერთიანობა აუცილებელია სამართლის ერთიანობისათვის, ხოლო ნებისმიერი სახელმწიფო წყობა გულისხმობს საზოგადოებაში ძალაუფლების (ან ძალის) კანონიერად გამოყენებაზე მონოპოლიას.

მმართველებსა და ქვეშევრდომებს შორის სამართლის ნორმების საფუძველზე ურთიერთობების ორგანიზაციის ალტერნატიულ ფორმას წარმოადგენს

დემოკრატია, რაც სხვათა შორის ჰობსმა აღწერა. მან განსაზღვრა იგი როგორც ისეთი მმართველობის ფორმა, როცა მოქალაქეთა ნებისმიერი საკრებულო ახორციელებს მთავრობის (უმაღლესი ხელისუფლების) უფლებამოსილებას.

საკრებულოს მიერ ხელისუფლების განხორციელება დამოკიდებულია იმ პრინციპების შემუშავებაზე, რომლებიც არეგულირებენ თვით ამ საკრებულოს (უმაღლესი ხელისუფლების) საქმიანობას და რომლებიც მისაღებია მისი წევრებისათვის. განსხვავება საკრებულოს ორგანიზაციის მარეგულირებელ ნორმებსა და ამ საკრებულოს მიერ საზოგადოებაში სხვა ურთიერთობების რეგულირებისათვის მიღებულ ნორმებს შორის შეესაბამება განსხვავებას კონსტიტუციურ ნორმებსა და იმ ნორმებს შორის, რომლებსაც იყენებენ სახელისუფლო უფლებამოსილების განხორციელებისას. ადამიანები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას საკრებულოს, როგორც უმაღლესი ორგანოს საქმიანობის პრინციპებისა და პირობების შესახებ, შეიმუშავენ კონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს. ხალხი, რომლებიც მონაწილეობენ საკრებულოში და ქმნიან საკრებულოს გარეთ ადამიანთა ცხოვრების მარეგულირებელ ნორმებს, შეიმუშავენ ავტორიტეტულ გადაწყვეტილებებს და მოქმედებენ მთავრობის სახელით. ხალხი, რომლებიც მოქმედებენ და შედიან ერთმანეთთან ურთიერთობაში ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, იღებენ სანქციონირებულ გადაწყვეტილებებს. სანქციონირებული გადაწყვეტილებები იმდენადაა დაკავშირებული კონსტიტუციურ ნორმებთან, რამდენადაც ეხებიან დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს. ამრიგად, მსგავს საზოგადოებაში ხალხი გვევლინება ერთდროულად როგორც მმართველად, ისე ქვეშევრდომად. დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების გამოყენება დაკავშირებულია აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ყველა ფორმის შესაძლებლობასთან იმდენად, რომ არაეის შექმლოს შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობა. ხელისუფლების ნებისმიერი გამოყენება პასუხისმგებლობას ვულისხმობს. ხოლო სამართლის ერთიანობა უზრუნველყოფილია იურიდიული კონფლიქტების მოგვარებით. ხელისუფლება მოწოდებულია უზრუნველყოს ერთდროულად პლურალიზმი და სამართლის ერთიანობა. ყველა მოწინავე დემოკრატიულ საზოგადოებაში შემუშავებულია გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებული სისტემები და პროცესები, რომლებიც განასხვავებენ საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებს აღმასრულებელი ორგანოებისაგან. ისინი ორგანიზებულნი არიან სხვადასხვანაირად, მაგრამ ისინი გარკვეულწილად ზღუდავენ ხელისუფლების ორგანოებს და პასუხისმგებლებს ხდიან მათ, რაც საერთო ჯამში აძლიერებს ნორმის მოქმედების საიმედოობას საზოგადოებაში.

დღეს ჩვენთან საუბარია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე. კარგად მოგვეხსენება, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ადრე სახელმწიფო არსებობდა სამართლის გარეშე, არამედ იმას, რომ არ არსებობდა სამართლის, კანონის უზენაესობა — ეს ძირითადი ქვაკუთხედი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა, სამართალი ყველასათვის სავალდებულოა და გამოაკლის არ სცნობს. საკმარისია უმცირესი გადახვევა ამ კანონიდან, რომ მან სიმტიცე დაკარგოს და აღარ ივარგოს.

ცივილიზაცია წინ მიიწევს. ძირითადი პრობლემა კი, რომელიც ამჟამად დგას არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მთლიანად ქართველი ხალხის წინაშე, იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევქმნათ ინსტიტუციონალური წინაპირობები, რომლებიც ფართო გაქანებას მისცემენ შესაძლებლობებს დამოუკიდებელი განვითარებისა და თვითმმართველობისათვის, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე ტიპის ცივილიზებული ქვეყნისათვის.

ლალი თადიაშვილი

ბინების პრივატიზაციის საპარტოლბრივი ასპექტები

ტერმინი „პრივატიზაცია“ ლათინური წარმოშობისაა („პრივატუს“ კერძო) და ნიშნავს სახელმწიფოსაგან საკუთრების უფლების გადაცემას სამართლის სხვა სუბიექტზე – მოქალაქეებზე. ეს უკანასკნელი კი იძენს საკუთრების უფლებას პრივატიზირებულ სახელმწიფო ქონებაზე.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტი 1992 წლის 1 თებერვალს მიიღო № 107 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ“, ხოლო 1992 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით დაამტკიცა დროებითი დებულება: „საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურების და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და გაწეული დანახარჯების დაფარვის შესახებ“. აღნიშნული ნორმატიული აქტები განსაზღვრავენ საქართველოს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის პრივატიზაციის წესს და პირობებს. ვიდრე შევუდგებოდეთ აღნიშნული ნორმატიული აქტების ანალიზს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ბინების მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემა ხორციელდებოდა ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებამდეც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მანამდე მოქმედი ნორმატიული აქტები ითვალისწინებდნენ ბინებზე საკუთრების უფლების მოქალაქეებისადმი სასყიდლოთ გადაცემას.

სახელმწიფო ბინების შესყიდვას ითვალისწინებდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ 1989 წლის 21 ივნისის № 311 და 1990 წლის 25 იანვრის № 35 დადგენილებები, რომლებითაც მოქალაქეებს ეძლეოდათ ნება შეესყიდათ საკუთრების უფლებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის სახლებში დაკავებული ბინები, აგრეთვე შეუსახლებელი ბინები იმ სახლებში, რომლებიც ექვემდებარებიან რეკონსტრუქციას ან კაპიტალურ შეკეთებას.

მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები (ბინები) შეესყიდათ განვადებით 10 წლის ვადით, იმ პირობით თუ საწყისი შენატანი შეადგენდა სახლის (ბინის) ღირებულების 50 პროცენტს.

ამჟამად მოქმედი საცხოვრებელი სახლების (ბინების) პრივატიზაციის წესი ითვალისწინებს შემდეგ პრინციპულ დებულებებს:

საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაცია ხდება უსასყიდლოდ, მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი სახლები (ბინები);

ბინების პრივატიზაცია ხდება მოქალაქეთა სურვილით, ნებაყოფლობით. არავის აქვს უფლება, რა მოტივითაც უნდა იყოს ნაკარნახევი, აიძულოს მოქალაქე ბინის პრივატიზაციაზე. მოქალაქე თვითონ წყვეტს იყოს დაკავებული ბინის მესაკუთრე, თუ დარჩეს ამ ბინის დამპირავებლად;

საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციის ობიექტი არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში დაქირავებული სახლი (ბინა) ან ავარიული-სარეკონსტრუქციო და კაპიტალურად შესაკეთებელ სახლში შეუსახლებელი, აგრეთვე გამონთავისუფლებული ბინა.¹

საბინაო ფონდის პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს ავარიულ ბინებს, რომლებსაც ჩამოქცევა ემუქრება და ისეთებს, რომლებიც კაპიტალურად შეკეთების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საცხოვრებლად. თუ სახლს ჩამოქცევა მოელოს, მაშინ, კანონის თანახმად, იქ მცხოვრები პირები დაუყოვნებლივ უნდა გამოსახლდნენ ადმინისტრაციული წესით (პროკურორის სანქციით) და რიგგარეშე მიეცეთ სხვა ბინა. ასეთი ბინების პრივატიზირება ყოვლად დაუშვებელია. რაც შეეხება ისეთ ავარიულ ბინებს, რომელთა კაპიტალური შეკეთება შეიძლება, მათი პრივატიზირება აკრძალული კი არ არის, არამედ პირიქით, ასეთი ბინები მათი სურვილსამებრ შეიძლება გადაეცეს საკუთრებად, იქ მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც შეაკეთებენ ასეთ ბინებს და საცხოვრებლად ვარგისს ვახდინან.

პრივატიზაციის ობიექტია აგრეთვე ისტორიისა და კულტურის ძეგლებად მიჩნეულ სახლებში არსებული ბინები, რომელთა პრივატიზება დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოების ნებართვების საფუძველზე. დავა, დამქირავებელსა და ძეგლთა დაცვის ორგანოებს შორის, ამ უკანასკნელის მიერ ბინის პრივატიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, განიხილება სასამართლო წესით.

განსაკუთრებულ განხილვას იმსახურებს საკითხი იმის შესახებ, მიეკუთვნება თუ არა პრივატიზაციის ობიექტს შემოქმედებითი სახელოსნოები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით, დამტკიცებული დროებითი დებულების თანახმად, შემოქმედებითი სახელოსნოები უსიტყვოდ და უპირობოდ შეტანილია იმ ობიექტთა ჩამონათვალში, რომლებზედაც ვრცელდება პრივატიზაცია. ჩვენი აზრით, მიუღებელია საკითხის ამგვარად გადაწყვეტა და მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხები დიფერენცირებულად გადაწყვეტილიყო იმისდა მიხედვით თუ რა ტიპის შემოქმედებითი სახელოსნოებთან ვვაქვს საქმე.

შემოქმედებითი სახელოსნოები, რომლებიც აშენებულია მენაშენთა სახსრებით, არის ამ უკანასკნელთა საკუთრება ყოველგვარი პრივატიზაციის გარეშე.

პრივატიზაცია ვრცელდება (უსასყიდლოდ გადაეცემა მოქალაქეებს) საცხოვრებელ ბინაში განთავსებულ ფართზე, რომელიც გათვალისწინებულია შემოქმედებითი საქმიანობისათვის. მიგვაჩნია, რომ ამგვარად უნდა იქნეს გაგებული ბინების პრივატიზაციის შესახებ აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ დროებით დებულებაში მოხსენიებული შემოქმედებითი სახელოსნოები, რაც შეეხება ცალკე განლაგებულ შემოქმედებით სახელოსნოებს, რომლებიც კანონით დადგენილი წესით გადაეცა მოქალაქეს დროებითი სარგებლობისათვის მიზნობრივი დანიშნულებით — შემოქმედებითი სახელოსნოს მოსაწყობად, ჩვენი აზრით, მათზე არ უნდა ვავრცელდეს ზემოაღნიშნული დროებითი დებულებით განსაზღვრული წესი შემოქმედებითი სახელოსნოების პრივატიზაციის შესახებ და ასეთები შეიძლება გადაეცეს მოქალაქეებს მხოლოდ სასყიდლით.

¹ Чигир В. Ф. Жилищное право, Минск, 1986, с. 38; Марткович И. Б. Конституционное право на жилище, М., 1979, 18.

ბინების პრივატიზაციის შესახებ კანონმდებლობაში მითითებულია თუ რა სახის საცხოვრებელი ფართი არ ექვემდებარება პრივატიზაციას. ესენია: სამშენობლო სახურებრივი დანიშნულების ბინები, საერთო საცხოვრებლის ბინები, დროებითი, ბარაკის ტიპის ფართობი და რონოდები.

პრივატიზაციას ექვემდებარება საცხოვრებელი ვარგისი ბინები. დროებითი და ბარაკის ტიპის ბინები არ პასუხობენ საცხოვრებელი ბინებისათვის გათვალისწინებულ სანიტარულ და ტექნიკურ მოთხოვნებს. მათში მცხოვრები მოქალაქეები მიეკუთვნებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა რიცხვს და ამიტომ აიყვანებიან ბინის მიღების აღრიცხვაზე.

უფრო მეტიც, თუ დროებით და ბარაკის ტიპის სახლებში განთავისუფლება ფართობი, ამ ფართობში არ დაიშვება სხვა პირის ჩასახლება და ამიტომ ასეთი ტიპის სახლების (ბინების) პრივატიზაცია არ დაიშვება. ასევე არ დაიშვება პრივატიზირება რონოდებისა, ვინაიდან რონოდიც არ მიეკუთვნება საცხოვრებელ ფართობს და მასში მოქალაქეთა ხანგრძლივად ჩასახლება დაუშვებელია.

გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებისა, ჩვენი აზრით, პრივატიზაციას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა ექვემდებარებოდეს ის სახლები (ბინები), რომლებიც სასამართლო დავის საგანია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, როდესაც ბინების პრივატიზაცია არ დაიშვება, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთი ბინების არსებობას, რომელნიც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყვნენ პრივატიზაციის ობიექტები. კერძოდ, საბინაო კოდექსის 107-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა მოსამსახურეები შეწყვეტენ შრომით ურთიერთობას საცხოვრებელი სადგომის მიმცემ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე ან შრომის დისციპლინის დარღვევის ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით. ასეთი დაწესებულებების, ორგანიზაციების სიას ამტკიცებს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი².

აღნიშნული კანონის ნორმა მიზნად ისახავს მუშა-მოსამსახურეების დამაგრებას სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში. ასეთ ვითარებაში ყოვლად გაუმართლებელია მსგავსი ბინების პრივატიზაციის შესაძლებლობა.

ბინების პრივატიზაციის ობიექტს არ უნდა მიეკუთვნოს სახელმწიფოს, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი აგარაკები, რომლებიც მოქალაქეებს გადაეცემათ დროებით სარგებლობაში. საქმე ის არის, რომ ასეთი აგარაკებით სარგებლობა ატარებს დროებით ხასიათს და დაკავშირებულია შრომით ურთიერთობასთან. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა იწვევს აგარაკით სარგებლობის უფლების შეწყვეტას, ამიტომ ბინების პრივატიზაცია არ უნდა ვრცელდებოდეს აგარაკებზე.

ბინების პრივატიზაციის კანონმდებლობის ანალიზის შედეგად იბადება კითხვა: რამდენად მართებულია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების მიხედვით საბინაო-სამშენობლო კოოპერატივების სახლებში ბინების პრივატიზაციის ობიექტად ჩათვლა.

² იხ. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილება ცვლილებებით (საქართველოს რესპუბლიკის დადგენილებათა კრებული, 1978 წლის № 5, მუხლი 70).

ამ დადგენილების თანახმად, კოოპერატივის წევრს, რომელმაც მთლიანად დაფარა მისთვის მიცემული ბინის ღირებულება (კრედიტის ჩათვლით) ბინა გადაეცემა საკუთრებაში. ასეთ პირობებში ბინის საკუთრებაში გადაცემა ექვემდებარება და სამართლიანია, მაგრამ გაუმართლებლად მიგვაჩნია აღნიშნული დებულების შეტანა დადგენილებაში ბინების პრივატიზაციის შესახებ. რადგან მისი ადგილი, ჩვენი აზრით, საკუთრების შესახებ კანონშია.

მეტად სადავოდ მიგვაჩნია გამოთავისუფლებული ბინების პრივატიზაციის ობიექტებად მიკუთვნება³, მით უფრო მათი აუქციონის წესით გაყიდვის შესაძლებლობა⁴.

გამოთავისუფლებული ბინის დანიშნულებაა განაწილდეს, იმ პირთა შორის, რომლებიც საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას, დგანან აღრიცხვაზე და ათეული წლების მანძილზე რიგის მიხედვით ელოდებიან ბინის მიღებას.

გაუგებარია გამოთავისუფლებული ბინების აუქციონის წესით გაყიდვის შესაძლებლობაც, რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მოსახლეობის შეძლებული ფენა შეიძენს ბინებს და დაინაგრება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელნიც ათეული წლების განმავლობაში რიგით ელოდებიან ბინებს და სახსრების უქონლობის გამო არა აქვთ საშუალება მიიღონ აუქციონში მონაწილეობა.

ჩვენი აზრით, პრივატიზაცია არ უნდა გავრცელდეს აგრეთვე საბინაო კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კერძოდ: ბინები, რომლებიც თავისუფლდება სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის გადაცემულ სახლებში, აგრეთვე ბინები, რომლებიც აშენებულია წილობრივი წესით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახსრების გამოყენებით. ასეთი ბინები საბინაო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად პირველ რიგში უნდა მიეცეთ იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ პირებს, რომელთა სახსრებითაც აშენებულია სახლები.

ბინების განაწილების ასეთი წესი გამოიყენება საცხოვრებელი სახლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოსათვის გადაცემის ან მშენებლობის დამთავრების დროის მიუხედავად.

ამგვარად, გამოთავისუფლებული ბინების პრივატიზაციის შესახებ საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების ზემოთ განხილული დებულება შეუსაბამობაშია საბინაო კოდექსის 55-ე მუხლთან და გასწორებას მოითხოვს.

ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ პრივატიზაციის წესები გავრცელდეს საბინაო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე. კერძოდ, პრივატიზაცია არ უნდა გავრცელდეს ბინაში გამოთავისუფლებულ ფართობზე თუ ამ ბინაში ცხოვრობს რამდენიმე დამქირავებელი. მოქმედი კანონმდებლობით თუ ბინაში, სადაც დამქირავებელი ცხოვრობს, გათავისუფლდება ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისაგან და მისი მომიჯნავეა, იგი სარგებლობაში უნდა გადაეცეს დამქირავებელს.

თუ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი თავისუფლდება ბინაში, რო-

3 საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“.

4 იხ. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 აგვისტოს № 587 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის პრივატიზებული და საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და გაწეული დანახარჯების დაფარვის შესახებ“ დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ, პუნქტი მე-3.

მელშიც რამდენიმე დამქირავებელი ცხოვრობს, იგი მიეცემა ბინაში მცხოვრებ იმ მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე ან რომლებსაც აქვთ აღრიცხვაზე აყვანის უფლება, ხოლო თუ ასეთები არ არიან, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ ერთ სულზე თორმეტ კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი.

თუ ბინაში არ ცხოვრობენ ასეთი მოქალაქენი, გათავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომში შესახლება მოხდება საერთო წესით.

გარკვეულ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს პრივატიზებული ბინების სუბიექტი, ან თუ ვის შეიძლება გადაეცეს პრივატიზებული სახლი (ბინა).

საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ სახლის დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და მიაღწიეს 18 წლის ასაკს. ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით სახლი (ბინა) საკუთრებად შეიძლება გადაეცეს ბინაში მცხოვრებ ოჯახის არასრულწლოვან წევრსაც. ასეთ შემთხვევაში 15 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მაგიერ მისი სახელით ხელშეკრულებას სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ დებს მისი მშობელი, მშვილებელი ან მეურვე. 15-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანი ხელშეკრულებას დებს მშობლების ან მზრუნველის თანხმობით.

როგორც აღვნიშნეთ, პრივატიზაციის ობიექტებს შორის შეიძლება იყოს ავარიული, სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად შესაკეთებელ სახლში შეუსახლებელი, აგრეთვე გამოთავისუფლებული ბინა. ბინების პრივატიზაციის შესახებ დადგენილებაში, სამწუხაროდ, გამოჩენილია იმ პირთა ნუსხა, რომელთაც პრივატიზაციის შედეგად შეუძლიათ უსასყიდლოდ მიიღონ ასეთ სახლებში გამოთავისუფლებული ბინა განსახილველ ნორმატიულ აქტებში არსებული ნაკლის შევსების მიზნით, მიგვაჩნია, რომ ასეთ სახლებში ბინა საკუთრებაში უნდა გადაეცეთ არა იმ პირებს, რომლებიც მასში კაპიტალური შეკეთების დაწყებამდე ცხოვრობდნენ და გადავიდნენ ახლადმიცემულ ბინაში, არამედ უპირველესად საქართველოს დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ პირთა ოჯახებს, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს, აგრეთვე მათთან გათანაბრებულ პირებს, თუ მათ ესაჭიროებათ საბინაო პირობების გაუმჯობესება და აგრეთვე მათ, რომლებიც აყვანილნი არიან აღრიცხვაზე საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, ზემოთ აღნიშნულ ბინებში კანონით დადგენილი წესით შესახლების შემდეგ.

იმისათვის, რომ მოქალაქეებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები (ბინები) საკუთრებაში გადაეცეთ, საჭიროა მათი ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობა (საბინაო კოდექსის 62-ე მუხლი).

ბინაში მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრთა შორის იგულისმება ის პირიც, რომელიც პრივატიზაციის პერიოდში ოჯახში არ ცხოვრობს, მაგრამ მოცემულ ბინაზე უფლებდაკარგულად ცნობილი არ არის, აგრეთვე ის პირი, რომლის უფლება ბინაზე დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ ჯერ ბინაში შესახლებული არ არის.

მას შემდეგ, რაც კანონმა პრივატიზაციისათვის საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ დამქირავებლის ოჯახის წევრთა წერილობითი თანხმობა, უდავოა, რომ აპრივატიზაციო ბინაში მცხოვრები დროებითი მდგომარეობის და ქვედამქირავებლის თანხმობა საჭირო არ არის. არის პირთა ისეთი კატეგორიაც, რომლებიც, ართალია, დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ, მასთან ერთად ეწვევიან საერთო მეურნეობას, მაგრამ ოჯახის წევრებად მაინც არ ითვლებიან. ესენი არიან

მეურვეები და მზრუნველები, დანიშნულნი იმ არასრულწლოვანი ბავშვების ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო მშობელთა მზრუნველობის გარეშე არიან დარჩენილნი, აგრეთვე იმ სრულწლოვან პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები.

მოქმედი კანონმდებლობა ბინების პრივატიზაციის შესახებ უშვებს პრივატიზებული ბინების საერთო საკუთრებაში გადასვლას დამქირაველის და მისი ოჯახის წევრების შეხედულებისამებრ.


ადგილობრივი მმართველობის ორგანოების პრაქტიკაში არ არის ერთსულოვნება საკითხში — არის თუ არა რაიმე შეზღუდვა მოქალაქისათვის პრივატიზირებული ბინის გადაცემისას ფართობის ზომისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის მხრივ. მაგალითად ქალაქ თბილისის ისნის რაიონის გამგებამ უარი უთხრა ორ წევრიან ოჯახს, რომელსაც ეკავა 4 ოთახიანი ბინა ფართობით 84 კვ. მეტრი, იმ მოტივით, რომ თითოეულზე 12 კვ. მეტრზე მეტი ფართობი მოდიოდა. ასეთი პრაქტიკა, ბუნებრივია, კანონსაწინააღმდეგოა და უარყოფილი უნდა იყოს. ანალოგიურ საკითხებზე პასუხის გაცემისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, თუ რომელი ბინა არის პრივატიზაციის ობიექტი.

თუ პრივატიზაციის ობიექტი არის უკვე შესახლებული ბინა, ის საკუთრებაში ეძლევა ბინაში მცხოვრებ დამქირაველს და მისი ოჯახის წევრებს ფართობის ზომის მიუხედავად (როგორც საცხოვრებელი, ასევე დამხმარე ფართობი). ამ შემთხვევაში არ მიიღება მხედველობაში დამქირაველის ოჯახის წევრთა რაოდენობაც. ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც 1 სულს ეკავოს 4 ან 5 ოთახიანი ბინა, მთელი ბინა მას უნდა გადაეცეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. სულ სხვაა, როდესაც პრივატიზაციის ობიექტი შეუსახლებელი ბინაა. ამ შემთხვევაში ჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხდება ბინაში შესახლება და შემდეგ — მისი პრივატიზაცია.

საკუთრების უფლების წარმოშობა პრივატიზებულ ბინაზე დაკავშირებულია გარკვეული ფორმის დაცვასთან. მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზებული ბინა მოქალაქეს გადაეცემა უსასყიდლოდ, ასეთი გადაცემა ხდება წერილობით. ამისათვის მოქალაქენი, რომელთაც უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ საცხოვრებელი სახლი (ბინა), განცხადებით მიმართავენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საწარმო-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (ბინა). განცხადების საფუძველზე საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემა ფორმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის, რომელსაც ბინა უნდა გადაეცეს საკუთრებად, ხოლო საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა — ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება სავალდებულოა დადასტურდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში სამი თვის ვადაში, სანოტარო წესით დადასტურების დღიდან.

პრივატიზირებული სახლის (ბინის) საკუთრებაში გადასვლის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან. აღნიშნული ფორმის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში მოქმედებს საკუთრე-



ბის უფლების გადასვლის სხვა მარტივი და ჩვენი აზრით, გამართლებული წესი. მაგალითად, ყაზახეთის რესპუბლიკის 1992 წლის 1 ივლისს მიღებულ საპარლამენტო კოდექსში გათვალისწინებულია წესი, რომლის თანახმადაც პრეზიდენტობის უფლებას მხოლოდ იმ პირს შეუძლია, რომელიც მმართველობის ორგანოს ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის მიერ გაცემული მოწმობა საკუთრების შესახებ, რომელიც მანამდე მოქმედი კანონმდებლობით ცნობილი არ იყო. ასეთ მოწმობას ადგილობრივი მმართველობის ორგანო გასცემს ბინის პრეზიდენტობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიდება სახლის მეპატრონესა და მყიდველ მოქალაქეს შორის. ხელშეკრულება ამ შემთხვევაში სანოტარო დამოწმების გარეშე წარმოადგენს სამართალდამდგენ დოკუმენტს და ექვემდებარება რეგისტრაციას ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ბინა გადადის მოქალაქის საკუთრებაში თუ მის მიერ მთლიანად არის დაფარული მისთვის მიცემული ბინის ღირებულება კრედიტის ჩათვლით. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება იდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის გამგეობის და კოოპერატივის წევრს შორის და უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით. იგი სამი თვის ვადაში რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში⁵.

როგორც წესი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი არის ის პირი, რომელიც საერთო კრების გადაწყვეტილებით მიღებულია კოოპერატივის წევრად და შეტანილი აქვს საპაიო შესატანი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საერთო კრების მიერ დადგენილი ოდენობით.

ამ წესდებიდან გამონაკლისს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 ივნისის № 384 დადგენილებით გათვალისწინებული დებულება, რომლითაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებად შეიძლება ყოფილიყვნენ იმ შენობათა მესაკუთრეები, რომლებიც აღებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განაცხადებენ სურვილს მიიღონ კოოპერატიულ სახლში საცხოვრებელი ფართობი, ნაცვლად ასაღებ სახლში არსებული საცხოვრებელი ფართობისა, აგრეთვე ბინების დამქირავებლები, რომლებიც ამ სახლებში ცხოვრობდნენ არანაკლებ ერთი წლისა.

აღნიშნული პირები საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებად ხდებოდნენ პაის შეტანის გარეშე. მათთვის მისაცემი საცხოვრებელი ფართობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ფორმდებოდა საპაიო შენატანის სახით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს, რომლებიც დაწვერიანებულ იყვნენ როგორც აღებული სახლის მესაკუთრეები, კოოპერატივიდან გასვლისას უბრუნდებთ კოოპერატიულ სახლში მათთვის მიცემული ბინების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, ხოლო პირებს, რომლებიც ასაღებ სახლში ცხოვრობდნენ

⁵ იხ. ყაზახეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 3 თებერვლის № 88 დადგენილება „სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლებში შემენილი ბინების საკუთრების უფლების გაფორმების შესახებ“ ყაზახეთის რესპუბლიკაში მესაკუთრეს არ მოეთხოვება საკუთრების უფლების ფიქსირება სანოტარო წესით. საპაიო შენატანის მოღიანი დაფარვა თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით წარმოადგენს სამართალდამდგენ ფაქტს, მისი დარჩენილი ნაწილის შეტანა ნიშნავს ბინაზე საკუთრების უფლების წარმოშობას, ხოლო ამ თანხის შეტანის დღე ბინაზე საკუთრების უფლების წარმოშობის დღედ. ბინის მესაკუთრის სამართლებრივ მდგომარეობას იძენენ მეპაიეს ის ოჯახის წევრებიც, რომლებსაც აქვთ უფლება საპაიო შენატანის ნაწილზე. სხვა ოჯახის წევრები კი ინარჩუნებენ ბინაში მუდმივი ცხოვრების უფლებას.

დამქირავებლის უფლებით, კოოპერატივიდან გასვლისას საპაიო შესატანნი მიეცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში გაწევრიანებული ადებული სახლის ყოფილ მესაკუთრეს ბინა გადაეცემა საკუთრებაში ისეთივე წესით, როგორც კოოპერატივის იმ წევრებს, რომლებმაც მთლიანად შეიტანეს საპაიო შესატანი.

ადებულ სახლებში დამქირავებლის უფლებით მცხოვრები პირები, რომლებიც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში მიღებული იყვნენ საპაიო შესატანების გარეშე, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბინის მესაკუთრეები გახდებიან მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი გადაიხდიან დაკავებული ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას⁶.

პრივატიზირებული სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა არ გამოიციხავს სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებას (საპრივატიზაციო სახლის (ბინის) ქირისა და კომუნალური გადასახადების ორი წლის ოდენობით 1992 წ. 1 იანვრის მდგომარეობით, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი — 50 მანეთის ოდენობით).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბინების პრივატიზაციის დადგენილების მიღებამდე მოქმედი კანონმდებლობა უშვებდა მოქალაქეების მიერ დაკავებული საცხოვრებელი ბინების შესყიდვას იმ პირობით, რომ მოქალაქე გადაიხდიდა ბინის ღირებულების 50 პროცენტს, ხოლო დანარჩენ 50 პროცენტს დაფარავდა 10 წლის განმავლობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ პრივატიზაცია საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა მოქალაქეებისათვის ბინების უსასყიდლოდ გადაცემით, მანამდე შეძენილი ბინები გადადის მოქალაქეთა საკუთრებაში და ისინი თავისუფლდებიან განვადებული ბინის ღირებულების დაფარვისაგან. სამწუხაროდ, ასეთი წესი არ გავრცელდა მოქალაქეებზე, რომლებიც გაწევრიანებული არიან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში, მათ ევალებოთ მთლიანად დაფარონ დავალიანება და მხოლოდ ამის შემდეგ გახდნენ ბინების მესაკუთრეები.

მოქალაქე, რომელსაც პრივატიზაციის წესით უსასყიდლოდ გადაეცა ბინა, ხდება ამ ბინის მესაკუთრე. ეს იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ის: გაყიდოს, გასცეს იჯარით, გააქირავოს, გააჩუქოს, ანდერძით გადასცეს, გაცვალოს და მოახდინოს სხვა გარიგებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს.

ასეთ ვითარებაში გაკვირვებას იწვევს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების 31-ე პუნქტი, რომლის თანახმად სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების (ბინების) ადების დროს მოქალაქეებს და მათი ოჯახის წევრებს მიეცემათ ბინები არსებული ნორმების ფარგლებში სურვილისამებრ საკუთრების ან დამქირავებლის უფლებით, ასაღები შენობების ღირებულების აუნაზღაურებლად.

იბადება კითხვა: თუ მოქალაქე პრივატიზაციის წესით ბინას (სახლს) იღებს საკუთრებაში და შეუძლია ყოველგვარი შეხედულების გარეშე განკარგოს ის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, პრივატიზებული სახლის ადების დროს მოქალაქეებს ეზღუდებათ

⁶ შალვა ჩიკვაშვილი, ავთანდილ კახნიაშვილი, ბინების პრივატიზაციის კანონმდებლობის კომენტარი, თბ., 1992 წ. გვ. 6-7.

უფლება და მათ მიმართ გამოიყენება არა ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ასეთი შემთხვევებისათვის ითვალისწინებენ საკუთარი სახლის ალებასთან კავშირებით წესებს და პირობებს, არამედ ზღუდავენ მის უფლებას და ბუღი სახლის ნაცვლად მათ მიეცემათ ბინები საკუთრების ან დამქირავებლის უფლებით, ასაღები შენობის ღირებულების აუნაზღაურებლად?

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება საქართველოს საბინაო კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებულ წესებს, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქემ პრივატიზაციის წესით უსასყიდლოდ მიიღო საკუთრებაში ბინა. ამ ბინის შემდგომში ალებისას მას უფლება აქვს: 1. მიიღოს დადგენილი ნორმების მიხედვით დამქირავებლის უფლებით ბინა და გარდა ამისა არჩევანისამებრ აუნაზღაურდეს ასაღები სახლის ნაგებობისა და მოწყობილობის ღირებულება, ანდა მიეცემა უფლება თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს ამ სახლის, ნაგებობის და მოწყობილობის ღირებულება. ანდა მიეცემა უფლება თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს ამ სახლის, ნაგებობის და მოწყობილობის დაშლის შედეგად დარჩენილი მასალა; 2. რიგგარეშე შევიდეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად და მიიღოს ბინა ადებული ბინის ღირებულების აუნაზღაურებლად; 3. მოითხოვოს ასაღები ბინის (სახლის) გადატანა ახალ ადგილზე; 4. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილ შემთხვევებში მოითხოვოს სახლის, ნაგებობების და მოწყობილობების აშენება.

ბინების პრივატიზაციას შესახებ დროებითმა დებულებამ კი კანონსაწინააღმდეგოდ დაადგინა, რომ პრივატიზირებული ბინის ალებისას მესაკუთრეს შეიძლება მიეცეს ბინა დამქირავებლის უფლებით ღირებულების აუნაზღაურებლად. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უხეშად არღვევს მოქალაქის უფლებას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, ბინების პრივატიზაციის შესახებ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ზემოაღნიშნული დადგენილებები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდნენ საქართველოს საბინაო კოდექსის 157-ე მუხლს.



ხელოვნება თუ მეცნიერება?

საორატორო ხელოვნება, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეს დარგი ძველ საბერძნეთში რიტორიკულ ხელოვნებად იწოდებოდა.

ადრეულ ლიტერატურულ წყაროდ, რომელშიც რიტორიკას ასახელებენ, პომპროსის „ილიადა“ გვევლინება. ნაწარმოების გმირების აქილევისა და აგამემნონის კამათის აღწერისას მითითებულია, რომ აქილევის მისმა აღმზრდელმა ფოინიქსმა რიტორიკაში წვრთნა.

რიტორიკის პოპულარობა დაკავშირებულია სოფისტ-ფილოსოფოსების დიდ განმანათლებლურ მოძრაობასთან. ისინი საჯარო ლექციების კითხვით ცდილობდნენ განათლება შეეტანათ მოსახლეობაში: გაეცნოთ კანონები, დაუფლებოდნენ მეტყველებას, კამათის ხერხებს.

ბერძნული კულტურის კლასიკურ ხანაში რიტორიკა საყოველთაოდ აღიარებული დისციპლინა იყო და მას ხელოვნების დედოფალს ეძახდნენ.

ფილოსოფოსმა პლატონმა რიტორიკის რაობის გარკვევას მიუძღვნა ნაშრომები „გორგია“ და „ფედრე“. ამ დიალოგებში გამოთქმული აზრებით ავტორი ცდილობს რიტორიკის არსი და მნიშვნელობა განსაზღვროს. იგი წერს: „მუსიკა ქმნის სიმღერებს, საფეიქრო ხელოვნება ქსოვილებს, არითმეტიკა ირკვევს რიცხვებს, ასტრონომია... ვარსკვლავთა, მზის, მთვარის მოძრაობას და მათი სისწრაფის ურთიერთ დამოკიდებულებას“ და მიუთითებს, რომ ყოველი ამ დარგთაგანი, მჭევრმეტყველების მსგავსად, ენის საშუალებით, ენის გამოყენებით აღწევს მიზანს. პლატონის შეხედულებით ენა საგნის განმსაზღვრელი ნიშანი არ არის, მას ყველგან მსახურის როლი აკისრია, ამიტომ მჭევრმეტყველება გვასწავლის ლაპარაკს, აზროვნებას იმაზე, რაზედაც ვლაპარაკობ.

პლატონი რიტორიკას თავისი დროის ტერმინით სიტყვის ხელოვნებად ასახელებს. „რიტორიკა მიეკუთვნება იმ ხელოვნებას, რომელიც ყველაფერს ახდენს და აღწევს სიტყვით, რაზეც ამ ხელოვნების სიტყვაა გამიზნული“¹.

დილოგ „ფედრეში“ პლატონი მიაჩნებს, რომ მეტყველების ნამდვილი ხელოვნება მიუღწეველია ჭეშმარიტების შემეცნების, განსწავლულობის, ცოდნის ქონების გარეშე: „...კამათის ხელოვნება არა მარტო სასამართლოში და სახალხო კრებებზე გამოიყენება, როგორც ჩანს, ის რაღაც ერთიანი ხელოვნებაა — თუ კია ხელოვნება, ყველაფრისადმი თანაბრად გამოსაყენებელია, რაზედაც უნდა იყოს ლაპარაკი, მისი მეშვეობით ყველა შეძლებს შეადაროს ყოველივე, რისი შედარებაც კი შეიძლება, ყოველივე, რაც მოხერხდება, რათა ამხილოს ბუნდოვანი შედარების მქონე“.

პლატონი ამბობს, რომ კამათის ხელოვნება „ჩანს ის რაღაც ერთიანი ხელოვნებაა“ — წინადადება გულისხმობს დარგების სიმრავლეს, რომლებშიც გამოიყენება ეს „ერთიანი ხელოვნება“. კამათის ხელოვნების ერთიან ხელოვნებად გამოცხადებისთანავე პლატონი შენიშნავს: „თუ კი არის ის ხელოვნება“. ეს კი არც წანამძღვარია და არც დანასკვი, ეს უფრო მკვეთრად გამოხატული ეჭვია

¹ Платон, «Горгия», М., 1968, т. 1, стр. 263.

საგნის განსაზღვრაში და მიგვანიშნებს, რომ რიტორიკაზე დაკვიდრებული შეხედულება, რომ ის ხელოვნებაა, არ მიაჩნია უდაო აზრად.

პლატონის ეს ეჭვი უფრო ფესვგადებული აღმოჩნდა მის მოწაფეთა შორის. კერძოდ, არისტოტელეს ნაშრომებში „პოეტიკასა“ და „რიტორიკაში“.

არისტოტელეს მჭევრმეტყველება არ მიაჩნდა განსაზღვრული გვარის მოვლენების შემსწავლელ მეცნიერებად. რიტორიკა, დიალექტიკის მსგავსად, მიაჩნდა საგნის შესწავლისა და განხილვის მეთოდად. „ცხადია, რომ რიტორიკას არ აქვს შესასწავლი გარკვეული გვარის საგნები, — ამბობს არისტოტელე, — ისევე როგორც დიალექტიკას. რიტორიკა სასარგებლოა და რომ მისი საქმეა არა დარწმუნება, არამედ თითოეულ შემთხვევაში იმ საშუალებების ცოდნა, რომლითაც დარწმუნება შეიძლება“.² როგორც ვხედავთ, პლატონისეული ეჭვი, რიტორიკა ხელოვნებაა თუ არა, არისტოტელემ გააღრმავა და გამოხატა ხელოვნებასა და რიტორიკას შორის სხვადასხვაგვარობა, დიალექტიკის მსგავსად რიტორიკის მეთოდად გამოყენების საჭიროება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას რიტორიკა ხელოვნებად არ მიაჩნია.

არისტოტელე საუკეთესოდ თვლის იმ სიტყვას, რომელიც მსმენელს ცოდნას აწვდის. ასეთი სიტყვა ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას, ადვილად იწვევს მსმენელთა აღტყინებას. „პოეტიკაში“ გამოთქმული შეხედულებით რიტორიკა ცოდნისა და აზროვნების სფეროს მიეკუთვნება. მან მსმენელს უნდა აღუძრას თანაგრძნობა, შიში, რისხვა, განდიდების თუ დამცირების გრძნობა.

რომის სახელმწიფოს აღზევების ხანაში რიტორიკულ ხელოვნებას საორატორო ხელოვნება ეწოდა, რიტორს — ორატორი.

მარკუს ტულიუს ციცერონი რომისა და კაცობრიობის უთვალსაჩინოესი ორატორი, ლიტერატურათმცოდნეობის კანონმდებელი, იურისტ-ფილოსოფოსი, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მრავალი საჯარო სიტყვის, ფილოსოფიური ნაშრომისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი წიგნში „ორატორის შესახებ“ მაღალ შეფასებას აძლევს საორატორო ხელოვნებას. „მჭევრმეტყველი იქნება ის, ვინც ფორუმზე და სამოქალაქო პროცესზე მეტყველებით დაარწმუნებს, კმაყოფილებას მოჰგვრის, დაიმორჩილებს მსმენელს“³. ორატორის თვალსაზრისით ეს ისეთი მეტყველებაა, რომელიც დარწმუნებასთან ერთად თავისი სტილით სიამოვნებას განაცდევინებს. მაგრამ მთავარი მაინც მიზანია — მსმენელთა დამორჩილება. ციცერონი მოითხოვს: „ჩემი აზრით, არვის არ შეუძლია იყოს ყოველმსრივ სრულყოფილი ორატორი, თუ არ შეისწავლის ყველა მნიშვნელოვან საგანსა და მეცნიერებას. სამეტყველო სიტყვა უნდა წარმოადგენდეს საგანზე მდიდარი ცოდნის ნაყოფს...“⁴

„...თუ ორატორის ძალა გამოიხატება მწყობრად, ღამაზად და შინაარსიანად ლაპარაკის ცოდნაში, მაშინ გკითხავთ: როგორ შეუძლია ამ ცოდნის მოპოვება, იმ ცოდნის გარეშე, რომელსაც არ აკუთვნებთ მას“⁵.

რიტორიკისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ფილოსოფოსი სკეპტიკოსები. სექსტუს ემპირიკუსი მონოგრაფიაში „რიტორთა წინააღმდეგ“ უარყოფს რიტორიკას, როგორც სავალდებულო ხელოვნებას და საერთოდ მის არსებობის საჭიროებას. რიტორიკის შესახებ პლატონის ნააზრევზე ემპირიკუსი შენიშნავს: „თუ შევაჯამებთ პლატონის შეხედულებებს, რიტორიკა არის

2 არისტოტელე, „რიტორიკა“, 1981 ოსუ გვ. 35.

3 ბერეზინი ს. ი. „საორატორო ხელოვნება“, ლენინგრადი, 1970, გვ. 3.

4 იქვე.

5 „ესთეტიკის ისტორია“, მ., 1962, ტ. 1, გვ. 189.

დარწმუნების ხელოვნება სიტყვის საშუალებით. მისი ძალა თვით სიტყვებშია, რომლებიც თუმცა გვარწმუნებენ, მაგრამ არაფერს გვასწავლიან“⁶.

ემპირიკუსი არც არისტოტელეს განმარტებას სჯერდება. იგი აღნიშნავს: „არისტოტელემ უფრო უბრალოდ განმარტა რიტორიკა, როგორც სიტყვის ხელოვნება. სკეპტიკოსი ამბობს: მედიცინის მეცნიერებაც სამედიცინო სიტყვების გამოყენების მეცნიერებაა. ამიტომ მხოლოდ სიტყვების გამოყენების ნიშნით რიტორიკას ვერ ჩავთვლით დამოუკიდებელ მეცნიერებად, რადგან საამისოდ იგი უნდა ისახავდეს ცხოვრებისათვის სასარგებლო მიზანს“⁷.

სექსტუს ემპირიკუსს მხედველობიდან გამორჩა არისტოტელესეული მიზანი — ცოდნა მიაწოდოს მსმენელს — „ის სიტყვება კარგი, რომელიც ცოდნას გვაწვდის“.

ემპირიკუსის უკიდურესად სკეპტიკური შეხედულება ეკუთვნის იმ საუკუნეს, რომელშიც როგორც ატიკური, ისე ლაკონური მჭევრმეტყველების სტილი აღიარებულ ხელოვნებად ითვლებოდა.

რიტორიკის შესახებ ატიკური ხანის ნააზრევო შუა საუკუნეებში არ შეცვლილა და არც რაიმე ტრანსფორმაცია განუცდა. სახელწოდება რიტორიკული საორატორო ხელოვნება, დღესაც კვლავ იხმარება.

მეფისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ფრენსის ბეკონი ეხება ინგლისში გავრცელებულ სწავლის წესს და შენიშნავს: „ჩვეულებად იქცა ვაიძულოთ მოსწავლეები რაც შეიძლება ადრე შეისწავლონ ლოგიკა და რიტორიკა“⁸. ბეკონის აზრით, ამ დისციპლინებს მოზრდილები უნდა სწავლობდნენ, ვინაიდან ორივე მათგანი მეცნიერების ურთულესი დარგია, „ესენი მეცნიერებათა მეცნიერებაა იმით, — ამბობს ის, — რომ ერთი მათგანი შეისწავლის მსჯელობას, მეორე კი — აზრის გადმოცემის საშუალებებს; ადგენს წესებს და ნორმებს, თუ როგორ განვაღებოთ და გადმოვცეთ მასალა“⁹.

რიტორიკის ფუნქცია, ბეკონის აზრით, ის არის, რომ გონების მითითება გადასცეს წარმოსახვას, რათა აღაგზნოს სურვილი და სწრაფვა. შეავსოს ისინი ისეთი სახეებითა და წარმოდგენებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ აზროვნებას.

ბეკონი წარმოსახვას ყველაზე ნიშანდობლივ მხარედ თვლის. მოძღვრებას რიტორიკის შესახებ რიტორიკულ ან ორატორულ ხელოვნებას ეძახის.

იმანუელ კანტს მჭევრმეტყველება სიტყვის ხელოვნებად მიაჩნია. „მჭევრმეტყველება არის განსჯის წარმართვის ხელოვნება, როგორც წარმოსახვის თავისუფალი თამაში“¹⁰. „...ორატორი გვამცნობს რაიმე საქმეს და ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მხოლოდ იდეების თამაშია მსმენელების მისაპყრობად“¹¹. „ორატორი და პოეტი შემომქმედნი არიან, — ამბობს კანტი, — საშუალო ღირსების ლექსი აუტანელია. საშუალო ღირსების სიტყვის მოსმენა კი შეიძლება“.

კანტი არ უარყოფს მჭევრმეტყველების პრაქტიკულ საჭიროებას, მაგრამ ზღუდავს საზოგადოებაში მის თავისუფალ გამოყენებას იმის შიშით, რომ მჭევრმეტყველებას დიდი ზემოქმედებითი ძალა აქვს და შეუძლია მსმენელს თავს მოახვიოს აზრები.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მეორე დიდი წარმომადგენელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი „ესთეტიკაში“ წერს: „რადგან სილამაზე ხე-

6 „ეთიკის ისტორია“, მ. 1972, ტ. 1, გვ. 162–164.

7 იქვე.

8 ფ. ბეკონი, სერია — „ფილოსოფიური მემკვიდრეობა“, მ. ტ. 1, 1977, გვ. 144.

9 იქვე, გვ. 145.

10 ი. კანტი, სერია — „ფილოსოფიური მემკვიდრეობა“, მ., 1966, ტ. 5, გვ. 338.

11 იქვე, ტ. 6, გვ. 491–493.

12 ჰეგელი, „ესთეტიკა“, მ., 1968 წ., ტ. 1, გვ. 11.

ლოენებაში მიმართავს გრძნობას, განცდას, განჭვრეტას, წარმოსახვას, მას სხვა სფერო აქვს ვიდრე აზრებს. მხატვრულ შემოქმედებაში და მის ნაწარმოებში ჩაწვდომა სხვაგვარ უნარს საჭიროებს, განსხვავებულს მეცნიერული აზროვნებისაგან¹². შემდეგ იგი გამოკვეთს მხატვრული შემოქმედების ნიშანდობლივ თვისებას: „და ბოლოს, მხატვრული ნაწარმოების წყარო ფანტაზიის თავისუფალი მოქმედებაა, რომელიც თავისი წარმოსახვით სახეების შექმნაში უფრო თავისუფალია, ვიდრე თვით ბუნება“¹³.

ჰეგელი მეცნიერებას გამიჯნავს ხელოვნებისაგან: „რაც შეეხება მეცნიერებას, როგორც ვარაუდობენ, თავისი ფორმით დაკავშირებულია აბსტრაქტულ აზროვნებასთან, რომლითაც უამრავ წერილმანს გვარიდებს. ამიტომ, მეცნიერება, ერთი მხრივ, გამორიცხავს მარად შემთხვევითობისა და თვითნებობის ნიშნის მქონე წარმოსახვას, ესე იგი გამორიცხავს მხატვრული შემოქმედების და მხატვრული ტკობის უნარს“¹⁴.

მცირე მიმოხილვაც კი ნათელყოფს, რომ საჭიროა განვიხილოთ საკითხი ორატორისა და ხელოვანის შემოქმედებაში რა ერთგვაროვანი ფუნქცია ღმინირებს. კერძოდ, ორატორის მოღვაწეობასა და ხელოვანის შემოქმედებას ახასიათებს თუ არა მხატვრული წარმოსახვა.

საჭიროა მცირე გადახვევა, რათა ავხსნათ თუ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ორატორსა და ობიექტურ სინამდვილეს შორის, რომელიც ყოველდღიურად პრობლემის სახით გვხვდება და მის დაძლევას ვცდილობთ ახალი იდეის გამოყენებით.

იდეა გამოხატავს ცნებას, არსს. დაკავშირებულია აზროვნების კატეგორიებთან, იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. ფილოსოფიაში იდეა ობიექტურ ტეშმარიტებასთან დამოკიდებულებაში განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფ ცნებას გამოხატავს, რომლის წარმოქმნის მიზეზი საზოგადოებრივი პრობლემაა. იდეა განსხვავდება აზროვნების ისეთი ფორმებისაგან, როგორცაა ცნება და თეორია. მართალია, ცნებასა და თეორიაშიც აისახება ობიექტი, მაგრამ მათში არ მიინიშნება აზრობრივი კონცეფციის რეალიზაციის პრაქტიკული გზა, ხერხი, საშუალება. ამიტომ, იდეა აზროვნების ფორმებში არის განსაკუთრებული, უმაღლესი, თეორიულად განსოგადებული პრინციპი, ერთი მთლიანი აზრობრივი სისტემის სახით, რომელიც მიზნის მისაღწევად ითვალისწინებს პროგრამულ მოქმედებას.

საზრისი იდეის ფუნქციური დანიშნულების რგოლია. მსჯელობის საგანზე შეხედულების ის მთლიანობა, რომელიც ორატორის სიტყვას ბოლომდე გასდევს, გამომდინარეობს თეზისებიდან, დებულებებიდან, ცნებებიდან და წარმოადგენს მოძღვრების ერთიან შეხედულებას — საზრისს.

მოწოდება გამოხატავს საზრისში მოცემული მოძღვრების შესაბამისობას იდეის რეალიზაციის მოთხოვნასთან. მოწოდება მიუთითებს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მსმენელებმა პრობლემის გადასაწყვეტად.

უნარი გამოხატავს მსმენელთა კომპეტენტურობას, უფლებამოსილებას მათივე მოქმედების ფარგლებს, სამართლებრივ, მორალურ, ფიზიკურ შესაძლებლობასა და მოვალეობას.

რეალიზაცია მიუთითებს იდეის რეალობად გადაქცევის პროგრამას, გზას, მოქმედების ხერხს, რომლის გამოყენებით იდეა აზრობრივი სისტემიდან, ნააზრევიდან რეალობად იქცევა.

იდეის სტრუქტურული აგებულება ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ორატორს

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე, გვ. 12.

უხდება პრობლემის რაობის კვლევა და მის დასაძლევად იდეის გამოყენება. ეს კი თავისთავად მიგვანიშნებს პრობლემაზე, როგორც კვლევის ობიექტზე.

ამიტომ, ორატორის სიტყვაში გამოიყოფა ორი მომენტი: პრობლემის სახით კვლევის ობიექტის არსებობა და ამ პრობლემის დაძლევის საშუალების ძებნა, იდეის შემუშავება.

დარგების მიხედვით კვლევის ობიექტებია: პოლიტიკურ მჭევრმეტყველები-სათვის — სახელმწიფო და საზოგადოებრივი პრობლემები; სამხედრო მჭევრმეტყველებისათვის — თავდაცვის, საბრძოლო ქმედებათა პრობლემები; სასამართლო მჭევრმეტყველებისათვის — სამართლებრივი პრობლემები; აკადემიურ მჭევრმეტყველებაში — კვლევის პრობლემები; საქადაგებლო მჭევრმეტყველებაში — რწმენის პრობლემები; საზეიმო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველებაში — დი-დაქტიკური პრობლემები. როგორც ვხედავთ დარგებს, მათთვის სახასიათო ობი-ექტები აქვთ, რომელთა მიმართ ერთსახოვანი დამოკიდებულებაა — გაირკვეს პრობლემის არსი.

საორატორო ხელოვნებასა (ე. ი. მჭევრმეტყველებასა) და წმინდა ხელოვ-ნების დარგების გამიჯვნისათვის საჭიროა განვიხილოთ ხელოვნების მხატვრუ-ლი შემოქმედებითი პროცესი და მისი ძირითადი ნიშანი — წარმოსახვა, რომელ-საც მჭევრმეტყველებასაც მიაწერენ და ამით მსგავსებას პოულობენ საორატო-რო ხელოვნებასა და წმინდა ხელოვნებას შორის.

ხელოვნების ნებისმიერ სახეობაში მხატვრული შემოქმედების საფუძველი სინამდვილისადმი ბაძვაა. ხელოვანი ნაწარმოების შექმნის დროს ობიექტურ ჭეშმარიტებასთან სპეციფიკურ დამოკიდებულებაში იმყოფება. სინამდვილის აღ-ქმასა და გააზრებისას გრძნობადი განცდების საფუძველზე ხელოვანი აღქმულს ამდიდრებს შეთხზულით, ფანტაზიით, რაც ასახვისაგან განსხვავდება ობიექტთან მიმართებაში. ფანტაზია საგანზე იქმნება წარმოდგენის შემუშავებისა და ილუ-ზიის შერწყმით.

ხელოვანში ფანტაზიის სიძლიერეს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. გან-საკუთრებით მნიშვნელოვანია სუბიექტის დამოკიდებულება საგნისადმი, ტემპე-რამენტი, ინტელექტი, ჩვევები და სხვ. ხელოვანს კერძოობითი გადააქვს ზო-გადში, ტიპიურში, რის შედეგადაც აღწევს მხატვრული წარმოსახვითი სახის შექმნას. მხატვრულობის კრედო ხელოვანის ინდივიდუალური შემოქმედებით შეთხზვაზე წარმო-სახვის უნარიანობაზეა დამოკიდებული, რომლის მიზა-ნია ესთეტიკურის, მშვენიერების ფორმით მიაწილოს მისივე შინაგანი აზრობ-რივი პრინციპი. ამიტომ, მხატვრული ნაწარმოები ჭეშმარიტებასთან მიახლოე-ბული მხატვრული განსახოვნებაა. სწორედ ამ ნიშნით მხატვრული შე-მოქმედებითი პროცესი განსხვავდება მეცნიერული კვლევითი საქმიანობისაგან.

მჭევრმეტყველების კვლევის საგანი ობიექტური სინამდვილეა, პრობლემის ჭეშმარიტად არსებული საგნებისა და დამოწმებული ფაქტების სახით, რომლის თვისებებს და ნიშნებს იკვლევს ორატორი ცნებების დადგენით. მის ხელთ არ-სებული კვლევითი მასალა არ შეიძლება შეფერადდეს, შელამაზდეს. დაუშვებელია შეგრძნება-შთაბეჭდილებებით რაიმე საგანზე შეხედულების გამდიდრება, გარდასახვა. ორატორის მეტყველების თემა განსაზღვრულია და იფარგლება მსჯელობის საგნით, და მასზე იდეის შემუშავებით. ამიტომ, მჭევრმეტყველება არ ქმნის საგნებსა და მოვლენებზე მხატვრულ წარმოსახვას.

საორატორო ხელოვნება სინამდვილის, ჭეშმარიტების კვლევითი მოღვა-წეობაა, რითაც ხასიათდებიან მეცნიერების დარგები.



ინგლისურ ენაზე გამომავალ შურონალში „აზიის პანონემოლოგიის მიმოხილვა“, 1991 წელს გამოქვეყნდა იურისტთა მსოფლიო ასოციაციის აზიის რეგიონალური განყოფილების ხელმძღვანელის, ინდონეზიის წარმომადგენლის ბ-ნ სუბასუ ჩანდრა ბირლას მებად საინტერესო წერილი, რომელიც მოზარდთა ცხოვრებისა და აღზრდის საკითხებს აღწვინებს.

გამკვეთვით ამ წერილის ქართულ თარგმანს, რომელიც რედაქციას მოაწოდა ბ-მა ვიქტორ შარაშენიძემ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართველი მკითხველი ყურადღებით გააცნობა მასში დაყენებულ პრობლემებს.

სუბასუ ჩანდრა ბირლა

გლობალური განსხვავებანი გავრცობა კუბანურ და სოსილურ განვითარებაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეკრებაზე, რომელსაც სამოცდათხუთმეტზე მეტი სახელმწიფოს ლიდერები ესწრებოდნენ, ვანიხილეს მსოფლიოს წინაშე მდგარი მეტად მწვავე საკითხები. ასამბლეის მონაწილეთა შორის იყვნენ უდიდესი ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ქვეყნების ლიდერები, პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები ჯორჯ ბუშის ჩათვლით. მიღებული შეთანხმებებიდან უპირველესია შეთანხმება ადამიანის მრავალმხრივ უფლებებზე, რომელიც შეეხება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის თანამშრომლობას და პოლიტიკურ ძალაუფლებას ანიჭებს დებულებას მოზარდთა უფლებების შესახებ. შეთანხმება ძალაში შევიდა, როგორც ინტერნაციონალური ნორმების გათვალისწინებით დამტკიცებული კანონიერი დოკუმენტი, რომელიც უკვე დამოწმებულია მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ, ხოლო ახლო მომავალში დაამოწმებენ გაერთიანებული ერების დარჩენილი წევრები ინდონეზის ჩათვლით.

განვითარებადი ქვეყნების კოლიტიკური ეკონომია და გავრცობაზე დაბანდებული კაკიტალი


მესამე სამყაროს წარმომადგენელმა აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა 80-იან წლებს „დაკარგული ათწლეული“ უწოდეს, რამდენადაც სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლაში წინსვლის ნაცვლად ამ პერიოდში საგრძნობლად დაიხიეს უკან. ვაშინგტონის „უორლდ ინსტიტუტის“ წევრმა მისტერ ალან დარნიგმა სწორად აღნიშნა განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით, რომ „ათობით ჩამორჩენილმა ქვეყანამ კატასტროფული დაცემა განიცადა, რაც გამოი-

ხატა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის იმდენადვე დაცემით, რამდენადც ეს მოხდა აშშ-ში დიდი დებრესიის წლებში“. ყოველივე ეს პირდაპირ დამოკიდებულია ბაშია ბავშვებთან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შესწავლილი 37 უღარიბესი სახელმწიფოს მაგალითი გვიჩვენებს, რომ 80-იან წლებში 75-პროცენტით შემცირდა განათლებაზე გაწეული ხარჯები, დაიხურა ასობით ჯანმრთელობის ცენტრი, შეიზღუდა ბავშვებსა და ახლად შექმნილ ოჯახებზე ორიენტირებული, მნიშვნელოვანი სამედიცინო ღონისძიებები. ერთ ადგილზე გაყინული, სამამულო ომში ჩაბმული და ყველანაირი წინსვლის შესაძლებლობას მოკლებული პერუ, სწორედ ის ქვეყანაა, რომელზედაც განსაკუთრებით დამთრგუნველად იმოქმედა ყოველივე ამან. კვების პროდუქტების გამუდმებულმა უკმარისობამ პერუში გამოიწვია მოსახლეობა და სამიდან ერთ მოზარდში შეაფერხა ზრდა.

იუნისეფი საკვებით მართალი იყო, როდესაც განაცხადა, რომ განვითარებად ქვეყნებს არ ძალუძთ გამოკვებონ თავიანთი ბავშვები. ამის მიზეზია აუარებელი ვალები და რა თქმა უნდა, სამხედრო შეიარაღებაზე გაწეული უზომო დანახარჯები, რომელთა გასტუმრებაც მათ უწევთ. სტოკჰოლმის მშვიდობის ინტერნაციონალურმა კვლევითმა ინსტიტუტმა თავის ნაშრომში — „იარაღი და ბავშვები“, მიანიშნა, რომ შაკვანიანი აფრიკის ხალხები თავიანთი შემოსავლის მესამედზე მეტს სწორედ ვალების გადახდასა და გამაღებულ შეიარაღებაზე ხარჯავენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩადის რესპუბლიკა, რომლის დანახარჯებმა 49 პროცენტს მიაღწია. იუნისეფის მოხსენება გვიჩვენებს, რომ 1988 წელს განვითარებადმა ქვეყნებმა დახარჯეს 178 მილიარდი დოლარი უზარმაზარი ვალის გასასტუმრებლად, რომელიც შეიცავდა როგორც ჩვეულებრივ, ასევე პროცენტულ გადასახადებს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხა სამჯერ აღემატება ინდუსტრიული ქვეყნების მიერ მათთვის გაღებულ დახმარებას. ამდენად, გაერთიანებული ერების ეკონომიკურმა და დახმარების ორგანიზაციებმა, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებთან ერთად უნდა მიიღონ გარკვეული ზომები და შესაბამისი დახმარება გაუწიონ მათ ვალების გადახდის რეგულირებაში.

აღამიანური ღირსების უკმარისობა განვითარებად ქვეყნებში

ზემო აღნიშნული ფაქტები თავისთავად ცხადყოფს განვითარებადი ქვეყნების ძნელბედობასა და მის ვალებთან დაკავშირებული პრობლემების სიმძიმეს, ნათელს ხდის მოწინავე სახელმწიფოების მხრიდან მათთვის არსებულზე მეტი დახმარების გაწევის აუცილებლობას. მაგრამ ამასთან, მესამე სამყაროს წარმომადგენელთა ნაციონალურ მთავრობებს არ შეიძლება ეპატიოთ, რომ მათ ვერანაირად ვერ შესძლეს დაეცვათ თავიანთი ბავშვების ღირსებები, ოფიციალური ცნობებით ინდოეთში 20 მილიონამდე მოზარდი მუშაობს, თუმცა, არაოფიციალური წყაროების მიხედვით, ეს რიცხვი 100 მილიონს აღწევს. აქედან, მოზარდთა 80 პროცენტი ფერმეხში მუშაობს. დანარჩენნი კი კარიერებში, შახტებში, მინისა თუ ხალიჩის ქარხნებსა და სხვა მცირე მასშტაბის, ხშირად არაუსაფრთხო დაწესებულებებში ეწევიან მონურ შრომას. სამხრეთ ინდოეთის ქალაქ სივაკაზის 45000-მდე მოზარდი თითქმის 4 წლის ასაკიდან იწყებს ასანთისა და ფეიერვერკების ქარხნებში მუშაობას. მათ ვალდებულებაში შედის მიმდევრობით ჩაუშვან გასანთლული ზონარი ჯერ თოფის წამალში, შემდეგ კი



ხის ნაჭერში გაკეთებულ ხერხელებში. ამასთან ერთად, მეხიკო სითის სამ უზარ-მაზარ ნაკვის საყრდელთან მილიონობით ვირთხასთან ერთად ყოველთვის ნახავთ ათასობით ბავშვს. საგულდაგულოდ აგროვებენ რა მოზარდები ნაკავს, მთელ დღეებს ატარებენ ამ სიბინძურეში და ეძებენ ყველაფერს, რისი გამოყენებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, ესაა მინა, ქაღალდი, მუყაო, ძვლები თუ საჭმლის ნარჩენები. მეხიკო სითის ერთ-ერთი დიდი ტრაგედია ისაა, რომ ბავშვები იბადებიან, იზრდებიან, ყალიბდებიან და კვებიან ნაკვის საყრდელთან, თითქოს მათ არ ჰქონდათ სხვა არჩევანი ან გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ფაქტიურად, ეს არის ერთადერთი ბრაზილიური გარემო, რომელიც ჩემთვისაა ცნობილი, რამეთუ სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მეტად თვალშისაცემია მოზარდებისადმი უადრესად არაპუმანური მოპყრობა ბრაზილიაში, სადაც ინტერნაციონალურ ნავსადგურებში 500 ათასამდე ახალგაზრდა ეწევა პროსტიტუციას. ყველასაგან მიტოვებულ ბავშვებს იძულებით უწევთ უმძიმესი სამუშაოების შესრულება. ხშირად ისინი ძალადობისა და დევნის მსხვერპლნიც ხდებიან, საბოლოოდ კი ნარკოტიკებსა და პროსტიტუციაში ეძებენ შვებას.

ბავშვების ექსპლუატაციის, მათი პრობლემების მიზეზი და სათავე განვითარებული სახელმწიფოების ჩვეულებებსა და მათი ცხოვრების წესში უნდა ვეძიოთ, რადგან სწორედ ეს დამკვიდრებული წესი უწყობს ხელს მოზარდთა სავალალო ყოფას ჩამორჩენილ ქვეყნებში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნიდან ბავშვების აყვანის შემთხვევაში, ცნობილია მათდამი მკაცრად მოპყრობისა და ზოგჯერ სექსუალური ძალდატანების ფაქტები.

სიღატაკე განვითარებადი ქვეყნების მოზარდთა მონობის უპირველესი და უმთავრესი მიზეზია. ამდენად, ამ სახელმწიფოთა მთავრობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ბავშვთა ღირსების დასაცავად, რაც თავისთავად აღიარებული იქნება ინტერნაციონალური შეთანხმებით.

ქალიშვილები საჭიროებან თანასწორუფლებიანობასა და კრივილებირებულ ვლგომარეობას საზოგადოებაში

ეს წელიწადი სამხრეთ აზიის SAARC-ის სახელმწიფოებმა გამოაცხადეს „ქალიშვილების წელიწადად“, რათა მეტი ყურადღება დაეთმოთ მათი პრობლემებისათვის, რომლებიც თითოეული ქვეყნისათვის ფაქტიურად ერთგვაროვანი და საერთოა მათი სოციალურ-კულტურული წარსულის გამო. სამხრეთ აზიის უმეტეს ნაწილში მოზარდთა ქორწინება კანონითაა აკრძალული, მაგრამ პრაქტიკულად ინდოეთის ისეთ კუთხეებში (შტატებში), როგორცაა რაქსტანი, იუთა ფრადეში, მადია ფრადეში და ბიჰარი 10-დან 14 წლამდე ასაკის მოზარდების ქორწინება ჩვეულებრივი მოვლენაა. საუბედუროდ ინდოეთის საზოგადოება უყურადღებოდ სტოვებს მდგრადობით სქესის მოზარდებს, როგორც სოციალურ, ისე რელიგიურ ასექტში. ტრადიციებისა და მოძველებული კულტურის მიხედვით ქალიშვილებს იზოლირების ნაცვლად ესაჭიროებათ თანასწორუფლებიანობა და ჰუმანური ლიბერალური მიდგომა საკუთარ პიროვნებასთან. საზოგადოების ღირსეულ ყველასათვის მისაღებ წევრად ყოფნა მათთვის უფრო ფასეულია, ვიდრე მისი დათმობა და პრივილეგირებული მდგომარეობა. თავისუფლება და ღირსება, აი ის მცირედი რამ სამხრეთ აზიელ ქალს რომ სჭირდება თანასწორუფლებიანობასთან ერთად.

აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება მოზარდებში

სამხრეთ აზიის კონსტიტუციური სისტემის მქონე უმეტესი ნაწილი აღიარებს სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. ინდოეთის კონსტიტუციის 25-ე მუხლი სცნობს სინდისის და სარწმუნოების თავისუფლებას ისევე, როგორც რელიგიურ ადათ-წესებსა და მის პროპაგანდას. მაგრამ ფაქტიურად ამ უფლებების აღიარება გარკვეულ შემთხვევებში ამახინჯებს მოზარდთა უფლებებს განათლებისადმი მოძველებული მიდგომის გამო. საბედნიეროდ ჩვენი კონსტიტუცია ლიბერალურია. ჩვენ ვაღიარებთ ინდოეთს როგორც „სუვერენულ, სოციალურ, რელიგიურად თავისუფალ, დემოკრატიულ რესპუბლიკას“, სადაც ბავშვების უფლებაა, რომ ისინი დამოუკიდებელი იყვნენ სარწმუნოების არჩევანში — ხოლო მშობლები განუხრელად და განუწყვეტლივ ზრუნავდნენ მათზე. განათლება კი მიმართული უნდა იყოს ახალი გზების ძიების, სხვა სამყაროს შესწავლა-ამოხსნისათვის. სრულწლოვანებას მიღწეულ მოზარდს უნდა შეეძლოს თავად აირჩიოს მისთვის მისაღები სარწმუნოება. მე დიდად ვაფასებ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეთანხმების მე-14 პუნქტი ბავშვთა უფლებების შესახებ პატივს სცემს მათი აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. იგივე მუხლი მშობლებსა თუ პასუხისმგებელ პირებს ავალებს ხელი, შეუწყონ აღსაზრდელებს ყოველნაირი შესაძლებლობების გამოვლინებაში.

სამხრეთ აზიის ქვეყნებში არაერთი რელიგიაა გაბატონებული, ამიტომ საჭიროა აქ გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი უმცირესობის განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებები. მაგრამ უმცირესობის დაცვა არ იძლევა მოზარდთა უფლებების არავითარ გარანტიას. მე-14 მუხლის თანახმად, რომელიც მოზარდთა ინტერესებს გამოხატავს, ახალგაზრდები უნდა ინარჩუნებდნენ თავიანთი მშობლების რელიგიას მანამ, ვიდრე სრულწლოვანებამდე მიღწევენ. შემდეგ კი ისინი სრულად თავისუფალნი უნდა იყვნენ რელიგიის არჩევანში. ეს მეტად მნიშვნელოვანი დეტალია, რამეთუ არსებობს მოზარდების იძულებით ბერმონაზონად აღკვეთის ფაქტები.

მოზარდთა განათლება

საყოველთაო, თავისუფალი დაწყებითი განათლების აუცილებლობა ბავშვებისათვის 28-ე პარაგრაფშია ჩამოყალიბებული. მოცემული შეთანხმება მიზნად ისახავს მოზარდთა განათლებისათვის ადამიანური უფლებებისა და სრული თავისუფლებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებას. ამ პრინციპებისა და კანონების პატივისცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაშია შეტანილი.

რელიგიური წიგნების და მორალის სწავლება სასკოლო კურსის შემადგენელი ნაწილია. ისეთ სახელმწიფოში, როგორცაა ინდოეთი, განათლების სისტემა მხარს უჭერს რელიგიური წიგნების ძალდატანებით კითხვას, რაც ეწინააღმდეგება მოზარდების თავისუფალ და ლიბერალურ აზროვნებას. ზშირია შემთხვევები, როდესაც დამოუკიდებლობის მიცემა ცალკეული სასწავლო დაწესებულებისათვის რელიგიის სწავლების საკითხებში იწვევს მათ მიერ განათლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების უარყოფას. ეს კი სწორი არაა, რადგან განუჩვენებლად იმისა, თუ ვის მიეკუთვნება მოზარდი, მოსახლეობის

უმცირესობას თუ უმრავლესობას, ის თავისუფალი უნდა იყოს რელიგიისა და ტრადიციებისაგან.

განვითარებულმა სახელმწიფოებმა უნდა აუხსნან განვითარებად ქვეყნებს, რომ გარკვეული პროცენტი მათი ფინანსური დახმარებისა ამაოდ არ დაიხარჯება თუ იგი დაბანდებული იქნება მოზარდთა განვითარების საქმეში, რაც მოკვლე ხანში შესაძლებელს გახდის მათი ცხოვრების მინიმუმის დონის ამაღლებას.

იუნისეფის დირექტორის აღმასრულებელმა პირმა ჯემს ფ. გრანტმა 1990 წელს გაკეთებულ მოხსენებაში თავისი შეშფოთება გამოთქვა სამხრეთ აზიის მოზარდებთან დაკავშირებით. მოხსენების თანახმად „მოზარდების დაახლოებით 40 პროცენტი იღუპება ყოველწლიურად, არასწორი კვების გამო კვდება 45 პროცენტი, სკოლაში არ სწავლობს 35 პროცენტი, ხოლო 50 პროცენტზე მეტი ცხოვრობს აბსოლუტურ სიღატაკეში. ასეთი ცუდი პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება ნახოთ მხოლოდ 3 ქვეყანაში – ინდოეთში, პაკისტანსა და ბანგლადეშში“.

ამდენად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეთანხმება ბავშვთა უფლებების შესახებ და მისი ფუნდამენტური დაკანონება დღევანდელი უმნიშვნელოვანესი საკითხია.



The article „Global Disparities in Human and Social Development of Child“ of Subhash Chandra Birla is about Political Economy of Developing Countries and investment on Child, about Lack of Human Dignity in Developing Countries.

Problems of Girl Child Disparity, Freedom of thought, conscience and religion to children and Approach to child education are also notified in this article.

სივარტლას შუჭიღებული კაჯის ანგაჟი

ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი იურისტი ვლადიმერ (ლადო) იოსების ძე ბარათაშვილი.

ბატონ ვლადიმერს პრეზიდიუმში ვეწვით და ინტერვიუ ვთხოვე. იგი ჩვეული თავაზით და ღიმილით შემეგება, მაგრამ ინტერვიუს მოცემას თავდაპირველად უყომანით შეხვდა...

— აბა, რა უნდა გათხრათ, მუშაობას ეს-ეს არის შევეუდექი... იქნებ სხვა დროსათვის გადავლოთ.

მასთან შეხვედრაზე რომ ვფიქრობდი, ბელინსკის სატყვები ამეკვიატა: „ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს, ისტორიას კი თავისი კრიტიკული მომენტები“.

მე წელზე მეთა რაც მ-ნი ვლადიმერი საადვოკატო საქმიანობას ეწევა. ადვოკატურაში მისი მოსვლა შემთხვევითი კი არ იყო, არამედ — ოჯახური ტრადიცია. მისი მამა იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი გამოჩენილი ქართველი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მან 1899 წელს დამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მას შემდეგ საქართველოში მოღვაწეობდა. როგორც ადვოკატი, იგი დამსახურებული პოპულარობითა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებს შორის და ფართო საზოგადოებაში. ოსიკო ბარათაშვილი პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა როგორც რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. სათათბიროში მან ერთ-ერთმა პირველმა ადრია ისეთი საკითხები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პრესის თავისუფლება, გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემა და სხვა.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ღირსეული მამულიშვილის ღვაწლს ერის წინაშე. ისტორიამ შემოგვინახა დიდი ილიას გამონათქვამი იოსებ ბარათაშვილის სახელმწიფო სათათბიროში ბრწყინვალე გამოსვლის გამო: „ესლა მე რაღა საჭირო ვარ, რაკი ბარათაშვილი აქ არის. უჩემოდაც დაცავს ჩვენს ინტერესებს“.

ოღითგანვე საქართველოში ადვოკატურა პროგრესული, განათლებული, მოწინავე ადამიანებისაგან შედგებოდა. ბარათაშვილების ოჯახი ასეთი ადამიანების სწორი თავშეყრის ადგილი იყო. აქ იკრიბებოდნენ იმ დროის გამოჩენილი იურისტები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, შალვა ალექსიმესხიშვილი (ვლადიმერის ნათლია), გიგო რცხილაძე, დიმიტრი დიდებულძიძე, ოსიკო მაჭავარიანი, სამსონ დადიანი, პეტრე ქავთარაძე, მიხეილ ღვამიჩავა, შალვა ქართველიშვილი, ევგენი ბოკერია, კოჭია კანდელაკი, პარმენ გედევანიშვილი და სხვები. სწორი სტუმარი იყო აგრეთვე შალვა ნუცუბიძე, რომელიც ერთ დროს ადვოკატობას ეწეოდა. მაღალი პროფესიონალიზმი, დახვეწილი სამართლებრივი კულტურა, ინტელიგენტობა იყო ის გარემო, სადაც იზრდებოდა ვლადიმერ ბარათაშვილი. ბავშვობიდანვე ვადაწყვეტილი ჰქონდა მამის პროფესიას დაუფლებოდა და მის გვერდით ემუშავა, მაგრამ „კაცი ფიქრობდა და ღმერთი იცინოდაო“, 17 წლის ლადო სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი დარჩა უმამოდ, უდედოდ, უსახლკაროდ...

მამა დაპატიმრეს 1937 წლის 16 ივნისს. როდესაც მიჰყავდათ. მამამ შვილს ხელი გადახვია, აკოცა და უთხრა: „პატიოსნება და ვუკაცობა არასოდეს დაკარგო, არ შემარცხვინო“. ეს იყო მამის უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე არ დავიწყებია მ-ნ ვლადიმერს. მამა დახვრიტეს. დედა ყაზახეთში გადაასახლეს, ხაიდანაც 10 წლის შემდეგ ბატონმა ვლადიმერმა ჩამოიყვანა.

ბედნიერი ბავშვობა მძიმე ახალგაზრდობამ შეცვალა. როგორც „ხალხის მტრის“ შვილი ვლადიმერ ბარათაშვილი უნივერსიტეტიდან გარიცხეს, ესეც არ აკმარეს და პოლიტიკური ბრალდებით დაპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ დიდი წვაღება დასჭირდა ახალგაზრდა ვლადიმერს უნივერსიტეტში აღსადგენად. იმ დროს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის დავით მირიანაშვილის მცდელობით და ხელის შეწყობით ვლადიმერ ბარათაშვილი მეოთხე კურსზე დაეწია თავის ამხანაგებს და ბათთან ერთად 1940 წელს დამთავრა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ბატონი ვლადიმერი დიდი მადლიერებით იგონებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ქალბატონ ნატაშა ლომთათიძეს, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მიიღო იგი ადვოკატურაში. მ-მა ვლადიმერმა მუშაობა დაიწყო იმ კონსულტაციაში, სადაც მუშაობდნენ დიდად ერუდირებული, განათლებული, პროფესიონალი ადვოკატები, მაღალი პიროვნული თვისებების მქონე ადამიანები: შალვა ალექსიმესხიშვილი, ალექსი კიკინაძე, ბიძინა ბარათაშვილი, მიხეილ ალხაიშვილი, ელიზბარ ჩხიკვაძე, ვალიკო ფხალაძე.

პლექსანდრე საჭინაშვილი, ზდექსანდრე ზოჭოლაძე და სხვები, რომლებიც თავის ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას გულწრფელად უზიარებდნენ ახალგაზრდა ლადო ბარათაშვილს, და არ აკლებდნენ მას ადამიანურ სითბოს. მათთან ურთიერთობამ დიდად განაპირობა ბ. ნ. ვლადიმერის პროფესიონალური კვალიფიკაციის დონე.

და აი, ნა წელზე მეტია, რაც ვლადიმერ ბარათაშვილი სახელოვანი მამის არჩეულ გზას აგრძელებს. ეს მისთვის უბრალო საქმიანობა კი არ არის, არამედ, გიორგი მერჩულეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის „მღელვარები სულისა“, და მართლაც, ვინც დასწრებია სასამართლო პროცესს ბ. ნ. ვლადიმერის მონაწილეობით, ვისაც მისი გამოსვლისათვის მოუსმენია, მათთვის ნათელია, თუ საქმის რა ცოდნით, საკითხის რა ღრმა ანალიზითა და რა შინაგანი რწმენით ეცილება იგი ყველა საქმეს — დიდსა თუ პატარას, რთულსა თუ შედარებით ილს.

სადვოკატო საქმიანობაში თავიდანვე დიდი ილიას სიტყვები აირჩია დევიზად: „კაცი ბრალდებულთა სკამზე უნდა დასვას მგონიაობამ კი არა, არამედ უცილობელმა, უეჭველმა საბუთმა“. სწორედ კანონისადმი პატივისცემამ, რწმენამ, უანგარობამ, მამის მიერ გავალულ გზაზე სწორმა სიარულმა მოუტანა ვლადიმერ ბარათაშვილს ესოდენ დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მან ბევრ ქირსა და უსამართლო შემოტევას გაუძლო... თუმცა ბევრი სიხარულიც განუცლია.

— ეს იყო 1940 წელს — იგონებს ბ. ნ. ვლადიმერი, — უნივერსიტეტი 17 ივლისს დავამთავრე და 2 აგვისტოს პირველად მივიღე მონაწილეობა სასამართლო პროცესში. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, პატიმარს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ედებოდა ბრალი. სამართალში მიცემულზე მეტად მე ველავდით. სწორად წარმართულმა დაცვამ ყველა ნიუანსი გამოკვეთა და მოსამართლე ალიოშის სტურუას მიერ გამოტანილი განაჩენით ბრალდებული პატიმრობიდან გაათავისუფლეს და სხდომის დარბაზიდან მე და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერთად გამოვედით.

ეს იყო პირველი სიხარული, მეტიც — ბედნიერება, რამაც პროფესიული სიამაყე და საკუთარი თავისადმი რწმენა ჩაუსახა ახალგაზრდა ადვოკატს.

ამ პირველი სასამართლო პროცესის სამახსოვროდ ბატონ ვლადიმერს დარჩა პორტსიგარი, რომელიც გახარებულმა კლიენტმა აჩუქა და რომელიც დღესაც მოწიწებით ინახება ბ. ნ. ვლადიმერის ბინაში. აქვეა მეორე პორტსიგარიც, რომელსაც უფირფრასის წარწერა აქვს: „კარგი მამის კარგ შვილს, ორივეს მაღლიერი მოხუცისაგან“. ეს მოხუცი უწმიდესი და უნეტარესი საქართველოს კათოლიკოსი კალისტრატე იყო, რომლის უახლოესი ნათესავის დაცვა მოუხდა ბ. ნ. ვლადიმერს.

ბ. ნ. ვლადიმერის სადღეისო საფიქრალი ადვოკატურის ახალი დებულების შემუშავებაა. მისი მთავარი ამოცანაა ადვოკატურის პრესტიჟის ამაღლება და იმ სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტა, რომელთა წინაშეც დააყენა დღეს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ახალმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა.

— პრეზიდიუმმა თავის შემდგომ მუშაობაში ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს ადვოკატების იურიდიული განათლების სრულყოფას, — ამბობს ბ. ნ. ვლადიმერი, — რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესებისა და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულებების მაღალკვალიფიციური იურიდიული მომსახურება. უნდა გვახსოვდეს, რომ „ადვოკატი ლათინური სიტყვაა, რაც ნიშნავს „ვიზმობ“... და როცა გვახსობენ მზად უნდა ვიყოთ უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე გაუწიოთ დახმარება მათ, ვინც გვიხმობს.

— ადვოკატის ღირსების განმსაზღვრელი, — განაცხადებს ბ. ნ. ვლადიმერი, — პირველ რიგში მისი პროფესიონალიზმია. ადვოკატი ძლიერი პიროვნება უნდა იყოს, გამბედავი, პრინციპული, თავის საქმეში დარწმუნებული, სწრაფად ერკვეოდეს სიტუაციაში, ფლობდეს სასამართლო მჭევრმეტყველების ხელოვნებას. ემანუელ კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა იცოდეს, „რა უნდა თქვას, როგორ უნდა თქვას და რა არ უნდა თქვას“. ადვოკატი მაღალი პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსების მატარებელი უნდა იყოს, კარგად იცნობდეს ლიტერატურას, ისტორიას, ხელოვნებას, კარგად ერკვეოდეს სამეურნეო და ყოფით საკითხებში.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში საზოგადოების მართლშეგნების დონის ამაღლების საქმეში ადვოკატურას დიდი ძალისხმევა მართებს. ადამიანს უნდა სჭეროდეს, რომ მისი უფლებებებს დაცვის სადარაჯოზე ერთგულად დგას ადვოკატურა.

— დიდი სიმწიფების წინაშეა დღეს ადვოკატთა კოლეგია, მაგრამ უკან დახვევა არ მჩვევია — ამბობს თავმჯდომარე და იღიმება.

ზაალ მსენაძისძიანი,

საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის პრესცენტრის ხელმძღვანელი.

თამაზ შავგულიძე



ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა, მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი თამაზ შავგულიძე.

თამაზ შავგულიძე დაიბადა 1930 წელს ქ. თბილისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი იწყებს მეცნიერულ მუშაობას ცნობილი ქართველი მეცნიერის თ. წერეთლის ხელმძღვანელობით.

მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მოიცავდა სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიისა და კრიმინალური ფსიქოლოგიის სამართლებრივ პრობლემებს. თ. შავგულიძეს ეკუთვნის მრავალი თვალსაჩინო მონოგრაფია, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. მის მეცნიერულ

ნაშრომებზე და მისი უშუალო ხელმძღვანელობით იზრდებოდა მეცნიერ-იურისტთა ახალი თაობა.

იგი წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას პედაგოგიურ და პრაქტიკულ მოღვაწეობას, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, ხოლო წლების მანძილზე — საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

დიდა მისი წვლილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციაში, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. იგი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე და ხელმძღვანელობდა სხვა დარგობრივი კოდექსების კომისიების მუშაობას. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფროსი „მაცნე“ სამართლის სერვის რედაქტორი, უფროსი „სამართლის“ რედაქციის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო და სპეციალიზებული საბჭოების წევრი.

თამაზ შავგულიძემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარებაში, მისი არაერთი თვალსაზრისი საფუძვლად დაედო ერის ცხოვრებაში ისეთი ეპოქალური მოვლენის იურიდიულ შეფასებას, როგორც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. თამაზ შავგულიძე სათავეში ედგა ამ ტრაგედიის შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდელი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება.

ე. ზემბარდნაძე, თ. სიგუა, ვ. გოგუაძე, რ. ბერიძე, ა. თაყაიშვილი, ლ. ალექსიძე, ა. აბაშიძე, გ. ინჟირაძე, კ. კეზუაშვილი, დ. მალაქიძე, თ. ნინიძე, ზ. რატიანი, გ. სანაძე, გ. ტყეშელაშვილი, მ. უგრეხელიძე, ს. ჯორბანაძე.

მის სახელს დავიწყება არ უნერია

თამაზ შავგულიძესთან 45 წელი ვმეგობრობდი და ამის გამო სრულიად ბუნებრივია ჩემი სულიერი გაცნაობა, რომელიც მისმა უცარმა გარდაცვალებამ გამოიწვია. ამიტომ შევეცდები ერთი ორი სიტყვა მოგახსენოთ მის პიროვნებაზე, როგორც მკვლევარზე, მეცნიერ-ორგანიზატორსა და საზოგადო მოღვაწეზე.

თამაზ შავგულიძე თანდაყოლილი ნიჭიერებით, ლოგიკური აზროვნებით, გაწონასწორებული ხასიათითა და ძლიერი ნებისყოფით გამოირჩეოდა. ასეთი ნებისყოფის დასაყრდენს მისი მაღალი მოთხოვნილებები წარმოადგენდა. ეს მაღალი მოთხოვნილებები ყალიბდებოდა ჩვენი სასიქაღულო მეცნიერების თინათინ წერეთლისა და ვლადიმერ მაყაშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო ზეგავლენით. მათი ოჯახი იყო სამართლის პრობლემების, ჯნებრიობისა და მოქალაქეობრიობის საკითხების გამსჭვლი კერა, რომელიც ასე რიგად იზიდავდა თამაზს, გვზიბლავდა ჩვენ, მის კოლეგებს.

თავის მასწავლებლების მსგავსად თამაზი უპირველეს ყოვლისა სამართლის მეცნიერების რთულ პრობლემებს სახავდა კვლევის საგნად. რაც მთავარია, იგი ცდილობდა გამოენახა ამ პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზები. სწორედ თამაზი იყო პირველთაგანი, რომელმაც სათავე დაუდო აკად. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის დამკვიდრებას სამართლებრივ გამოკვლევებში. მისმა ნაშრომებმა მართლშეგნების, საზოგადოებრივი აზრის შესახებ მეცნიერთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ასევე მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის მოხსენებებს უცხოეთში გამართულ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე.

თამაზ შავგულიძე სამეცნიერო მუშაობის შესაინიშნავი ორგანიზატორი იყო. ამის დასტურად

მართო ის რად ღირს, რომ მისი ენერგიული ძალისხმევით ბოლოსდაბოლოს წარმატებით დაგვირგვინდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დაფუძნებისათვის წარმოებული ოცდაათწლიანი ომი. მან იმთავითვე სწორად წარმართა დამოუკიდებელი საქართველოს დარგობრივ სამართლის პროექტზე მუშაობა. რაოდენ დასანანი, რომ იგი წელს აღარ იქნება თინათინ წერეთლის დაბადებიდან 90 წლის შესრულებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი.

თამაზ შავგულიძე საზოგადო მოღვაწეც იყო. მან ხომ კოლოსალური ნებისყოფა გამოავლინა 9 აპრილის სისხლიანი ტრადედიის მიზეზების გამომკვლევ კომისიის თავმჯდომარეობისას. მას ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, რომ ამ კომისიაში მუშაობამ სიცოცხლე გაუნახევრა.

აი ასეთ კაცს ვემშვიდობებით ჩვენ. სიმბოლურია ის, რომ თამაზს მისი უსაყვარლესი დედის — ქალბატონ თინათინ როინიშვილისა და მისი სასახლო მასწავლებლების ქალბატონ თინათინ წერეთლისა და ბატონ ვლადიმერ მაყაშვილის საფლავებთან ახლოს ვასაფლავებთ. ამ სიმბოლიკაში მე მათი სულების იმ ქვეყნად შეხვედრას ვგულისხმობ.

ჩვენ კი, ამ ქვეყნად დარჩენილი თამაზის კოლეგები, მტკიცედ აღვუთქვამთ მის მეთულეს — ქალბატონ ურუხუნას, მამას — ბატონ გრიგოლს, შვილებსა და შვილიშვილებს, ყველა მის ჭირისუფალს, რომ თამაზის პიროვნებასა და მის ხსოვნას ყოველთვის ჭეროვან პატივს მივაგებთ.

მშვიდობით, ღვაწლითა და სიკეთით გამორჩეულ თამაზ!

გიორგი ტყეშელაშვილი

მიხეილ ქურდაძე



ბოროტმოქმედის ტყვიამ იმსხვერპლა ცნობილი იურისტი, ქ. თბილისის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ქურდაძე, 10 აპრილს მას 56 წელი შეუსრულდებოდა.

მიხეილ ქურდაძემ 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ამავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად. შემდეგ დაწინაურეს ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების პროკურორად, ამავე განყოფილების უფროსად, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების უფროსად. ამის შემდეგ ნიშნავენ ქ. რუსთავის პროკურორად; 1987 წელს გადმოჰყავთ ქ. თბილისის პროკურორის პირველ მოადგილედ, ხოლო 1989 წლიდან მუშაობს დედაქალაქის პროკურორის თანამდებობაზე.

მიხეილ ქურდაძე იყო ჭეშმარიტად მაღალი კვალიფიკაციის იურისტი, ობიექტური, პრინციპული და მომთხოვნი მუშაკი, რომელიც სამი

ათეული წლის მანძილზე ცოდნას, ენერჯიასა და გამოცდილებას არ იშურებდა რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, იურისტთა ღირსეული კადრების აღზრდისათვის.

მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით გაიხსნა არაერთი უმძიმესი დანაშაული, მნიღებულთა მრავალი ბოროტმოქმედი.

პრაქტიკულ საქმიანობას მიხეილ ქურდაძე წლების მანძილზე წარმატებით უთავსებდა თეორიულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. სწავლული იურისტი 1974 წელს იცავს საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს — სადოქტორო დისერტაციებს. ამავე წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორია, არის მონაგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი.

დაუვიწყარია მიხეილ ქურდაძე, როგორც მოქალაქე, რომელიც შეძკული იყო ადამიანური ღირსებებით და კეთილშობილებით.

მიხეილ ქურდაძე მართლაც დააკლდა ქალაქს, რომელიც მას თავდავიწყებით უყვარდა და იღვწოდა მისი კეთილდღეობისათვის, დააკლდა ოჯახს, საზოგადოებას, მეგობრებს. და ეს მოხდა ყველაზე დიდი შეჭირვების უამს, როცა იგი განსაკუთრებით სჭირდებოდა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ ჩვენს ქვეყანას, მის დედაქალაქს. ეს ავბედითი ამბავი მოხდა მაშინ, როცა ბატონი მიხეილი იყო სრული მოწიფულობის ხანაში და კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

მიხეილ ქურდაძის, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტისა და მამულიშვილის, ნათელი პიროვნების ძვირფასი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგების, აღზრდილებისა და იმ ადამიანთა გულში, რომლებსაც მასთან ჰქონდათ ურთიერთობა. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

- ე. ზეზარაძე, თ. სიგუბ, ვ. პოგუბაძე, თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი, თ. ნინიძე, თ. ხაჩიშვილი, ი. ბატიაშვილი, კ. კაპულარია, მ. შარახელიძე, კ. გაბაშვილი, რ. მებრევილი, ჯ. რაბიანი.

ის იყო ყველაფრით გამორჩეული პიროვნება

„ადამიანში ყველაფერი ღამაში უნდა იყოს: სახეც და ტანსაცმელიც, სულიცა და აზრიც“.— დიდი მწერლის ეს ლაქონური და ბევრის მთქმელი შეგონება მთლიანად მიესადაგება ბატონ მიხეილს — იგი ქეშმარიტად ღამაში პიროვნება გახლდათ! მასში ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს ახოვნება და ვაჟკაციური გარეგნობა, სიღინჯე და გამჭრიახობა, მზნეობა და სისპეტაკე, პრინციპულობა და თავმდაბლობა, ფიზიკური ძალა და გონიერება.

თავდავიწყებით უყვარდა ოჯახს -- მშობლებს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილი, მეგობრებს. რომლებსთვისაც ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, მაგრამ მას მაქსიმალურად იყენებდა.

ბატონო მიხეილ! თქვენს მიერ განვლილი წს წელი, თქვენს შრომითი ბიოგრაფია, ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი სამშობლოს, ხალხს, ეროვნულ იდეალებს.

როგორც ქეშმარიტი მოქალაქე, პროკურორი და სწავლული იურისტი, თქვენს საქმიანობით ამკვიდრებდით მაღალ ზნეობას, შრომისმოყვარეობას, ერთგულებას საზოგადოებისა და პროფესიისადმი. შინ თუ გარეთ, ოჯახში თუ საზოგადოებაში, თესავდით სიკეთეს, რომელსაც იმკვიდრებდით თქვენს მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით განმსჯეველული მოქალაქეებისა და კოლეგების სულით.

თქვენს პირადი თვისებები, ამოუწურავი ენერჯია და დაუღალავი შრომა განსაკუთრებით მრავალმხრივ გამოვლინდა ისეთ რთულ უბანზე მუშაობისას, როგორც არის საქმიანობა პროკურატურის ორგანოებში. გაიარეთ რა გზა რიგითი გამოძიებლიდან რესპუბლიკის დედაქალაქის პროკურორამდე, არასოდეს გიღალატიათ ქეშმარიტებისათვის, არასოდეს დაგიკარგავთ ცივი გონება და მხურვალე გული; პატიოსნება არასოდეს გაგაცვლიათ სიმახინჯეზე, სიკეთე — ბოროტებაზე. თქვენს მაღალ პროფესიონალიზმზე გაიზარდა მრავალი ახალგაზრდა.

ჩემო მიხეილ! მრავალი კეთილი საქმის ინიციატორი იყავი და უფრო მეტი განუხორციელებელი დაგრჩა. მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა კლუბის დაფუძნების იდეა. იმ კლუბისა, რომლის წესდების პროექტის შენი ხელნაწერი შენს სამუშაო მაგიდაზე ვნახეთ. მას ახალგაზრდობა შეასხავს ფრთებს. სიცოცხლე გრძელდება: დღე-დღეზე ველოდებით შენს მეორე შვილიშვილს, რომელიც მიშვიო ბაბუას მხოლოდ სურათებით გაიცნობს.

ღიან, ადამიანში ყველაფერი ღამაში უნდა იყოს: სახეც და ტანსაცმელიც, სულიცა და აზრიც. ასეთი იყავ შენ, ჩემო მიშვიო, და ასეთის მაგალითად დარჩებო ჩვენთვის.

მახსენდება ერთი მწერლის გონიერი ნათქვამი „რა კაცია ის კაცი, რომელიც თავის ქალაქს სიცოცხლით ვერ შეემატება და სიკვდილით ვერ დააკლდება?“

ჩემო მიშვიო! შენ სიცოცხლით ქეშმარიტად შეემატე შენს ქალაქს, სიკვდილით კი ძლიერ დააკლდი!

მიმდინარე წლის 10 აპრილს შენი დაბადების დღე პირველად აღინიშნება შენს გარეშე და რა უღალათო იქნება ეს სუფრა. შენ ხომ კარგად გესმოდა ქართული პურმარლის მადლი და კაცური მოღვნეცა გებერებოდა. ღმერთმა იცოდეს ყოველთვის აიწვევა სავსე ჭიქა შენი, როგორც კაცური კაცის მოსაგონებლად.

ნათელში ამყოფოს უფალმა, ჩემო მიხეილ, შენი ღამაში, სპეტაკი სული!

პასილ ზოსცხვერია.

მიხეილ კეკელია



გარდაიცვალა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მიხეილის ძე კეკელია.

დაიბადა 1927 წელს სამტრედიის რაიონის სოფ. ნაბაკევში. 1951-1967 წლებში მუშაობდა

პროკურატურის სისტემაში სახალხო გამომძიებლად, რაიონის პროკურორად და საქართველოს პროკურორის თანაშემწედ, სადაც მას პროკურატურის გენერლის წოდება მიანიჭეს. 1967 წლიდან გარდაცვალებამდე მ. კეკელია მოღვაწეობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის კათედრაზე ჯერ დოცენტად, შემდეგ პროფესორად. 1986 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო ცენტრის ჩვეულებითი სამართლის ლაბორატორიას, ხოლო 1990 წლიდან — თვით ცენტრსაც.

მ. კეკელია 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია.

იგი იყო უაღრესად აქტიური საზოგადო მოღვაწე. მონაწილეობდა მიწის კანონპროექტის შემუშავებაში, იყო საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის წამყვანი სპეციალისტი, უურნალ „სამართლის“ რედკოლეგიის წევრი, საქართველოს იურისტთა კავშირის წევრი, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საბჭოების წევრი.

წავიდა ჩვენგან უაღრესად თავმდაბალი, პრინციპული და გულისხმიერი ადამიანი, რომელიც სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო ცენტრი, საქართველოს იურისტთა კავშირი.

მუღამ ძველისა და ხალხის სამსახურში იყო

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ფუტკრებივით დასტრიალებენ თავიანთ საქმეს. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა პროფ. მ. კეკელია — უაღრესად კეთილშობილი, თავმდაბალი, მაგრამ პრინციპული, მაღალი კულტურისა და დიდი ერულიციის მოქალაქე.

მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ჩვეულებითი სამართლის დამკვიდრებას საქართველოში. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი ხელმძღვანელი. აქვე ჩამოაყალიბა მან ქართული ჩვეულებითი სამართლის ლაბორატორია, რომელიც საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციების საფუძველზე მოიპოვებს ძვირფას მასალებს ქართული ჩვეულებითი სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებზე.

თავისუფალი და ლაღი ბუნების იყო ბატონი მიხეილი, მას შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველოს მთა-ბარი, უთიბია კიდევ მესტიის სათიბებში და უქეიფია კიდევ ობოლა წიკლაურის სახლის ბანზე არხოტში. როგორი აღტაცებით ემზადებოდა იგი ყოველი ექსპედიციისათვის, როგორი ენერგიული და დაუზარელი იყო იგი ყველაფერში, სწორედ მაგალითის მიმცემი და სანიშნუი გახლდათ ახალგაზრდობისათვის.

პროფ. მ. კეკელია იყო რაფინირებული, სისპეტაკით აღსავსე, პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის თავწამყვანი მებრძოლი. მან ათეული წლების მანძილზე იმუშავა საქართველოს პარლამენტის სისტემაში, სადაც გენერლის წოდებასაც კი მიაღწია.

პროფ. მ. კეკელია ახალგაზრდობის დიდი მოსიყვარულე და ამადარი მასწავლებელი იყო. იგი ხიბლავდა ყველას ნათელი აზროვნებითა და მიმზიდველი მტკვრმეტყველებით. მისი აღზრდილი მოწაფეები დღესაც აგრძელებენ დაწყებულ საქმეს. ნაკლებად პრეტენზიული იყო: ბერის გაცემდა და ცოტას ითხოვდა. მისთვის მთავარი სამშობლოს სიყვარული, ქვეყნისათვის თავდადება და პატიოსნება იყო. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მან გვარდიაში ჩარიცხვა მოიწადინა აფხაზეთში საბრძოლველად, მაგრამ უარი უთხრეს ასაკის გამო. (იგი ხომ 66 წლისა გარდაიცვალა).

ასეთი დაუდგრომელი და ენერგიით აღსავსე გახლდათ ბატონი მიხეილ კეკელია. პატიოსნება და შრომისმოყვარეობა ძველსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი, და ამ პატიოსნებითა და ხალხისადმი სიყვარულით დაიწვა და დაიფერფლა ხანმოკლე, მაგრამ განუკურნებელი სენით სარტყელზე მიჯაჭვული.

ვალერი ლორია

შურნალ „სამართლის“ რედაქციის კოლექტივი თანაუზრდობს გულანარა გოსიპაშვილს, დედის, ღვაწლმოსილი კოლიგრაფისთვის, ჩვენი შურნალის დამაკაბადონებლის, ქალბატონ ქსენია მახარაძის გარდაცვალების გამო და ღრმა სამძიბარს უცხადებს მის ოჯახს.

ქვირფასო მეგობრებო!

ყველასათვის ცნობილია თუ ამ ბოლო პერიოდში, როგორ ზღაპრულად გაიზარდა უურნალო-გაზეთების გამოცემის ხარჯები, რა თქმა უნდა, ამ სამწუხარო ფაქტს ვერ აცდებოდა რესპუბლიკის ერთად-ერთი იურიდიული უურნალი „სამართალიც“. დასამალი არ არის, რომ თუ ჩვენი უურნალის გულშემატკივრებმა, მისმა ხელისმომწერებმა, გულთან არ მიიტანეს შექმნილი მდგომარეობა, შეიძლება დაზურვის წინაშეც აღმოვჩნდეთ. ეს კი ალბათ გამოუსწორებელი შეცდომა იქნება მთელი ქართული იურიდიული საზოგადოებრიობისათვის და არა მარტო მათთვის.

ამ გაჭირვების უამს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ჩვენი უურნალის ტირაჟმა როგორღაც მაინც მიაღწია 7.000 ეგზემპლარს. ეს კი, დაუფარავად უნდა ითქვას, რამოდენიმე რაიონის ხარჯზე მოხდა. ისინი, ვინც მხარში ამოგვიდგნენ, ალბათ, კვლავაც ჩვენს გვერდით იქნებიან, მაგრამ გულწრფელად და შემაშფოთებლად გვაფიქრებს მათი პოზიცია, ვინც სრულად უგულებელყო უურნალი „სამართალი“ და როგორც იტყვიან, არაფრად ჩაავლო მისი დანიშნულება.

უურნალ „სამართლის“ რედაქცია გულითად მადლობას უხდის ყველა კოლეგასა და მკითხველს, ვინც აქტიური პროპაგანდა გაუწია ჩვენს უურნალს და მონაწილეობა მიიღო მის გავრცელებაში. ეს ქალაქები და რაიონებია: ქუთაისი, ხაშური, ბორჯომი, გორი, ლაგოდეხი, ზესტაფონი, თერჯოლა, სონი, შუახევი, ნინოწმინდა, ბათუმი, წყალტუბო, თელავი, ბუჩქნაღვი, დედოფლის წყარო და მეტნაკლებად კიდევ რამდენიმე. სწორედ მათი შემწეობით ვდგავართ დღეს ფეხზე. იმედი გვაქვს, აღნიშნული რაიონები 1993 წლის მეორე ნახევარშიც არ მიგვატოვებენ და კლავ შეინარჩუნებენ მაინც, თუ არ გაზრდიან, უურნალის ხელისმომწერთა რიცხვს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთმა რაიონმა (განმა, ჩხატაშვილი და წაღპამ) უურნალ „სამართლის“ არც-მარტი ეგზემპლარი არ გამოიწერა. რას უნდა მივაწეროთ ეს ფაქტი? განა აღნიშნული რაიონები საერთოდაა დატოვებული აღმინისტრაციულ-ორგანოების გარეშე. არაფერი რომ ვთქვათ წარმოება-დაწესებულებებზე, სკოლებზე, ბიბლიოთეკებზე, ინტელიგენციაზე, ან რა უნდა იქვან ჩვენი უურნალის არაფრადჩამგდება (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობთ), მისმა უგულებელმყოფელმა რაიონის მოსამართლეებმა, პროკურორებმა, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსებმა, ადვოკატებმა, სამართალმცავი ორგანოს ყველა თანამშრომელმა. არადა, უმეტეს რაიონებში მხოლოდ ერთეული, ან ათეული ცალია გამოწერილი, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეშვენიერებს შესაბამის ხელმძღვანელ მუშაებს. ამ რაიონების რიცხვი კი სკამოდ დიდია. აი ზოგიერთი მათგანი, ყველაზე უფრო „გამორჩეული“: ონი, ლენტეხი, ამბროლაური, ყვარალი, ბაღდადი, სანჯარა, ახალ-ქალაქი, ახმეტა, სიღნაღი, ბარბაქაძე, (მათგან გამოწერილია 1-დან 13 ეგზემპლარამდე) ოდნავ მეტი აქვთ გამოწერილი შემდეგ რაიონებს: ბოლნისი, დმანისი, მარნაული, თიანეთი, მცხეთა, კასპი, შარალი, სამტრედიე, ახპინძა, ხარაბაული, მარტვილი, ცაგარა, ოკუპაციური, ლანჩხუთი და სხვა.

ცალკე უნდა გამოიყოს ქ. თბილისი, სადაც სულ 909 ხელმომწერი გვქვას. რაიონების მიხედვით თუ გავანაწილებთ, არც თუ სახარბიელო სურათი გვეჩვენება. თბილისი კი მუდამ ჩვენი უურნალის ხელმომწერთა ფლაგმანი იყო, როგორც ჩანს, ეს სკაოთხიც იმსახურებს ყურადღებას.

ეს წერილი ჩვენ არავის სასაყვედუროდ არ დაგვიწერია, ბოლოსდაბოლოს, იურიდიულ საზოგადოებას, ყოველ განათლებულ ადამიანს თვითონ უნდა ჰქონდეს გათავისებული უურნალი „სამართალიც“, მისი მნიშვნელობა საერთოდ, და განსაკუთრებით დღეს, როდესაც თავისუფალ, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კოლეგები და მკითხველები მხარში ამოგვიდგებიან და 1993 წლის მეორე ნახევრიდან ყველანი გამოიწერენ უურნალ „სამართალს“. ეს კი იურიდიული უურნალის შემდგომი არსებობის უპირველესი და აუცილებელი პირობაა.

უურნალ „სამართლის“ რედაქცია

6-

ბ 29/43